

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა

თემურ გუგუშვილი

მოსახლეობის საარსებო წყაროების დივერსიფიკაცია რურალურ საქართველოში

სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი
პროფ. დოქ. ნინო დურგლიშვილი

სამეცნიერო თანახელმძღვანელი
პროფ. დოქ. დირკ როფი



თბილისი

2023

აბსტრაქტი

სოფლის მეურნეობიდან სოფლის განვითარებისკენ ზოგადი პოლიტიკის ცვლილებამ შექმნა ახალი შესაძლებლობები შინამეურნეობების საარსებო წყაროების დივერსიფიკაციისთვის სასოფლო დასახლებებში. მცირე საოჯახო ბიზნესის დაწყება და უკვე არსებულის გაფართოება დამოკიდებულია შინამეურნეობების მიერ რესურსების ხელმისაწვდომობაზე და მათი კაპიტალიზაციის შესაძლებლობაზე. წარმოდგენილი სადოქტორო კვლევის მიზანია სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციის პროცესის შესწავლა. კერძოდ, რა გზით ეუფლება ან იღებს რესურსებს და როგორ ახდენენ მათ კაპიტალიზაციას ეკონომიკური საქმიანობის დაწყების/გაფართოების პროცესში. საკითხის შესწავლა განხორციელდა ტრანსფორმაციული შერეული მეთოდების კვლევის დიზაინის გამოყენებით, სამი მუნიციპალიტეტის მაგალითზე. საველე სამუშაოები განხორციელდა 2018 და 2021 წლებში და ჩატარდა 42 სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც გაანალიზდა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდით. კვლევის შედეგების მიხედვით, სასოფლო ტიპის დასახლებებში შინამეურნეობაზე დაფუძნებული ახალი მცირე ბიზნესის დაწყება და ასევე არსებულის გაფართოება საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა და რეალიზების ფორმების მრავალფეროვანი სპექტრით არის წარმოდგენილი. საქმიანობები მოიცავს როგორც ტრადიციულ, ასევე რეგიონისთვის ინოვაციურ ეკონომიკის დარგებს. აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების ლიმიტირებული შესაძლებლობების ფონზე ოჯახები რესურსების კომბინირებას ახდენენ მათი ეკონომიკური საქმიანობის წარმატებული ტრანსფორმაციისთვის. ინკლუზიური და მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს ზრდის ტრადიციული რესურსების მნიშვნელობა, რომლის გამოიკვეთა როგორც ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობების განვითარებაში ასევე ინოვაციური ეკონომიკური საქმიანობების შექმნაში. წარმოდგენილი კვლევის შედეგები შეავსებს არსებულ ცოდნას სოფლად მცირე საოჯახო ბიზნესების დივერსიფიკაციის შესახებ. სოფლის განვითარების მიმართულებით მიმდინარე ზოგადი პოლიტიკის ცვლილების ფონზე, მოსალოდნელია რომ კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მტკიცებულებაზე-დაფუძნებული გადაწყვეტების შემუშავებაში და სტიმულს მისცემს ახალ ინიციატივებს სოფლის სოციოლოგიაში.

Abstract

The shift in the 'general policy orientation' from agriculture to rural development creates opportunities for livelihood diversification in rural Georgia. Diversification, the starting of small family businesses, and the growth of existing ones are influenced by the availability of resources (human, social, cultural, physical, and financial) and the potential for capitalization by households. The main goal of this doctoral research is to study the diversification of household-based economic activities in rural areas of Georgia in response to the shift in general policy orientation from agriculture to rural development. More precisely, it aims to explore how households acquire and access resources and how families capitalize on these resources to diversify their livelihoods by starting new small family businesses or expanding existing ones. The study was conducted using a transformative mixed methods research design, with case studies from three municipalities. The research was conducted from 2018 to 2021 and included 42 in-depth interviews, which were analyzed using a qualitative content analysis method. Research findings indicate that in rural settlements, the practice of initiating new small family businesses or expanding existing ones is common and encompasses various economic sub-sectors, including traditional and innovative fields. It should be noted that, given the limited resources of households, the combination of these resources is a key strategy for successful diversification. Inclusive and sustainable diversification possibilities increase the significance of traditional resources, which have been found to be valuable in both traditional as well as innovative household-based economic activities. In sum, the findings of the conducted research enrich the existing knowledge regarding the diversification of small family businesses in rural settlements. It is expected that these findings will provide valuable input for evidence-based policy formulation in the context of rural development and act as a catalyst for fostering innovative initiatives within the discipline of rural sociology.

სარჩევი

| | |
|---|------------|
| თავი 1. შესავალი | 7 |
| 1.1. თემის აქტუალობა და პრობლემის ფორმულირება | 7 |
| 1.2. კვლევის სიახლე და სამომავლო რეკომენდაციები | 12 |
| 1.3. კვლევის მიზანი და ამოცანები | 16 |
| 1.4. საკვლევი კითხვები | 17 |
| 1.5. კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა | 18 |
| 1.6. პუბლიკაციები, სამეცნიერო აქტივობები და სხვა მიღწევები | 20 |
| 1.7. ნაშრომის სტრუქტურა..... | 24 |
| თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია | 26 |
| 2.1. კვლევის დიზაინი..... | 26 |
| 2.2. ლიტერატურის სისტემური მიმოხილვა | 26 |
| 2.3. მეორადი მონაცემების ანალიზი | 30 |
| 2.4. სამიზნე ჯგუფი და შერჩევის მეთოდი..... | 31 |
| 2.5. ინფორმაციის შეგროვების მეთოდები | 35 |
| 2.6. მონაცემთა ანალიზი | 37 |
| თავი 3. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო | 41 |
| 3.1. კონცეპტუალური ჩარჩო..... | 41 |
| 3.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა | 52 |
| 3.3. საოჯახო ფერმერული მეურნეობების ტრანსფორმაცია საქართველოში | 75 |
| 3.4. (მცირე) საოჯახო ტურისტული საქმიანობა საქართველოს სასოფლო დასახლებებში | 78 |
| 3.5. ტრადიციული პრაქტიკების როლი მთისა და სოფლის ტურიზმის განვითარებაში | 91 |
| თავი 4. კვლევის შედეგები | 93 |
| 4.1. ტრადიციული და ინოვაციური ადამიანური კაპიტალი..... | 93 |
| 4.2. ადამიანური კაპიტალის მოპოვების სტრატეგიები | 96 |
| 4.3. კულტურული რესურსების კაპიტალიზაცია | 102 |
| 4.4. სოციალური კაპიტალის საფუძველზე შექმნილი ფორმალური და არაფორმალური ეკონომიკური ურთიერთობები | 107 |
| 4.5. შინამეურნეობების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა | 112 |
| 4.6. ეკონომიკური საქმიანობის ტრანსფორმაციის პროცესში არსებული გამოწვევები..... | 123 |
| 4.7. ადგილობრივი მოსახლეობის ხედვა ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესის მიმართ | 126 |
| 4.8. დისკუსია..... | 131 |
| თავი 5. დასკვნები | 136 |
| თავი 6. ბიბლიოგრაფია | 141 |
| დანართი | 141 |

დიაგრამის სარჩევი

| | |
|---|-----|
| დიაგრამა 1. მოსახლეობის რაოდენობა დასახლების ტიპის მიხედვით..... | 9 |
| დიაგრამა 2. ეკონომიკური საქმიანობისა და შემოსავლების ტრანსფორმაცია..... | 11 |
| დიაგრამა 3. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა - ქალაქი-სოფლის შედარება... | 14 |
| დიაგრამა 4. საკვლევი კითხვების მოდელი | 18 |
| დიაგრამა 5. Connectedpapers-ში შექმნილი სტატიების კავშირის გრაფიკი..... | 29 |
| დიაგრამა 6. ლექსიკონის შექმნის ეტაპები ავტოკოდირებისთვის | 40 |
| დიაგრამა 7. სადოქტორო კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო: მდგრადი საარსებო წყაროებისა და „ჰაბიტუსის“ კონცეფციების ინტეგრაცია..... | 43 |
| დიაგრამა 8. კაპიტალის/რესურსების ხუთკუთხედი | 45 |
| დიაგრამა 9. კროსტაბულაცია: ადამიანური კაპიტალი, ეკონომიკური საქმიანობა და ადამიანური კაპიტალის ტიპი..... | 95 |
| დიაგრამა 10. ადამიანური კაპიტალის, ადამიანური კაპიტალის შექმნის წყაროსა და რესპონდენტების კავშირების რუკა | 101 |
| დიაგრამა 11. ფინანსური კაპიტალის გამოყენების ორი შემთხვევის მოდელი..... | 122 |

ცხრილის სარჩევი

| | |
|--|-----|
| ცხრილი 1. საკვანძო სიტყვების ჩამონათვალი და ინგლისური შესატყვისები | 27 |
| ცხრილი 2. საკვანძო სიტყვების ჩამონათვალი - ადამიანური კაპიტალი | 28 |
| ცხრილი 3. რესპონდენტების რაოდენობა სქესის, ასაკისა და მუნიციპალიტეტის მიხედვით | 32 |
| ცხრილი 4. რესპონდენტების რაოდენობა სქესის, ასაკისა და მუნიციპალიტეტის მიხედვით | 32 |
| ცხრილი 5. რესპონდენტის რაოდენობა მუნიციპალიტეტისა და ეკონომიკური აქტივობების შესახებ | 33 |
| ცხრილი 6. რესპონდენტების რაოდენობა მუნიციპალიტეტისა და ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით | 34 |
| ცხრილი 7. განხილული პუბლიკაციები | 82 |
| ცხრილი 8. შემაფერხებელი ფაქტორები და რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის მიმართულებით ეფექტური ტურიზმის განვითარებისათვის | 85 |
| ცხრილი 9. ფინანსური კაპიტალის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით | 120 |

აბრევიატურები და აკრონიმები

| | |
|---------|--|
| EG | აწარმოე საქართველო |
| ENPARD | სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა |
| ENRD | სოფლის განვითარების ევროპული ქსელი |
| FAO | გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია |
| GEOSTAT | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური |
| LAG | ადგილობრივი განვითარების ჯგუფი |
| LEADER | სოფლის ეკონომიკასა და განვითარებზე ორიენტირებულ ქმედებას კავშირი |
| MAXQDA | თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამა |
| MEPA | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| MRD | მთის კვლევა და განვითარება |
| RDA | სოფლის განვითარების სააგენტო |
| TSU | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |

თავი 1. შესავალი

1.1. თემის აქტუალობა და პრობლემის ფორმულირება


ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული/ექსტრაქტული მრეწველობის შემცირებამ ხელი შეუწყო მიკრო და მცირე ეკონომიკური საქმიანობის განვითარებას სასოფლო დასახლებებში (Siemens, 2013). აღნიშნული ცვლილების ფონზე მეწარმეობა და თვითდასაქმება გახდა სოფლის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც თავის მხრივ, მოიაზრებს შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერას. ემპირიული მტკიცებულებები ნათლად აჩვენებს, რომ აღნიშნული მიდგომის ინტეგრირება სოფლის განვითარების სტრატეგიებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდაში, სიღარიბის დაძლევისა და სოფლიდან ქალაქში მიგრაციის შემცირებაში (Green & Zinda, 2013; Sohns & Revilla Diez, 2017). განვითარების პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მცირე საოჯახო ბიზნესისა და თვითდასაქმების განვითარების მხარდაჭერაზე, მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ადგილობრივების საკუთრებაში არსებული, ოჯახებზე დაფუძნებული ბიზნესებისა და საარსებო წყაროების განვითარებას სასოფლო დასახლებებში (K. L. Robinson et al., 2004). ამასთან ერთად, ამგვარი განვითარების გეგმები ფოკუსირებულნი არიან, სოფლად შექმნან ახალი შესაძლებლობები მოსახლეობისათვის და განვითარების შუაგულში მოაქციონ უნიკალური და ნიშური ადგილობრივი რესურსები (Green & Zinda, 2013). მსგავსი ინიციატივები გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიკაციასა და ადგილობრივების გააქტიურებაზე, არამედ ამგვარი მიდგომა წარმოადგენს განვითარების ღირსეულ გზას ადგილობრივი საზოგადოების წევრებისათვის და ახალ სიცოცხლეს სძენს კულტურულ მემკვიდრეობას, ასევე მთლიანობაში აუმჯობესებს საცხოვრებელ გარემოს (Pato, 2020). ამასთან ერთად, რიგი კვლევების შედეგები ყურადღებას ამახვილებენ სოფელში მცხოვრები ადამიანებისათვის სოფლად მეწარმეობის განვითარებაზე, ახალ პროდუქტებსა და მომსახურებებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობაზე (Andersson et al., 2009). საერთო ჯამში, სწორედ აღნიშნულის ძირითად შედეგად ითვლება სოფლის ეკონომიკის გაჯანსაღება და ცხოვრების დონის გაუმჯობესება (Wortman, 1990).

საარებო წყაროების სამი განვითარების სტრატეგია გამოიყოფა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, საარსებო წყაროების დივერსიფიკაცია და მიგრაცია (Scoones, 1998). შინამეურნეობის საარსებო წყაროების დივერსიფიკაცია მოიაზრებს ინვესტიციას ახალ სამიანობაში, რომელსაც ოჯახი მიჰყავს ეკონომიკური აქტივობების ფართო სპექტრს შექმნისკენ (Ellis, 1998). უფრო კონკრეტულად ხელმისაწვდომი რესურსების ინვესტიცია ოჯახები აკეთებენ ახალი საოჯახო მცირე ბიზნესის ან/და არსებულის გაფართოების/გამრავალფეროვნების მიმართულებით (Rehan et al., 2019). სკოონესის (1998) მიხედვით, განსხვავებული საარსებო წყაროების სტრატეგიები დამოკიდებულია იმ მინიმალურ შესაძლებლობებზე, სოციალურ, მატერიალურ და არამატერიალურ დოვლათზე, რომელსაც ადამიანები ფლობენ. დასახელებული რესურსები შეიძლება მოვიაზროთ, როგორც „კაპიტალი“, რომელიც არის სხვადასხვა საარსებო წყაროების მიღების მნიშვნელოვანი წყარო და დიდწილად განსაზღვრავს შინამეურნეობის შესაძლებლობას ახალი ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების პროცესში. ოჯახზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის წარმატებული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვნად დამოკიდებულია შინამეურნეობის კუთვნილ კაპიტალზე (ადამიანური, ფიზიკური/ინფრასტრუქტურული, ფინანსური და სოციალური კაპიტალი, ბუნებრივი კაპიტალი) და ხელმისაწვდომ რესურსებზე (Abdulai & Crole-Rees, 2001; Dercon & Krishnan, 1996). სოფლის მოსახლეობის მხრიდან, რესურსებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის პირობებში, ახალი ეკონომიკური აქტივობის დაწყების პროცესში არსებობს უთანასწორობის გაღრმავების საფრთხე (Ellis & Freeman, 2005; Gautam & Andersen, 2016). კერძოდ, ღარიბი შინამეურნეობებისათვის განსაკუთრებით რთულია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დაძლევა, რადგან ლიმიტირებული შესაძლებლობების ფონზე ვერ ახერხებენ შემოსავლების გაზრდას დივერსიფიცირებულ ეკონომიკურ აქტივობებზე დაყრდნობით (Salifu, 2019).

მრავალი სხვა ქვეყნის მსგავსად (Eliasson et al., 2013, p. 490), საქართველოს სასოფლო დასახლებებშიც თვითდასაქმება საარსებო წყაროს მიღების მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს. სოფლის მოსახლეობის ამგვარი ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება ისტორიული მოვლენების შედეგია. საყურადღებოა, რომ საქართველოში ქალაქის მოსახლეობამ სოფლად მცხოვრები ადამიანების რაოდენობას

წინა საუკუნის 70-იან წლებში გადააჭარბა. მას შემდეგ, საქართველოში, ქალაქის მოსახლეობის პროცენტული წილი პერმანენტულად მზარდია და ჭარბობს სოფლის მოსახლეობის რაოდენობას. მიუხედავად ამის, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერისა და 2020 წლის პირველი იანვრის ყოველწლიური მონაცემების მიხედვით, საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი (40 %-ზე მეტი) კვლავ სოფლად ცხოვრობს (იხ. დიაგრამა 1) (Hakkert, 2017; National Statistics Office of Georgia, 2020).

დიაგრამა 1. მოსახლეობის რაოდენობა დასახლების ტიპის მიხედვით




საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარდამტეხი (ფრაგმენტირებული) რეფორმების პირობებში (FAO, 2020), საქართველოს სასოფლო დასახლებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო, რაც ასევე შეეხო მკვიდრი მოსახლეობის საარსებო წყაროების გარდაქმნას. აღსანიშნავია, 1990-იან წლებში მიწის საკუთრებაზე სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმება, რის ფარგლებშიც სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებს კერძო საკუთრებაში გადაეცათ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები. მიწის პრივატიზაციის პროცესმა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ინდივიდუალიზაციამ სოფლად სხვადასხვა გამოწვევები წარმოშვა. კერძოდ, მიწის რეფორმის ფარგლებში (1992 წლიდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე) კერძო საკუთრებაში გადაცემული

მიწების ფართობმა ერთ შინამეურნეობაზე საშუალოდ 0.96 ჰექტარი შეადგინა (International Business Publications, 2012), სარეფორმო ნორმით გათვალისწინებული 1.25 ჰექტრის ნაცვლად, რაც ძირითადად საქართველოს სოფელთა უმრავლესობის მცირემიწიანობით იყო განპირობებული. პრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაცემა თითოეულ შინამეურნეობაზე მოხდა არა ერთი, არამედ 3–5 მცირე ზომის ნაკვეთის სახით; მსგავსმა ფრაგმენტაციამ და მიწის დამუშავებისა და მოსავლის გასადების სირთულეებმა ხელი შეუწყო ნატურალური (სამომხმარებლო) ტიპის მეურნეობის (Subsistence Farming) გავრცელებას რურალურ დასახლებებში. შინამეურნეობების მიერ შექმნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხმარება ძირითადად ხდება საოჯახო მოხმარებისათვის და მისი მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენება კომერციული მიზნებისათვის (Gugushvili et al., 2017a; Hannah Kegel, 2003). სტატისტიკის მიხედვით, 2016 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 43 პროცენტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ხოლო მათი უმეტესობა არის თვითდასაქმებული (FAO, 2020).


ბოლო 15 წლის ეკონომიკური აქტივობისა და შემოსავლების შესახებ მონაცემები აჩვენებს, რომ იცვლება სასოფლო დასახლებებში შინამეურნეობების შემოსავლების სტრუქტურა. შემცირდა არაფულადი შემოსავლები და გაიზარდა დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლების წილი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული თანხა სტაბილურად წარმოადგენს შინამეურნეობების შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის შემოსავლების წყარო შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობაა (თვითდასაქმება) (იხ. დიაგრამა 2). ბოლო წლებში თვითდასაქმების რაოდენობა შემცირდა, თუმცა ჯერ კიდევ ძალიან მაღალია (S. Gelashvili, 2020). მცირე ფერმერული მეურნეობების დომინანციაზე მიუთითებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის სოფლის მეურნეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, რომლის მიხედვითაც მიწის მესაკუთრეების თითქმის 99 პროცენტი 5 ჰექტარზე ნაკლებ მიწას ფლობს. ყველაზე გავრცელებული სოფლის მეურნეობის კულტურების, როგორცაა თხილი და ყურძენი, უმეტესობა მცირე ფერმერებს (FAO, 2020) მოჰყავთ.

დიაგრამა 2. ეკონომიკური საქმიანობისა და შემოსავლების ტრანსფორმაცია

A სამუშაო ძალის ეკონომიკური აქტივობა (15+ მოსახლეობა)



B საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ შინამეურწეობაზე



წყარო:

1) შინამეურწეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა -

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi>

2) შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, სამუშაო ძალის გამოკვლევა - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>

აღსანიშნავია პოლიტიკის დონეზე განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ, საქართველოში სოფლის განვითარების მიმართ ზოგადი პოლიტიკის ტრანსფორმაციის ტენდენცია. სახელდობრ, სოფლის მეურნეობიდან სოფლის განვითარებისაკენ აღებულ ორიენტირზე (General Policy Orientation) (Hodge & Midmore, 2008) მეტყველებს პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში, LEADER¹-ის მიდგომაზე დაფუძნებული პროექტების (*How ENPARD Works*, 2017) ინიცირება, რომელიც დაიწყო 2015 წელს. 2015 წლიდან დღემდე, LEADER-ის პრინციპების შესაბამისად, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში შეიქმნა და ფუნქციონირებს 14-ზე მეტი ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (LAG). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 მეტწილად მიმართულია სოფლად ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისაკენ, რაც მოიცავს „ძლიერ მხარდაჭერას“ (European Network for Rural Development, 2017), სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების მიმართ. კერძოდ, სახელმწიფოს მიერ შექმნილი პროგრამები მხარს უჭერენ სასოფლო დასახლებებში თვითდასაქმებასა და მეწარმეობის განვითარებას. მათ შორის შეგვიძლია გამოვარჩიოთ „აწარმოე საქართველოს“, სოფლის განვითარების სააგენტოს² მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამები.

1.2. კვლევის სიახლე და სამომავლო რეკომენდაციები

სოფლის განვითარების პოლიტიკის ორიენტაციის ცვლილება, ახალი პრინციპებზე გადასვლა რაც ხელს უწყობს სოფლის განვითარებაში ახალი, ალტერნატიული მიდგომებისა და პრაქტიკების დამკვიდრებას (Esparcia, 2000; Navarro et al., 2016). სასოფლო დასახლებებში ეკონომიკური დივერსიფიკაციის პროცესი და მისი

¹ ტერმინი LEADER ფრანგული აკრონიმია Liaison Entre Actions de Développement de l'Économie Rurale და ნიშნავს „სოფლის ეკონომიკასა და განვითარებაზე ორიენტირებულ ქმედებას კავშირი“, წყარო: https://ec.europa.eu/enrd/leader-clld_en.html#_edn1


² <http://www.rda.gov.ge/programs>

თანმხლები გამოწვევები მნიშვნელოვან პრობლემად და საჭირობოტო საკითხად რჩება (G. Salukvadze & Backhaus, 2020). სასოფლო დასახლებებში არსებული უმუშევრობის მაჩვენებელი ქალაქთან შეფარდებით თითქმის თანაბარია. საყურადღებოა, რომ რურალურ დასახლებებში მცხოვრები დასაქმებული ადამიანების 48.6% ძირითადად ჩართული იყო შემდეგ საქმიანობებში: სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა, თევზჭერა (Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2017).

არსებული მდგომარეობის ფონზე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას კვლავ სიღარიბის დაძლევა წარმოადგენს. ამასთან, აღნიშნული საკითხის აქტუალობას ადასტურებს სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, სასოფლო არეალებში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 20 პროცენტზე მეტია (იხ. დიაგრამა 3 a). რაც შეეხება მიღებულ შემოსავლებს, აღინიშნება სხვაობის ზრდა საქალაქო და სასოფლო შინამეურნეობებს შორის, ქალაქის სასარგებლოდ (იხ. დიაგრამა 3 b). ამავე დროს, წინამდებარე *[განახლება 2022 წელს]* სადოქტორო კვლევის განხორციელების პერიოდში სოფლად ერთ შინამეურნეობაზე შემოსავლების საშუალო მაჩვენებელმა გადააჭარბა ქალაქის შესაბამის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ შემოსავლების მაჩვენებელი განსაკუთრებით შეიცვალა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, არაფულადი შემოსავლების, უცხოეთიდან მიღებული გზავნილების ხარჯზე. რაც შეეხება აბსოლუტური სიღარიბის მიღმა მყოფი მოსახლეობის პროცენტულ წილს, ის გაზრდილია 2019 წელს 2017–თან შედარებით. კოვიდ პანდემიის პერიოდში სიღარიბის აღნიშნული მაჩვენებელი ერთგვარ ფლუქტუაციას განიცდიდა, თუმცა ქალაქსა და სოფელს შორის სხვაობა 8.3 პროცენტამდე გაიზარდა.


დიაგრამა 3. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა - ქალაქი-სოფლის შედარება

A აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი



დასახლების ტიპი • სოფელი • ქალაქი

B ერთ შინამეურნეობაზე საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება



დასახლების ტიპი • სოფელი • ქალაქი

წყარო: შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა -

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi>

სოფლად ეკონომიკის სუსტი დივერსიფიკაცია მთლიანობაში სოფლის ეკონომიკის სისუსტესა და არამდგრად განვითარებას უწყობს ხელს (Ellis & Freeman, 2005; Gautam & Andersen, 2016; Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2017). სოფლის განვითარების ახალი პარადიგმის ათი პრინციპიდან, ერთ-ერთი სწორედ სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციას ეხება; უფრო კონკრეტულად, სასოფლო არელების მდგრად განვითარებას, რაც მჭიდრო კავშირშია მდგრადი განვითარების მიზნების წარმატებით აღსრულებასთან (*A New Rural Development Paradigm for the 21st Century*, 2016)

ყოველივე ზემოთ აღწერილი ნათლად ასახავს, ერთი მხრივ, სოფლის განვითარების მიმართულებით ახალი მიდგომებისა და სოციალური პრაქტიკების წახალისების ტენდენციებს, ხოლო მეორე მხრივ, სოფლად არსებული სიღარიბის ფონზე შინამეურნეობების შეზღუდულ რესურსებს, რათა ინტეგრირება მოახდინონ ახალი შესაძლებლობების ათვისების პროცესში და ისარგებლონ არსებული/მოსალოდნელი სიკეთეებით. წარმოდგენილი გამოწვევა ქმნის რეალურ საფრთხეს, რომ სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი შესაძლოა საარსებო წყაროების დივერსიფიკაციის პროცესის მიღმა აღმოჩნდეს. აღნიშნულის შედეგად, ეს ყოველივე ეროვნულ დონეზე ექვევებში დააყენებს სოფლის განვითარების მიდგომების ინკლუზიურობასა და მდგრადობას. არსებული გარემოებების გათვალისწინებით ჩნდება გარდაუვალი საჭიროება, რომ მიმდინარე ცვლილებების ფონზე, მოხდეს სასოფლო არელებში შინამეურნეობების ოჯახზე დაფუძნებული მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყება ან განვითარების პროცესის სიღრმისეული შესწავლა.

წარმოდგენილი კვლევა მოიცავს როგორც სოფლის მეურნეობის დარგებს, მესაქონლეობას, მემცენარეობას, მეთევზეობას და ა.შ., ასევე, არასასოფლო სამეურნეო მიმართულებებს, მათ შორის ტურიზმს, ხის დამუშავებას, სამკერვალო საქმიანობას და ა.შ. განსხვავებული ეკონომიკური საქმიანობების შესწავლას მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნია, რადგან ხელს უწყობს შესწავლილი თემის განსხვავებული ჭრილით გააზრებას; თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კვლევა არ ეხება რიგ მნიშვნელოვან კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც წარმოდგენილია თითოეული სპეციფიკური დარგის ფარგლებში. მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი

სადოქტორო კვლევა მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება მსგავსი კვლევებისთვის, რომლებიც მომავალში ფოკუსირებულნი იქნებიან კონკრეტულ ეკონომიკურ მიმართულებებზე.

კვლევა მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის ტრანსფორმაციის პროცესს, შესაბამისად, კვლევის მიგნებები მხოლოდ შინამეურნეობის ეკონომიკური აქტივობის აღნიშნულ პერიოდს მოიცავს. კვლევის მიგნებები ძირითადად ეხება შინამეურნეობის ეკონომიკური საქმიანობის ტრანსფორმაციის პროცესში განსხვავებული კაპიტალებზე ხელმისაწვდომობას, მისი გამოყენების საკითხებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევა არ ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც ახასიათებენ ამა თუ იმ ეკონომიკური საქმიანობის ყოველდღიურ სპეციფიკას, მაგრამ არ გამოიკვეთა რესპონდენტთან ტრანსფორმაციის საკითხებზე საუბრის დროს. შესაბამისად, მომავალში განხორციელებული კვლევები შეიძლება დაინტერესდნენ სოფლად მცირე ბიზნესის ფუნქციონირებით, უფრო დეტალურად შეისწავლონ განსხვავებულ რესურსებზე წვდომის არსებული პრაქტიკები.

1.3. კვლევის მიზანი და ამოცანები

წარმოდგენილი სადოქტორო კვლევის მიზანია საქართველოში სოფლად მცხოვრები შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციის პროცესის შესწავლა, სოფლის განვითარების ზოგადი პოლიტიკის მიმართულების ცვლილების ფონზე.

იმისათვის რომ წარმატებით მივაღწიოთ კვლევით მიზანს, მდგრადი საარსებო წყაროების მიდგომების პრინციპების გათვალისწინებით (Chambers & Conway, 1991) ჩამოყალიბდა ამოცანები შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციის პროცესთან მიმართებაში.

[1] შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობებისა და მათ ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების გამოვლენა და ანალიზი.

[2] შინამეურნეობათა ადამიანური, სოციალური, კულტურული, ფიზიკური/ინფრასტრუქტურული და ფინანსური³ კაპიტალის მიღების/გადაცემის ფორმებისა და მოპოვების/შეგროვების სტრატეგიების ანალიზი.

[3] შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისა და არსებულის გაფართოების პროცესში რესურსების კაპიტალიზაციის ანალიზი ფიზიკური/ინფრასტრუქტურული, ბუნებრივი, სოციალური, ფინანსური, ადამიანური და კულტურული რესურსების მიხედვით;

[4] შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისა და არსებულის გაფართოების პროცესში ოჯახის წევრთა როლების/ფუნქციების განაწილების ანალიზი ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, კერძოდ სქესი, ასაკი.

1.4. საკვლევი კითხვები

ზემოთ მითითებული გამორჩეული სამეცნიერო მიდგომების სინთეზით განახლებული მდგრადი საარსებო წყაროების კონცეფციის გამოყენება, კვლევაში ერთ-ერთ გარდამტეხ სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს, რაც უპირობოდ შემოიტანს სიახლეს მრავალმხრივი საკვლევი თემატიკისა და მეთოდოლოგიური მიდგომის კუთხით (*იხ. დიაგრამა 4*). უფრო მეტიც, წარმოდგენილი პროექტი უზრუნველყოფს საკვლევი თემატიკის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას სხვადასხვა პერსპექტივების გათვალისწინებით, რაც აუცილებლად გახდება ახალი ცოდნის შექმნის წინაპირობა სოფლის განვითარების, ოჯახზე დაფუძნებული ეკონომიკური აქტივობების კვლევებისა და სოფლის სოციოლოგიის სფეროში. საერთო ჯამში, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად გაზრდის კვლევის სამეცნიერო ღირებულებას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

³ ადამიანური (human), სოციალური (social), კულტურული (cultural), ფიზიკური/ინფრასტრუქტურული (physical), ბუნებრივი (natural) და ფინანსური (financial) კაპიტალების დეტალური განხილვა იხ. თავი 3. კონცეპტუალური ჩარჩო - კაპიტალის ფორმები (Bourdieu, 1986; Scoones, 2009)

კვლევა ეფუძნება შემდეგ საკვლევ კითხვებს:

1. როგორ იღებს/გადაეცემა და მოიპოვებს/აგროვებს შინამეურნეობა ადამიანურ, სოციალურ, კულტურულ, ფიზიკურ/ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ კაპიტალს?
2. როგორ ახდენენ შინამეურნეობები ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისა და არსებულის გაფართოების პროცესში ფიზიკური/ინფრასტრუქტურული, ბუნებრივი, სოციალური, ფინანსური, ადამიანური და კულტურული რესურსების კაპიტალიზაციას?

დიაგრამა 4. საკვლევ კითხვების მოდელი



წყარო: დიაგრამა შექმნილია ავტორის მიერ

1.5. კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა

სადოქტორო კვლევის ფარგლებში განხორციელდა ისეთი შემთხვევების (მუნიციპალიტეტების) შესწავლა, რომლებიც მიეკუთვნება მაღალმთიან და სასოფლო

დასახლებებს. შესწავლილი შემთხვევები განსხვავდება მოსახლეობის რელიგიური, კულტურული, დემოგრაფიული პროფილით და ეკონომიკური საქმიანობების თვალსაზრისით. ამის გათვალისწინებით, წარმოდგენილი კვლევის შედეგები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მცირე საოჯახო მეწარმეობის ტრანსფორმაციის შესწავლასა და პრაქტიკული გადაწყვეტების შემუშავების პროცესში.

წარმოდგენილი სამეცნიერო სადოქტორო კვლევა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს სასოფლო დასახლებების სამომავლო მდგრადი, ინკლუზიური და სტაბილური განვითარებისათვის. შესწავლილი მუნიციპალიტეტები, ყაზბეგი, მესტია და ხულო ტურიზმის, სოფლის მმართველობის ქვემოდან-ზემოთ პრინციპის დანერგვისა და სხვა მიმართულებების დანერგვის, განვითარების განსხვავებულ ფაზაში არიან. ამასთან, თითოეული შემთხვევას მისთვის დამახასიათებელი გამოწვევის წინაშე დგას. შესაბამისად, მსგავსი სამეცნიერო კვლევა კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახლავთ, აღნიშნულ რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. გადაწყვეტილების მიმღები პირებს დაეხმარება ინფორმირებული გადაწყვეტების მიღებაში და განვითარების სწორი მიმართულებების განსაზღვრაში. საყურადღებოა, რომ კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების სიღრმისეული ანალიზი შექმნა ახალ, მნიშვნელოვან ცოდნას სასოფლო დასახლებები შინამეურნეობებზე-დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობების შესახებ. კვლევის მეშვეობით შეივსო ამჟამად არსებული ინფორმაციული დეფიციტი საკვლევ საკითხში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ახალ ინიციატივებს სასოფლო დასახლებებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვექტორის განსაზღვრაში.

სადოქტორო კვლევის ფარგლებში განხორციელებული უამრავი შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან იქნება წინაპირობა, რომ საბოლოოდ კვლევის შედეგები გათვალისწინებული იყოს რეგიონული, სოფლისა და მთის განვითარების სტრატეგიებში. სადოქტორო კვლევის შედეგები აისახა აკადემიური ცოდნის გაზიარების ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტის - სტატიების გამოქვეყნებით, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე. კვლევის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა საწყისი ეტაპიდან, რამაც შეუწყო ხელი კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენებასა და

შესაბამისად, პოზიტიური გავლენის გაძლიერებას საზოგადოებაზე. ამასთან, გათვალისწინებული საკითხის შესწავლისათვის პროცესში მოხდა ტრანსდისციპლინური მიდგომის პრინციპების ელემენტების ინტეგრაცია. კერძოდ დიდი ყურადღება დაეთმო ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობას, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის გაზრდას კვლევის მიგნებების რეკომენდაციებად თარგმნის პროცესში. აღნიშნული მიდგომა აგრეთვე წვლილს შეიტანს, რომ მოსახლეობის არცერთი ჯგუფი არ დარჩეს განვითარების შესაძლებლობების მიღმა და გრძელვადიან პერსპექტივაში მოახდინოს უთანასწორობის პრევენცია, სიღარიბის დაძლევა და ინკლუზიური განვითარება.

1.6. პუბლიკაციები, სამეცნიერო აქტივობები და სხვა მიღწევები

პუბლიკაციები

წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომი აერთიანებს 2017-2021 წლებში ავტორის ხელმძღვანელობით გამოქვეყნებულ სამ აკადემიურ სტატიას. პირველი სტატია გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში Mountain Research and Development, რომელიც ფოკუსირებულია ტრადიციული რესურსების კაპიტალიზაციაზე ტურიზმის, კერძოდ საოჯახო სასტუმროების შექმნის პროცესში. სტატია ხსნის ადგილობრივების მიერ საოჯახო სასტუმროების სერვისების შექმნის ტრანსფორმაციასა და გვიზიარებს ადგილობრივების მიერ ავთენტური ტურიზმის სერვისის შექმნის გამოცდილებას.

- **Gugushvili T, Salukvadze G, Salukvadze J.** 2019. Has Traditional Georgian Hospitality Been Sustained Under Tourism Development? Evidence from the High-Mountain Regions of Georgia. Mountain Research and Development. 39(4): R20–R26;

შემდეგი აკადემიური სტატია გამოქვეყნდა ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში Annals of Agrarian Science. სტატია მიმოიხილავს ტურიზმის განვითარებას რეგიონებში. ასევე, განიხილავს ტურიზმის, სოფლის მეურნეობის ურთიერთკავშირს და ტრანსფორმაციის პროცესს. ასევე, ყურადღება გამახვილებულია სტატიაში მათ

შესაძლებლობებსა და გამოწვევებს. საბოლოო ჯამში სტატია მკაფიოდ აღწერს მცირე მეწარმეების ტრანსფორმაციას სასოფლო დასახლებებში.

- **Gugushvili T**, Salukvadze G, Salukvadze J, Leonhäuser I, Durglishvili N, Pavliashvili N, Khelashvili, L. 2020. Participatory Policy Review: “Supportive Tourism” Concept for Hand-in-hand Rural and Mountain Development. *Annals of Agrarian Science* 18(3):269-281;

უახლესი სტატია გამოქვეყნდა 2021 წელს ლიუბლიანას უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის სამეცნიერო ჟურნალში DELA. სტატია განიხილავს ადამიანური კაპიტალის მოპოვების, მისი კაპიტალიზაციის საკითხებს. სტატია ნათლად აჩვენებს საოჯახო მეურნეობებისა და მცირე მეწარმეების სტრატეგიებს ახალი ცოდნის მოძიების გზებს, ტრადიციული და ინოვაციური ცოდნის ინტეგრაციას ტრადიციულ და ალტერნატიული ეკონომიკურ დარგებში.

- **Gugushvili, T.**, Roep, D., & Durglishvili, N. (2021). Transformation of family-based entrepreneurial activities in rural areas: View angle from human capital. *Dela*, (55), 87-106.

სადოქტორო კვლევის პერიოდში ავტორის ჩართულობით გამოქვეყნდა სტატიები, რომლებიც იკვლევენ ტურიზმის მიწოდების ჯაჭვს, ტურიზმისა და სხვა ეკონომიკური დარგების ურთიერთქმედებას. შვეიცარიელ კოლეგებთან ავტორმა გამოაქვეყნა პუბლიკაცია კორონავირუსის პანდემიის გავლენა საოჯახო სასტუმროებზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შემთხვევის შესწავლის საფუძველზე. *Caucasus Analytical Digest* გამოქვეყნდა ტურიზმის ტრანსფორმაცია საბჭოთა და დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში.

- Schmid, L. G., **Gugushvili, T.**, & Kohler, T. (2022). The rise of guesthouse tourism in the greater caucasus and the effects of the covid pandemic-the example of lagodekhi town and its protected area, Georgia. *Erdkunde*, (h. 1), 41-58;
- Merab Khokhobaia & Temur **Gugushvili**. (2021). Tourism Transformation in Georgia During the Soviet and Post-Soviet Eras. In Gvantsa Salukvadze (Ed.), *Caucasus Analytical Digest* (Vol. 122, pp. 3–8). <https://doi.org/10.3929/ethz-b-000506344>.

კონფერენციები და საერთაშორისო ღონისძიებები

სადოქტორო კვლევის კონცეფციის, მეთოდოლოგიისა და შედეგების გაზიარება და განხილვა შედგა ათზე მეტ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სადოქტორო კვლევის წარდგენა მოხდა მისი განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე. აღნიშნულმა შეუწყო ხელი მიღებული უკუკავშირების ინტეგრაციას კვლევის განხორციელების საწყისი ეტაპიდან.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომის აპრობაცია შედგა ციურიხის უნივერსიტეტში, მიმართულება: სივრცე, გარემო და საზოგადოება და ბერნის უნივერსიტეტში, განვითარებისა და გარემოს ცენტრში (Centre for Development and Environment).

- The 7th Forum Carpathicum conference, Krakow, **Poland**
- Caucasus Mountain Forum 2023, Kutaisi, **Georgia**
- XIX Biennial IASC Conference, Nairobi, **Kenya**
- Host public lecture, Centre for Development and Environment (CDE), Bern, **Switzerland**, 2023;
- Research Colloquium – FOKO, University of Zurich, Zurich, **Switzerland**, 2023;
- Working meeting “Rural Futures”, Flensburg, **Germany**, 2023;
- International Seminar/public open lecture hosted by Aristotle University of Thessaloniki, Thessaloniki, **Greece**, 2022;
- The 8th International Scientific Conference "Space, Society, Politics", Tbilisi, **Georgia**, 2020;
- The Second Caucasus Mountain Forum, Ankara, **Turkey**, 2019;
- International Mountain Conference, Innsbruck, **Austria**, 2019;
- Hidden Geography International Conference, Ljubljana, **Slovenia**, 2019;
- The Vietnam Sustainability Forum (VSF 2018), Hanoi, **Vietnam**, 2018;
- Innovation and Mountain Territories 3rd International Winter School, Monte-Carasso, **Switzerland**, 2018;
- ESRS (The European Society for Rural Sociology) Autumn School- Social Innovation in and for Sustainable Food Provision, Riga, **Latvia**, 2018.

კვლევითი ვიზიტები

სადოქტორო კვლევის ფარგლებში განხორციელდა ოთხი კვლევითი ვიზიტი. თითოეული მასპინძელი ინსტიტუტის მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კვლევის სხვადასხვა კომპონენტები. მიუხედავად იმისა, რომ დოქტ. ჰეინო მისენთან და პროფ. დოქტ. დირკ როეპთან კომუნიკაცია კვლევის საწყის ეტაპზე შედგა მათი ჩართულობა სადოქტორო კვლევის შემდგომ ეტაპზეც გაგრძელდა.

- პროფ. იერონიმ პეროვიჩი, აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრი, ციურიხის უნივერსიტეტი, ციურიხი (შვეიცარია), 2023
- დოქტ. ტამარა მიტროფანენკო, ბუნებრივი რესურსებისა და სიცოცხლის მეცნიერებათა უნივერსიტეტი (BOKU), ვენა (ავსტრია), 2020;
- პროფ. დოქტ. დირკ როეპი, სოფლის სოციოლოგთა ჯგუფი, ვაგენინგენის უნივერსიტეტი, ვაგენინგენი (ნიდერლანდები - online), 2020;
- დოქტ. ჰეინო მისენი, განვითარებისა და გარემოს ცენტრი, ბერნის უნივერსიტეტი, ბერნი (შვეიცარია), 2019.

ფინანსური მხარდაჭერა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა საერთაშორისო კვლევითი ვიზიტები და საველე სამუშაოები რეგიონებში. 2017 წლიდან სადოქტორო კვლევის საველე სამუშაოები ყაზბეგისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში. შემდეგ, 2021 წლიდან, იგივე საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოპოვებული დაფინანსებით საველე სამუშაოები გაგრძელდა აჭარის რეგიონს ხულოს მუნიციპალიტეტში. რაც შეეხება საერთაშორისო კვლევითი ვიზიტებს, ისინი განხორციელდა სადოქტორო სამეცნიერო გრანტების ფინანსური მხარდაჭერით. ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსურმა მხარდაჭერამ უზრუნველყო კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად მონაცემების შეგროვება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

- ფუნდამენტური კვლევები, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (FR-21-907) (180.000 GEL), 2021

- სადოქტორო სამეცნიერო გრანტების კონკურსი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (20 900 ლარი), 2019;
- ფუნდამენტური კვლევები, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (FR17_485) (98.063 GEL), 2017.

1.7. ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი, შესავალი მკითხველს აცნობს ინფორმაციას საკვლევი საკითხის აქტუალობის, პრობლემის ფორმულირებისა და კვლევის სიახლის შესახებ. აღნიშნული თავი ასევე მოიცავს სამომავლო რეკომენდაციებსა და შეზღუდვებს, რაც კვლევის პროცესში გამოვლინდა. შესავალი ასევე, ეთმობა კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის წარმოჩენს. შესავლის შემდეგი ქვეთავში წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია კვლევის მიზნის, ამოცანებისა და საკვლევი კითხვების შესახებ.

მეორე თავი ეძღვნება კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას, რომელიც ეყრდნობა ტრანსფორმაციული შერეული მეთოდების კვლევის დიზაინის (transformative mixed methods research design) პრინციპებს. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომით მოხდება რურალურ დასახლებებში შინამეურნეობების ეკონომიკური აქტივობების ცვლილების/ ტრანსფორმაციის როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდოლოგიური პერსპექტივებიდან შესწავლა. აგრეთვე, ამავე თავში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ მოხდა ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. ამის შემდეგ, მესამე თავში, ნაშრომი შეიცავს ინფორმაციას კვლევის კონცეპტუალური ჩარჩოს შესახებ, რომელსაც წარმოადგენს მდგრადი საარსებო წყაროების კონცეფცია (sustainable livelihoods concept). წარმოდგენილი თეორიული დისკურსი ქმნის მყარ საფუძველს იმისათვის რომ მოხდეს კვლევის ფარგლებში დასმული საკითხის მეცნიერული შესწავლა. ამავე თავში ავტორი აღწერს კაპიტალის სხვადასხვა ფორმებს, რომელთა შესწავლაც ნათელს მოჰფენს საქართველოს სასოფლო დასახლებების შინამეურნეობების შესაძლებლობებსა და კაპიტალს (asset), საქმიანობის ფორმებსა და საბოლოო შედეგებს. თეორიული ჩარჩოს მიმოხილვა ასევე მოიცავს მასთან დაკავშირებული კრიტიკული მოსაზრებების წარმოჩენასა და აღნიშნულის

გათვალისწინებას სადოქტორო ნაშრომში. ამავე თავში ნაშრომი მკითხველს უზიარებს ინფორმაციას იმ ლიტერატურულ წყაროებზე, რომლებიც ასევე საარსებო წყაროების სტრატეგიებს, დივერსიფიკაციას შეისწავლიან როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ადგილობრივ დონეზე განხილულია: საოჯახო ფერმერული მეურნეობების ტრანსფორმაცია საქართველოში, (მცირე) საოჯახო ტურისტულის საქმიანობა საქართველოს სასოფლო დასახლებებში და ტრადიციული პრაქტიკების როლი მთისა და სოფლის ტურიზმის განვითარებაში. შესაბამისად, ლიტერატურის მიმოხილვა აერთინებს სხვადასხვა შერჩეული, თემასთან დაკავშირებული ლიტერატურული წყაროები, რაც თავს უყრის ამ საკითხზე არსებულ დისკუსიებსა და კრიტიკას. აღნიშნულს მოსდევს მეოთხე თავი, რომელიც აამკარავებს კვლევის მიგნებებსა და შედეგებს. კერძოდ, ნათელს ჰფენს ოჯახზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციის პროცესში დაკავშირებულ სხვადასხვა კაპიტალების როლსა და მნიშვნელობას.

ნაშრომის ბოლო, მეხუთე თავი, ეთმობა მონაცემების ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული, ძირითადი დასკვნების წარმოჩენას და მკითხველისათვის გაცნობას.

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

2.1. კვლევის დიზაინი

ემპირიული კვლევის მეთოდებისა და მეორადი ინფორმაციის ანალიზის გამოყენება წარმატებით უზრუნველყოფს სადოქტორო კვლევის მიზნისა და ამოცანების შესრულებას, საკითხის სიღრმისეულად შესწავლას. სადოქტორო კვლევა დაფუძნებულია ტრანსფორმაციული შერეული მეთოდების კვლევის დიზაინის (transformative mixed methods research design) პრინციპებზე (Driscoll et al., 2007) რათა მოხდეს რურალურ დასახლებებში შინამეურნეობების ეკონომიკური აქტივობების ცვლილების/ ტრანსფორმაციის როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდოლოგიური პერსპექტივებიდან შესწავლა. ინფორმაცია, რომელიც შეგროვდება სიღრმისეული ინტერვიუების გამოყენებით გაანალიზდება თვისებრივი კონტენტ ანალიზის მეთოდის გამოყენებით (Mayring, 2000), ხოლო შემდეგ აღნიშნული ინფორმაციის დამუშავდება რაოდენობრივი პერსპექტივიდან გარაოდენობრივების (quantitizing) მიდგომის ინტეგრირებით (Tashakkori & Teddlie, 1998).

2.2. ლიტერატურის სისტემური მიმოხილვა

სამეცნიერო პუბლიკაციების მიმოხილვა განხორციელდა სისტემატური მიმოხილვის შვიდსაფეხურიან მეთოდის (Petticrew & Roberts, 2006) შესაბამისად. ავტორების მიერ შემოთავაზებული ლიტერატურის მიმოხილვა სისტემური ხასიათისაა და მიყვება ინსტრუქცია დასაწყისიდან ლიტერატურის მიმოხილვის დასრულებამდე. პირველი ეტაპი მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვის თემის განსაზღვრას, რომელსაც მოჰყვება საკვანძო სიტყვების, სიტყვების კომბინაციების შერჩევა, ინკლუზიისა და ექსკლუზიის კრიტერიუმების განსაზღვრა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ მიდგომაში მნიშვნელოვანია სხვადასხვა პლატფორმების გამოყენება, მათ შორის არა აკადემიური, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს არსებული ცოდნის ანალიზის ფართო დაფარვას. მეთოდის საბოლოო ნაბიჯებია შერჩეული სტატიების

ძირითადი მიგნებების შეჯამება და სინთეზი. ლიტერატურის სისტემური მიმოხილვის ინსტრუქციის შესაბამისად საკვლევი თემისა და კვლევის კითხვების ჩამოყალიბების შემდეგ ეტაპზე განხორციელდა სამეცნიერო პუბლიკაციების ძიების პროცედურები. განისაზღვრა საკვანძო სიტყვები და სიტყვების კომბინაცია. იმის გათვალისწინებით, რომ შინამეურნეობების ეკონომიკური აქტივობების შესწავლა სხვადასხვა კვლევის მიმართულებების ფარგლებში ხორციელდება საკვანძო სიტყვების ჩამონათვალი აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავდა და ლიტერატურის მიმოხილვის პროცესში პერმანენტულად განახლდა.

ოჯახზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის შესწავლა განსხვავებული კვლევის სფეროების ფარგლებში ხდება. მათ შორის გამორჩეულია საარსებო წყაროების ცვლილების, სასოფლო დასახლებებში შინამეურნეობის ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციის, მცირე ფერმერული მეურნეობების კომერციალიზაციის, ალტერნატიული ფერმერული მეურნეობების ადაპტაციისა და არასასოფლო სამეურნეო ეკონომიკურ საქმიანობაზე გადასვლის კვლევები (იხ. ცხრილი 1, 1-7). ცვლილებაზე ფოკუსირებული კვლევების მოძიებისთვის გამოყენებული იყო ისეთი ტერმინები როგორებიცაა ცვლილება, დივერსიფიკაცია, ადაპტაცია და ტრანსფორმაცია (იხ. ცხრილი 1, 8-13).

ცხრილი 1. საკვანძო სიტყვების ჩამონათვალი და ინგლისური შესატყვისები

| N | საკვანძო სიტყვები | Key words |
|---|---|------------------------------|
| 1 | მეწარმეობა | entrepreneurship |
| 2 | ეკონომიკური აქტივობები | economic activities |
| 3 | თვითდასაქმება | self-employment |
| 4 | საარსებო წყაროები | livelihoods |
| 5 | ბიზნესი | business |
| 6 | ფერმერობა | farm |
| 7 | მცირე მესაკუთრე | Smallholder |
| 8 | ალტერნატიული ფერმერული მეურნეობის განვითარება | alternative farm enterprises |

| | | |
|----|-----------------|-------------------|
| 9 | ცვლილება | change |
| 10 | კომერციალიზაცია | commercialization |
| 11 | დივერსიფიკაცია | diversification |
| 12 | დივერსიფიკაცია | pluriactivity |
| 13 | ტრანსფორმაცია | transformation |

საკვანძო სიტყვებთან კომბინაციაში გამოყენებული იყო ასევე დასახლების ტიპის აღმნიშვნელი სიტყვები „rural”, “village”, “mountain”. სისტემური მიმოხილვა განხორციელდა თითოეული კაპიტალის მიმართებით. ადამიანური კაპიტალის შესახებ ლიტერატურის მოძიების პროცესში განხორციელდა ეკონომიკურ აქტივობების გამომხატველ საკვანძოს სიტყვების კომბინაციასთან ერთობლიობაში შემდეგი ტერმინების გამოყენება „უნარები“, „ცოდნა, გამოცდილება, კულტურა, ტრადიცია (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. საკვანძო სიტყვების ჩამონათვალი - ადამიანური კაპიტალი

| N | საკვანძო სიტყვები | Key words | კაპიტალის ტიპი |
|---|-------------------|------------|----------------------------------|
| 1 | უნარი | skills | ადამიანური კაპიტალი |
| 2 | ცოდნა | knowledge | ადამიანური კაპიტალი |
| 3 | გამოცდილება | experience | ადამიანური კაპიტალი |
| 4 | კულტურა | culture | კულტურული და ადამიანური კაპიტალი |
| 5 | ტრადიცია | tradition | კულტურული და ადამიანური კაპიტალი |

| | | | |
|---|---------------------|-----------------|---------------------|
| 6 | ადამიანური კაპიტალი | human captal | ადამიანური კაპიტალი |
|---|---------------------|-----------------|---------------------|

მიების პროცესში სისტემური შეცდომის თავიდან არიდების მიზნით სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება განხორციელდა სხვადასხვა ელექტრონულ ბაზების Web of Science, Scopus, ScienceDirect, ResearchGate, and Google Scholar გამოყენებით. თითოეულ მათგანის საძიებო სისტემის გამოყენებით შეირჩა სტატიების ჩამონათვალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ connectedpapers (www.connectedpapers.com) ინსტრუმენტის გამოყენებით წარმოდგენილი ნაშრომის მსგავსი სტატიების საფუძველზე შეიქმნა Citation and Bibliographic Coupling კონცეფციით პუბლიკაციების კავშირის გრაფიკი - სტატიების ჩამონათვალი (იხ. დიაგრამა 5). დასახელებული ინსტრუმენტი იყენებს Semantic Scholar-ის სტატიების კორპუსს.

დიაგრამა 5. Connectedpapers-ში შექმნილი სტატიების კავშირის გრაფიკი



წყარო: www.connectedpapers.com

სამეცნიერო ელექტრონული ბაზებში ინდექსირებულ სტატიებთან ერთად სისტემური ლიტერატურის მიმოხილვის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია, ინტეგრირებულია ე.წ. “ნაცრისფერი ლიტერატურა“ (gray literature). აღნიშნული ლიტერატურის მოძიებისთვის გამოყენებულია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების კვლევის ანგარიშები.

აღწერილი პროცედურების შედეგად შეგროვებული ლიტერატურა საბოლოო ანალიზის დაწყებამდე შეფასდა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით, მათ შორის გეოგრაფიული მახასიათებელი (სოფელი, მთა) და კვლევის თემა საარსებო წყაროების/ ეკონომიკური აქტივობების დაწყების/გაფართოების პროცესი. აღნიშნული კრიტერიუმების შეფასება განხორციელდა პუბლიკაციის აბსტრაქტისა და დასკვნის საფუძველზე. შერჩეული პუბლიკაციების დამუშავებისა და შემდგომი ბიბლიოგრაფიის ეფექტური მართვის განხორციელდა Zoteros-ის გამოყენებით.

ლიტერატურის მიმოხილვის სისტემურმა მიდგომამ განაპირობა შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის ცვლილების მიმართულებით არსებული ცოდნის შეფასება და „სიცარიელის“ იდენტიფიკაცია. ლიტერატურის მიმოხილვის შედეგებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კვლევის მიზანი, ამოცანებისა და საკვლევი კითხვების ჩამოყალიბება.

2.3. მეორადი მონაცემების ანალიზი

კვლევის ამოცანების წარმატებით შესრულების მიზნით განხორციელდა საარსებო წყაროებთან დაკავშირებული შესაძლებლობებისა და რეგულაციების შესწავლა. კერძოდ გაანალიზდა საკანონმდებლო დოკუმენტები, სოფლის განვითარების სტრატეგიები და პროგრამები. ასევე, საარსებო წყაროების სტრატეგიების ცვლილების ძირითადი ტენდენციებისა და მისი მასშტაბურობის შეფასების მიზნით გაანალიზდა ბოლო ათი წლის განმავლობაში შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევის შედეგების ანალიზი და მომზადდა შესაბამისი ვიზუალიზაციები ძირითადად R პროგრამული ენის სხვადასხვა ბიბლიოთეკების გამოყენებით. დამატებით კვლევაში გამოყენებულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის,

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევისა და სამუშაო ძალის გამოკითხვის შედეგები.

2.4. სამიზნე ჯგუფი და შერჩევის მეთოდი

კვლევა ტარდება საქართველოს სამი მუნიციპალიტეტის სოფლების შემთხვევების შესწავლის მაგალითზე: ყაზბეგი, მესტია, ხულოს მუნიციპალიტეტები. განსხვავებული შემთხვევების (ტურიზმი, პროგრამა ლიდერი, ადგილობრივი განვითარების ჯგუფები, გეოგრაფიული მდებარეობა და რელიეფი) შესწავლა იძლევა შესაძლებლობას, რომ კვლევის თემა გაანალიზდეს საქართველოში მიმდინარე ძირითადი ცვლილებების კონტექსტში. ყაზბეგი, მესტია, ხულოს მუნიციპალიტეტები ტურიზმის განვითარების განსხვავებულ ეტაპზეა, შეიძლება იგივე ითქვას სოფლის ევროპული მოდელი ადაპტაციაზე, რომელიც კვლევის განხორციელების პერიოდისთვის სამივე მუნიციპალიტეტი მოიცვა თუმცა მათი დანერგვის სხვადასხვა ეტაპზე. სამი მუნიციპალიტეტიდან ყაზბეგი პირველი გახლდათ სადაც დაიწყო სამოქმედო ჯგუფების შექმნა, შემდეგ მესტიასა და ხულოში.

თვისებრივი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს აღნიშნული მუნიციპალიტეტების სოფლებში მცხოვრები შინამეურნეობების წევრები (კვლევის ერთეული - შინამეურნეობა). მიზნობრივი შერჩევის მაქსიმალური ვარიაცია (maximal variation) მიდგომის (Patton, 2015) შესაბამისად შერჩევა განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული მახასიათებლების მიხედვით:

- გეოგრაფიული მდებარეობა;
- საარსებო წყაროს პრაქტიკა;
- ოჯახის ტიპი;
- კაპიტალის მოცულობა.

მონაცემთა ანალიზის პროცესში შესაძლებელია, ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების, მსგავსება-განსხვავებების შეფასება.

პირველი გამოკითხვა განხორციელდა 2018 წელს საქართველოს ორ მუნიციპალიტეტში ყაზბეგსა და მესტიაში. 33 სიღრმისეული ინტერვიუები განხორციელდა ადგილობრივი შინამეურნეობების წარმომადგენლებთან მათი

გამოცდილების შესახებ თუ როგორ დაიწყეს ახალი ეკონომიკური საქმიანობა და გააფართოვეს არსებული (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. რესპონდენტების რაოდენობა სქესის, ასაკისა და მუნიციპალიტეტის მიხედვით

| მუნიციპალიტეტი | ყაზბეგი | | მესტია | | სულ |
|----------------|-----------|------------|-----------|------------|-----|
| | მამრობითი | მდედრობითი | მამრობითი | მდედრობითი | |
| ასაკი | | | | | |
| <=29 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| 30 - 39 | 1 | 4 | 1 | 2 | 8 |
| 40 - 49 | 3 | 0 | 1 | 2 | 6 |
| 50 - 59 | 4 | 1 | 5 | 2 | 12 |
| > 60 | 1 | 1 | 1 | 2 | 5 |
| სულ | 10 | 7 | 8 | 8 | 33 |

ხოლო მეორე საველე სამუშაოები განხორციელდა 2022 წელს ხულოს მუნიციპალიტეტში. ხულოს მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 9 შინამეურნეობა როგორც დაბა ხულოში, ისე მიმდებარე სოფლებში (იხ. ცხრილი 4)

ცხრილი 4. რესპონდენტების რაოდენობა სქესის, ასაკისა და მუნიციპალიტეტის მიხედვით

| მუნიციპალიტეტი | ხულო | | სულ |
|----------------|-----------|------------|-----|
| | მამრობითი | მდედრობითი | |
| ასაკი | | | |
| 30 - 39 | | 5 | 5 |
| 40 - 49 | | 1 | 1 |
| 50 - 59 | | 1 | 1 |
| > 60 | 2 | | 2 |
| სულ | 2 | 7 | 9 |

გამოკითხული შინამეურნეობის უმრავლესობა ჩართულია სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროში. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ჩართული შინამეურნეობები, რომლების წარმომადგენლებთან განხორციელდა ინტერვიუები განსხვავებული ქვედარგებში არიან ჩართულები, მათ შორის მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეთევზეობა და ა.შ. ორი გავრცელებული ეკონომიკური სფეროს მიღმა ინტერვიუები ჩატარდა არასასოფლო-სამეურნეო აქტივობებში ჩართული ადგილობრივებთან როგორცაა: მეტალო-პლასტმასის დამზადება, თეთრეული სამრეცხაო, საცხობი, სამკერვალო და ა.შ. (იხ. ცხრილი 5)

ცხრილი 5. რესპონდენტის რაოდენობა მუნიციპალიტეტისა და ეკონომიკური აქტივობების შესახებ

| მუნიციპალიტეტი/ ეკონომიკური აქტივობები | ყაზბეგი | მესტია | ხულო | სულ |
|--|-----------|-----------|----------|-----------|
| თეთრეული სამრეცხაო, საცხობი, მეტალო-პლასტმასის დამზადება, სამკერვალო | 2 | 1 | 2 | 5 |
| საოჯახო სასტუმრო | 7 | 10 | 2 | 17 |
| სოფლის და თევზის მეურნეობა | 7 | 4 | 5 | 11 |
| ტურისტული მომსახურება | 1 | 1 | | 2 |
| სულ | 17 | 16 | 9 | 42 |

მიზნობრივი შერჩევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა სივრცით დაფარვაზე. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შინამეურნეობის წარმომადგენლებთან ინტერვიუები ჩატარდა ხუთივე ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო მესტიის მუნიციპალიტეტში 17-დან 7 ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო ხულოში 13-დან 4 ადმინისტრაციულ ერთეულში (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6. რესპონდენტების რაოდენობა მუნიციპალიტეტისა და ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით

| მუნიციპალიტეტი/ ადმინისტრაციული ერთეული | შინამეურნეობის რაოდენობა |
|--|--------------------------|
| ყაზბეგი | 17 |
| გორისციხე | 5 |
| კობი | 1 |
| სიონი | 2 |
| სნო | 5 |
| სტეფანწმინდა | 4 |
| მესტია | 16 |
| ბეჩო | 4 |
| ლენჯერი | 3 |
| მესტია | 2 |
| მულახი | 2 |
| ნაკრა | 2 |
| უშგული | 1 |
| ჭუბერი | 2 |
| ხულო | |
| დეკანაშვილები | 3 |
| დიოკნისი | 4 |
| ვაშლოვანი | 1 |
| ხულო | 1 |
| სულ | 42 |

მიუხედავად ფინანსური და დროითი შეზღუდვების არსებობისა მიზნობრივი შერჩევის შესაბამისად შესაძლებელი გახდა სხვადასხვა კრიტერიუმის, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობის, სივრცითი განაწილებისა, დემოგრაფიული მახასიათებლებისა და ოჯახის ტიპის გათვალისწინებით განსხვავებული მახასიათებლებით შინამეურნეობების ჩართვა კვლევაში.

2.5. ინფორმაციის შეგროვების მეთოდები

კვლევის მიზნისა და ამოცანების წარმატებით შესრულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აუცილებელი ემპირიული ინფორმაციის სრულყოფილად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოპოვებაზე. სწორედ ამიტომ, შემუშავებული მეთოდოლოგიური ჩარჩო მოიცავს ინოვაციური ხასიათის მიდგომების გადაწყვეტების სინთეზს ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ტრადიციულ მეთოდებთან.

ემპირიული ინფორმაციის მოპოვების განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით (42 ინტერვიუ) (ინტერვიუების რაოდენობა განისაზღვრება სატურაციის (Saturation) პრინციპის გამოყენებით (Saunders et al., 2018)). ინტერვიუების საბოლოო რაოდენობა განისაზღვრა სავსე სამუშაოების პერიოდში. ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში, ინტერვიუების ჩატარება შეწყდა მას შემდეგ, რაც ადგილობრივებთან საუბრის ინტერვიუების ნარატივები მეორდებოდა. აღნიშნულმა მაქსიმალურად განაპირობა საკვლევ კითხვების შესახებ მაქსიმალურად სრული სურათის დაკვირვება.

ემპირიული ინფორმაციის შეგროვებისათვის გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი (იხ. დანართი 1), რომელიც შეიქმნა კონცეპტუალურ ჩარჩოზე დაყრდნობით. ძირითადი სასაუბრო თემები მოიცავდა შინამეურნეობების ეკონომიკურ საქმიანობას, ადამიანური კაპიტალის როლს საარსებო წყაროს განვითარების პროცესში, შინამეურნეობების მიერ ადამიანური კაპიტალის მიღების გზებს, მათი საქმიანობის შედეგებს. ასეთი მიდგომა მოიცავს მთელ პროცესს და პასუხობს მთავარ კითხვას, თუ როგორ ხდება სხვადასხვა კაპიტალის ფორმირება და

თავად კაპიტალი როგორ ახდენს ფორმირება შინამეურნეობების საარსებო წყაროს ფორმირებას.

აღსანიშნავია, რომ სავსე სამუშაოების განმავლობაში შინამეურნეობების წევრების შესახებ შეგროვდა სტრუქტურირებული (რაოდენობრივი) ინფორმაცია. სტრუქტურირებული კითხვარი, რეგისტრაციის ფორმა (იხ. დანართი 2) მოიცავდა რესპონდენტის და შინამეურნეობის წევრები, შინამეურნეობის შესახებ სექციებს მათ შორის დემოგრაფიული მახასიათებლები ასაკი, სქესი, განათლების დონე, შინამეურნეობის წევრების რაოდენობა, ეკონომიკური სტატუსი და ეკონომიკური საქმიანობა. სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით მონაცემები შეგროვდა მონაცემთა შეგროვების ელ. პლატფორმის kobotoolbox გამოყენებით. აღნიშნული პლატფორმა შეირჩა მისი უპირატესობების გათვალისწინებით სხვა მსგავს პლატფორმებთან შედარებით, განსაკუთრებით ინტერნეტის ლიმიტირებული წვდომის პირობებში გამართულად ფუნქციონირების შესაძლებლობის გამო.

ონლაინ მონაცემების შეგროვება [ექსპერიმენტული]

ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში ტექნოლოგიების ინტეგრაციის შედეგად აუარებელი ონლაინ მონაცემები ინდივიდების ურთიერთობების, ინტერაქციისა და სოციალური ქცევის შესახებ იქმნება. ტურიზმის ინდუსტრია არ გახლავთ გამონაკლისი, სადაც დღითიდღე იზრდება დიგიტალური ტექნოლოგიების ინტეგრაცია ტურიზმის ინდუსტრიის სხვადასხვა მიმართულებით. შესაბამისად, უპრეცედენტო რაოდენობის მონაცემების გახდა ხელმისაწვდომი მოგზაურობასთან დაკავშირებული აქტივობების, მათ შორის უკუკავშირი შეთავაზებული ტურისტული მომსახურებებზე. ბოლო წლების განმავლობაში, რამდენიმე მკვლევარმა (Lazer et al., 2009; Nardulli et al., 2015; Nelson, 2017) დაფუძნებული თეორიის (grounded theory) მიდგომის ფარგლებში კვლევისთვის გამოიყენა ონლაინ ხელმისაწვდომი არასტრუქტურირებული სოციალური მონაცემები მოგზაურების ქცევის შესახებ.

ტრადიციული მეთოდებით (სიღრმისეული ინტერვიუ) მონაცემების შეგროვებასთან ერთად ზემოთდასახელებული ინოვაციური მიდგომის ინტეგრაცია განხორციელდა წარმოდგენილ დისერტაციის ფარგლებში ექსპერიმენტული სახით. კერძოდ,

საქართველო არ არის გამონაკლისი სადაც ჩვენ ყოველდღიურობაში ტექნოლოგიების ინტეგრაცია ეტაპობრივად ხდება, მათ შორის სტუმარმასპინძლობის სფეროში. დაჯავშნის პლატფორმებზე ხორციელდება მასპინძელ-სტუმარს შორის ურთიერთობა, ერთი მხრივ ტურისტული მომსახურების შეთავაზებით, მეორე მხრივ ვიზიტორის მხრიდან უკუკავშირის დაბრუნებით, რაც უამრავ ინფორმაციას შეიცავს ტურიზმის დარგის განვითარების მახასიათებლების შესახებ.

კვლევის ფარგლებში, ონლაინ მონაცემების შესაგროვებლად, გადმოსაწერად (web-scraping) შეიქმნა სპეციალური ხელსაწყო⁴, რომლის გამოყენებით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული განთავსების საშუალების დაჯავშნის პლატფორმიდან booking.com-დან განხორციელდა მონაცემების შეგროვება. სახელდობრ, დასახელებული პლატფორმიდან შეგროვდა მომხმარებლების, ვიზიტორების უკუკავშირები მომსახურებაზე, რომელიც იქნა შეთავაზებული 2015 წლიდან 2018 წლამდე ყაზბეგსა და მესტიაში. აღნიშნულის საფუძველზე შეიქმნა მონაცემთა ბაზა რომელიც მოიცავდა 22,405 ვიზიტორის უკუკავშირს 330 სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების შესახებ. მონაცემების ჩანაწერები მოიცავდა ინფორმაცია დაწესებულებების ადგილმდებარეობის, უკუკავშირის გაკეთების თარიღი, ვიზიტორის მოქალაქეობა და ტექსტური მონაცემები - ვიზიტორების უკუკავშირი მიწოდებულ მომსახურებაზე.

2.6. მონაცემთა ანალიზი

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდა ტექსტური ინფორმაციის მომზადება მონაცემთა ანალიზისთვის. მონაცემების მომზადება მოიცავდა მოპოვებული სიღრმისეული ინტერვიუების აუდიო ჩანაწერების გაშინაარსება/ტრანსკრიპტი მომზადებას შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით (იხ. დანართი). ნედლი ტექსტური მონაცემები განთავსდა თვისებრივ მონაცემთა ანალიზის კომპიუტერული პროგრამა (CAQDA) MAXQDA-ში. დამატებით კომპიუტერული პროგრამა MAXQDA დაემატა სტრუქტურირებული კითხვარით

⁴ The booking.com კომენტარების შეგროვების ხელსაწყო შეიქმნა თორნიკე სხულუხიას მიერ <https://github.com/Tornike-Skhulukhia/booking-com-reviews-scraper-by-search-term-and-property-type>

შეგროვებული მონაცემები. მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი ინფორმაცია უნიკალური იდენტიფიკატორის გამოყენებით დაუკავშირდა ერთმანეთს. ყველა ამ ნაბიჯის გავლით მონაცემები მომზადდა CAQDA მიდგომით ანალიზისთვის.

მონაცემთა ანალიზის თვისებრივი კონტენტ-ანალიზის ჰიბრიდული მიდგომის (Mayring, 2000, 2014, 2022) გამოყენებით განხორციელდა. აღნიშნული მიდგომა მოიცავს ინდუქციური კატეგორიის განვითარებასა და დედუქციური კატეგორიის გამოყენებას. ინდუქციური კატეგორიის განვითარება გულისხმობს კატეგორიების შექმნას ნედლი ტექსტური მონაცემების საფუძველზე. კოდები [კატეგორიები] სახელწოდებები/შინაარსი ინტერვიუს ტექსტთან ახლოს არის, განზოგადების ხარისხი დაბალია. ხოლო, დედუქციური კატეგორიის გამოყენების დროს კატეგორიების ფორმულირება ხდება თეორიაზე დაყრდნობით. შექმნილი კატეგორიების მიხედვით ხორციელდება ტექსტი დაყოფა და შესაბამისი კოდების მიკუთვნება (Mayring, 2022).

კვლევის კონცეპტუალური ჩარჩოს, კვლევის კითხვების საფუძველზე, პირველ ეტაპზე შემუშავდა ძირითადი კატეგორიები, როგორებიცაა:

- ❖ ეკონომიკური საქმიანობა
- ❖ კაპიტალის ტიპები
 - სოციალური კაპიტალი
 - ადამიანური კაპიტალის კაპიტალიზაციის ისტორია
 - კაპიტალის მოძიების ისტორია
 - სოციალური კაპიტალის მოძიების ბარიერი
- ❖ ახალი საარსებო წყარო ინიცირების/ასეზულის გაფართოების ბარიერები
- ❖ სათემო კაპიტალი

ქვეკოდები შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობის[რესპონდენტების] მონათხრობების საფუძველზე, პირველ რიგში, განხორციელდა ინტერვიუს ტექსტთან ახლოს კოდირება. კოდირების ერთეულად წინადადება ან გასაგები სემანტიკური ტექსტის სეგმენტი იქნა შერჩეული. კოდირების პირველ რაუნდს მოჰყვა კოდების შერწყმა და განზოგადება. კოდებისა და ქვეკოდების განმარტება და ახსნა დეტალურად განხორციელდა კომპიუტერული პროგრამის MAXQDA-ის მეშვეობით ფუნქციის დახმარებით.

კოდირების შეთანხმების [intercoder agreement] განხორციელდა ორი ძირითადი ტექნიკის გამოყენება:

- (i) კოდირების სისტემა განიხილა კოლეგამ, რომელიც ამავე სფეროში მოღვაწეობს;
- (ii) კოდირება განიხილა ავტორმა ორჯერ სამი და ოთხი კვირის შუალედებში.


კოდირების დასრულების შემდეგ გარაოდენობრივების პრინციპის გამოყენებით შესაძლებელი გახდა თითოეული თემატური კატეგორიის მასშტაბისა და კატეგორიებს შორის თანაკვეთების დაკვირვება. ტექსტების კოდირებული სეგმენტების შესწავლა და გამოსახვა განხორციელდა კომპიუტერული პროგრამების ხელმისაწვდომი სპეციფიკური პროგრამებისა და ბიბლიოთეკების გამოყენებით. მონაცემების თვისებრივი-თვისებრივი, თვისებრივი-რაოდენობრივი კროსტაბულაცია ხელმისაწვდომია MAXQDA-ს სპეციალური შერეული მეთოდების ფუნქციებს სექციაში, მათ შორის Crosstab, code relation browser, MAXmaps. შემდგომი ანალიზისთვისა და მონაცემების ვიზუალიზაციისთვის გამოყენებულია R/Rstudio ბიბლიოთეკები networkD3 (Gandrud et al., 2017), ggplot2.

ლექსიკონზე დაფუძნებული თვისებრივ კონტენტ-ანალიზი (ექსპერიმენტული)

ონლაინი მონაცემების ანალიზი განხორციელდა ლექსიკონზე დაფუძნებული თვისებრივ კონტენტ-ანალიზის [dictionary-based quantitative content analysis] მიდგომის შესაბამისად (Krippendorff, 2004). საწყის ეტაპზე სადოქტორო კვლევისთვის აღნიშნული კვლევის კომპონენტისთვის შეიქმნა ლექსიკონის პირველი ვერსია სავსე სამუშაოების პერიოდში შეგროვებული სიღრმისეული ინტერვიუების ნარატივებისა და მონაწილეობითი დაკვირვების დროს გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე. ლექსიკონის შექმნის პროცედურას წრიული ხასიათი ჰქონდა (იხ. დიაგრამა 6). გამოყენებული იყო სხვადასხვა ხელმისაწვდომი ფუნქციები, მათ შორის keyword in contexts და word clouds. განახლებული ლექსიკონის გამოყენებით განხორციელდა ავტოკოდირება. აღნიშნულის შემდეგ გაკეთდა ავტოკოდირებული ტექსტის

გადახედვა და არსებული ლექსიკონი შეივსო ახალი სიტყვებით, სინონიმებითა და ლემატიზაციით⁵.

დიაგრამა 6. ლექსიკონის შექმნის ეტაპები ავტოკოდირებისთვის



წყარო: დიაგრამა შექმნილია ავტორის მიერ

ლექსიკონის შექმნის წრიული პროცესის შემდეგ შეიქმნა/განახლდა ლექსიკონი შემდეგ ავტოკოდირებისთვის. აღნიშნული წრიული პროცესი შესრულდა რამდენჯერმე რათა შექმნილიყო საუკეთესო კატეგორიები, რომელიც მოიცავდა ყველა ტექსტის სეგმენტს, ტურისტების კომენტარებს, რომლებიც გამოხატავდა ტრადიციული, კულტურული რესურსების კაპიტალიზაციას საოჯახო სასტუმროებში ტურისტული სერვისის ოგმენტური⁶ კომპონენტს.

⁵ კვლევაში გამოყენებულია ლემას ჩამონათვალი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია Michal Boleslav Měchura (<http://www.lexiconista.com/datasets/lemmatization/>), რომელიც ლიცენზირებულია Open Database License (ODbL) (<http://opendatacommons.org/licenses/odbl/1.0/>).

⁶ კოტლერისა და არმსტრონგის მიხედვით (Kotler & Armstrong, 2017) პროდუქტი ან სერვისი შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან, ძირითადი, რეალური და ოგმენტური პროდუქტები. ძირითადი პროდუქტი არის ყველაზე საბაზისო პროდუქტი, რომელსაც მომხმარებელი ისწრაფვის, რომ შეიძინოს. რეალური პროდუქტი არის საქონელი/მომსახურება, რომელიც შეთავაზებულია მომხმარებლისთვის განსაკუთრებული, უნიკალური მახასიათებლით, დიზაინი, ბრენდის სახელი და შეფუთვა. და ბოლოს,

თავი 3. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

3.1. კონცეპტუალური ჩარჩო

ლეფევერი (Lefebvre, 1956) ჯერ კიდევ 1960-იან წლებში მიუთითებდა სასოფლო დასახლებების კომპლექსურობაზე, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ, ისტორიული წარსულით, ხოლო მეორე მხრივ, არაინტეგრირებული, შერეული ახალი ფორმებითა და სტრუქტურებით. ის აღნიშნავდა, რომ სოფლის განვითარებისათვის რეფორმების განხორციელების პროცესში მეტწილად მნიშვნელოვანია სოფლის რეალობის შესწავლა და შესაბამისად, სოფლის სოციოლოგიის როლი. სასოფლო ტიპის დასახლებების კვლევებში, 1970-იანი წლებიდან განვითარდა ინტეგრირებული მიდგომა, რაც გულისხმობს სასოფლო არელების შესწავლას არალიმიტირებული სახით, კერძოდ, არამხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივიდან (Woods, 2011). წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი, იზიარებს ინტეგრირებული მიდგომის პრინციპებს, გათვალისწინებულია კვლევის სხვადასხვა ეტაპებზე მათ შორის მიზნისა და ამოცანების, სამიზნე ჯგუფის განსაზღვრის პროცესში.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს მდგრადი საარსებო წყაროების კონცეფცია (sustainable livelihoods concept), რათა საფუძვლიანად მოხდეს დასმული საკითხის მეცნიერული შესწავლა. ეს უკანასკნელი კვლევაში გააერთიანებს შემდეგ ასპექტებს: უნარიანობა/შესაძლებლობა (Capability), თანასწორობა (equity) და მდგრადობა. აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი კვლევა ნათელს მოჰფენს საქართველოს სასოფლო დასახლებების შინამეურნეობების შესაძლებლობებსა და კაპიტალს (asset), საქმიანობის ფორმებსა და საბოლოო შედეგებს (Chambers & Conway, 1991). აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლებიდან საარსებო წყაროების შესწავლისაკენ ორიენტირებული კვლევების კრიტიკა აქტიურად დაიწყო. საკდაპოლრაკი (2014) ამ პერიოდში შექმნილი ნაშრომების საფუძველზე გამოყოფს ძირითად ხარვეზებს (სტრუქტურა-აქტორი ურთიერთობების დაუბალანსებელი

პროდუქტის ოგმენტური ნაწილი, რომელიც მოიაზრებს დამატებით სარგებელს რეალური პროდუქტის შემენის შემდეგ იღებს მომხმარებელი, მათ შორის მეგობრული დამოკიდებულება, მხარდაჭერა, ზოგადი პოზიტიური ატმოსფერო და ა.შ.) (McGrath, 1999; Salamoura & Angelis, 2008)


შესწავლა, საარსებო წყაროს შესწავლის შეზღუდული დროითი დინამიკა) და გამოწვევების დაძლევისათვის გთავაზობს ბურდიეს პრაქტიკის თეორიის მიდგომას. შესაბამისად, მიუხედავად არსებული გამოცდილებისა საერთაშორისო დონეზე, აღნიშნული მიმართულებით დამატებითი ცოდნის შექმნის საჭიროებას ქმნის სწორედ ის სისუსტეები, რომლებიც ზემოთ დასახლებული ტიპის კვლევებს ახასიათებს.

საარსებო წყაროების სამი განვითარების სტრატეგია გამოიყოფა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, საარსებო წყაროების დივერსიფიკაცია და მიგრაცია (Scoones, 1998). საარსებო წყაროების დივერსიფიკაცია შინამეურნეობის დონეზე გულისხმობს არჩევანის გაკეთებას ახალი ეკონომიკური საქმიანობაში რესურსების ინვესტიციისკენ შემოსავლების გასაზრდელად და რეინვესტიციისთვის. შესაბამისად ახალი საარსებო წყაროების დივერსიფიკაცია, მოიცავს პროცესი, როდესაც შინამეურნეობა აყალიბებს ეკონომიკური აქტივობების ფართო სპექტრს (Ellis, 1998). ასევე, აფართოებს არსებულ რესურსებს როგორცაა მიწა, და/ან ავითარებს ადამიანურ კაპიტალს შემდეგი ინვესტიციის მიზნით (Ellis, 2008). დივერსიფიკაციის ცენტრალური საკითხია რესურსების ინვესტიცია, კაპიტალიზაცია, შესაბამისად მის წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია შინამეურნეობის კუთვნილ კაპიტალზე (ადამიანური, ფიზიკური/ინფრასტრუქტურული, ფინანსური და სოციალური კაპიტალი, ბუნებრივი კაპიტალი) (Ellis & Freeman, 2005; Gautam & Andersen, 2016). აღნიშნული თეორიული ჩარჩოს გამოყენების ფარგლებში, კვლევის ერთ-ერთი სიახლე იქნება ასევე კაპიტალის სხვადასხვა ფორმებისა და მათი მიღების/გადაცემის ფორმებისა და მოპოვების/შეგროვების სტრატეგიების შესწავლა, რაც მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, ადამიანურ, ფიზიკური/ინფრასტრუქტურული, ფინანსურ და სოციალურ კაპიტალს (Ellis & Freeman, 2005).

წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევა მხედველობაში იღებს საერთაშორისო დონეზე არსებულ შეზღუდვებს საარსებო წყაროების შესწავლის პროცესში (Sakdapolrak, 2014) (იხ. ილუსტრაცია 1); შესაბამისად (i) სადოქტორო ნაშრომის კონცეპტუალურ ჩარჩოში ინტეგრირებულია ბურდიეს კონცეფცია - „ჰაბიტუსი“, როგორც სოციალიზაციისა და კოლექტიური ისტორიის განვითარების შედეგი, რომელიც ქმნის და ასევე, ფორმირდება სოციალურ და ფიზიკურ გარემოდ. აღნიშნული უზრუნველყოფს საარსებო წყაროების ადაპტაციის პროცესში დროითი დინამიკის პერსპექტივიდან

შესწავლის შეზღუდვის დაძლევის (იხ. დიაგრამა 7); (ii) წარმოდგენილი კვლევა ერთი მხრივ, ფოკუსირებულია აქტორზე (შინამეურნეობა, ინდივიდი), ხოლო მეორე მხრივ, მიმდინარე განვითარების პროგრამებსა და სოფლის განვითარების ზოგადი პოლიტიკით გამოწვეულ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებზე (Prowse, 2010). ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს აქტორი-სტრუქტურის დაუბალანსებელი შესწავლის შეზღუდვის აღმოფხვრას საარსებო წყაროების შესწავლის პროცესში.

დიაგრამა 7. სადოქტორო კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო: მდგრადი საარსებო წყაროებისა და „ჰაბიტუსის“ კონცეფციების ინტეგრაცია




წყარო: ილუსტრაცია შექმნილია ავტორის მიერ

კაპიტალის ფორმები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალად ჩაითვლება რესურსი, რომელსაც აქვს რესურსი გამოიმუშაოს სხვა რესურსები (Flora et al., 2015). ტერმინი „კაპიტალი“ ამ შინაარსით გამოიყენება ტექსტში, ამასთან რესურსი და კაპიტალი სინონიმებადაც გამოიყენება. ბურდიე კაპიტალის სამ ფუნდამენტურ ფორმას გამოყოფს, პირველი, ეკონომიკური კაპიტალი, რომელიც მისივე განმარტებით უმაღლ და პირდაპირ გადაიცვლება ფულად და შესაძლოა ინსტიტუციონალიზებული იყოს საკუთრების უფლების სახით. მეორე, კულტურული კაპიტალი, გარკვეულ პირობებში გადაცვლადია ეკონომიკურ კაპიტალად და შეიძლება ინსტიტუციონალიზებული იყოს საგანმანათლებლო კვალიფიკაციის სახით, და მესამე სოციალური კაპიტალი, რომელიც შედგება სოციალური ვალდებულებებისგან („კავშირები“), რომელიც გარკვეულ მოცემულობაში გარდაიქმნება ეკონომიკურ კაპიტალად და შეიძლება ინსტიტუციონალიზებული იყოს წოდების სახით (Bourdieu, 1986). საარსებო წყაროების კვლევის კონტექსტში ავტორები ტრადიციულად „კაპიტალის ხუთკუთხედის“ (asset pentagon) გამოყოფენ (Scoones, 2009), რომელშიც მოიხსენიება ადამიანური, კულტურული, სოციალური, ფინანსური (ეკონომიკური), ფიზიკური/ინფრასტრუქტურული და ბუნებრივი კაპიტალები (იხ. დიაგრამა 8). თითოეულის სიღრმისეულად გაგებისთვის რამდენიმე ავტორის ხედვაა წარმოდგენილი და შეჯამებული, რომელმაც მონაცემებიდან შეგროვებით დაწყებული, ანალიზისა და ინტერპრეტაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრა.

დიაგრამა 8. კაპიტალის/რესურსების ხუთკუთხედი



წყარო: The Department for International Development (DFID), Sustainable livelihoods guidance sheets,

<https://www.livelihoodscentre.org/documents/114097690/114438878/Sustainable+livelihood+s+guidance+sheets.pdf/594e5ea6-99a9-2a4e-f288-cbb4ae4bea8b?t=1569512091877>

სკოონეს (Scoones, 1998) მიხედვით ადამიანური კაპიტალის მოიაზრებს უნარ-ჩვევების, ცოდნას, შესაძლებლობას, რომ იმუშაო, ჯანსაღი ჯანმრთელობასა და ფიზიკური შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია საარსებო წყაროების სხვადასხვა სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისათვის. ადამიანურ კაპიტალში მსგავს კომპონენტებს მოიაზრებენ, მათ შორის ჯანმრთელობა, განათლება, უნარ-ჩვევები, სხვა ავტორებიც დივერსიფიკაციის კვლევის კონტექსტში (Ellis, 2008). ფლორა და სხვები (2015) ადამიანური კაპიტალის განმარტება თემის/საზოგადოების კონტექსტში შემოგვთავაზეს, რომელიც ასევე ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უნარებზე, შესაძლებლობებზე, რომ ფლობდეს და გააზარდოს/განავითაროს საკუთრებაში არსებული და გარე რესურსები. მათი განმარტებით ადამიანური კაპიტალი მოიცავს “ქონებას”(assets) რომელსაც თითოეული ადამიანი ფლობს:

ჯანმრთელობა, ფორმალური განათლება, უნარები, ცოდნა, ლიდერობა და პოტენციალი. მიუხედავად იმისა, რომ დომინანტური კულტურული კაპიტალი გაგება მიდრეკილია განსაზღვროს ადამიანური კაპიტალი ფორმალური სწავლის თვალსაზრისით, მათი განმარტებით ადამიანური კაპიტალი გაცილებით მეტია ვიდრე განათლების ფორმალური მიღწევა. კვლევის თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებაზე მიუთითებს ფლორა და სხვები, რომ ეკონომისტებმა და სოციოლოგებმა ყურადღება ამახვილებენ ფორმალურ განათლებაზე (მაგ. ფორმალური განათლება და ტრენინგი), რადგან განათლების დონე ადვილი გასაზომია და მონაცემები ხელმისაწვდომია. ისინი გვთავაზობენ რომ კვლევაში აუცილებელია დავაკვირდეთ, თანაბრად მნიშვნელობის ადამიანური კაპიტალის კომპონენტებს/ფორმებს როგორცაა ცოდნისა და უნარების შექმნა გამოცდილების მიღების გზით.

ბურდიეს მიხედვით კულტურული კაპიტალი სამი ფორმით არსებობს. პირველია, ინკორპორირებული მდგომარეობა, მჭიდროდ დაკავშირებულია პიროვნებასთან (შეგვიძლია ვთქვათ სხეულთან). მისი მყისიერი გადაცემა, როგორც საჩუქარი, ყიდვა, გაცვლა ვერ ხდება. ამ ფორმის კულტურული კაპიტალი ბურდიეს მიხედვით ახლოს დგას ადამიანური კაპიტალის გაგებასთან (Portes, 1998). მეორე, ობიექტივაციის მდგომარეობაში კულტურული კაპიტალი გვხდება, როგორც მატერიალურ ობიექტები ნაწერები, ნახატები, ძეგლები, ინსტრუმენტები და ა.შ., გადაცემადია მისი მატერიალური მდგომარეობის გამო. და ბოლოს, მესამე, კულტურული კაპიტალის ინსტიტუციონალიზირებული ფორმა გვხდება, მაგალითად აკადემიური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი. კულტურული კომპეტენციის სერტიფიკატი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს მუდმივ, კანონიერად გარანტირებულ ღირებულებას კულტურასთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ბურდიეს მიხედვით სოციალური ქმედების შესწავლისათვის საკვანძოა ადამიანურ კაპიტალთან ერთად კულტურული კაპიტალის მნიშვნელობის გააზრება. კვლევაში კულტურული კაპიტალის უგულებელყოფა გამოიწვევს დაფარული და სოციალური მნიშვნელობის განმსაზღვრელი განათლების ინვესტიციის, კერძოდ ოჯახში კულტურული კაპიტალის გადაცემის გაუთვალისწინებლობას. შესაბამისად საკვლევი სოციალური მოვლენის ახსნაში აღნიშნული მოზაიკური თავსატეხი ნაწილის

მხედველობის არიდან გამორჩენას (Bourdieu, 1986). მიუხედავად ადამიანურის კაპიტალის კონცეფციის გაზიარებული გაგებისა მისი ოპერაციონალიზაცია/გაზომვა განსხვავდება სხვადასხვა კვლევებში. კერძოდ, ავტორები იყენებენ სხვადასხვაგვარ მიდგომებს ადამიანური კაპიტალის გასაზომად მათ შორის ფორმალური, არაფორმალური და ტრადიციული ადამიანური კაპიტალი.

საარსებო წყაროების კვლევის კრიტიკული ანალიზი კიდევ ერთხელ აჩვენებს სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას შინამეურნეობების კვლევებში. სტატიის მიხედვით (L. De Haan & Zoomers, 2005) საარსებო წყაროს შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად განისაზღვრება სოციალური ურთიერთობებით, ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ჩართულობით. ასევე ძალაუფლებას არის მნიშვნელოვანი ამხსნელი ცვლადი, მისი გათვალისწინება საარსებო წყაროების ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია. ხსენებული სტატია აკრიტიკებს ამ დარგში განხორციელებულ კვლევებს დასახელებული ცვლადების უგულვებელყოფაში. მოგვიანებით გამოქვეყნებული სტატია, რომელიც კრიტიკული გააზრებაა საარსებო წყაროების შესწავლის აღნიშნავს, რომ შესაძლებელი გახდა საარსებო წყაროს კვლევების შემდგომი თაობისთვის მოეხერხებინა ძალაუფლების ურთიერთობის/დინამიკის ანალიზის ინტეგრირება მნიშვნელოვანი გზით. ამან განაპირობა ძალაუფლების მოქმედების გააზრება საარსებო წყაროს სტრატეგიებში, რამაც საშუალება მისცა განვითარების ინტერვენციებს ეფექტური წვლილი შეეტანა საარსებო წყაროს მხარდამჭერი პროგრამების გაუმჯობესებაში (Leo. J. De Haan, 2012). პუტნამის (2000) მიხედვით მნიშვნელოვანია განვასხვაოთ სოციალური კაპიტალის ორი ფორმა (თუმცა სხვა დამატებითი ფორმების არსებობას არ უარყოფს) მაკავშირებელი ან ინკლუზიური (bridging (or inclusive)) და გამაერთიანებელი ან ექსკლუზიური bonding (or exclusive). ეს უკანასკნელი შინაგანად არის მიდრეკილი და მიდრეკილია გააძლიეროს ექსკლუზიური იდენტობები და ჰომოგენური ჯგუფები. ასეთი კაპიტალის მაგალითები შეიძლება იყოს ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები, თემატური კლუბები, ეთნიკური ორგანიზაციები. გამაერთიანებელი კაპიტალის კონცეფციის გამოყენება კაპიტალის ოპერაციონალიზაციის დროს მნიშვნელობა კვლევისთვის კონკრეტული ურთიერთგაგებისა და სოლიდარობის მობილიზებისთვის გაგება/ახსნისთვის. მაგალითისთვის ოჯახის, ნათესავების

ძლიერი/ინტენსიური კავშირები უზრუნველყოფს გადამწყვეტ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას საზოგადოების ნაკლებად იღვლიანი წევრებისთვის, ამავდროულად უზრუნველყოფს დამწყებ დაფინანსებას, ბაზრებს და საიმედო შრომას ადგილობრივი მეწარმეებისთვის. რაც შეეხება მაკავშირებელ, ინკლუზიურ კაპიტალს ისე მოიცავს კავშირებს (network) რომელიც გარეთ მიმართული, მოიცავს განსხვავებულ სოციალური ჯგუფების ადამიანებს. მაკავშირებელი კაპიტალის მაგალითებია და მოიცავს სამოქალაქო უფლებების მოძრაობა (civil rights movement), რელიგიური ჯგუფები, ასოციაციები. მაკავშირებელი სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარე კავშირების დასამყარებლად და ინფორმაციის გავრცელებისთვის (information diffusion). მის როლი შეიძლება კარგად გამოჩნდეს სამუშაო თუ ბიზნესის დაწყების დროს "სუსტი" კავშირები, ნაცნობები რომელიც კავშირის სხვა ჯგუფებთან უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე "ძლიერი კავშირები" ოჯახის წევრები, ნათესავები ან ახლო მეგობრები. გამოყოფენ (DaCosta & Turner, 2007) კიდევ ერთ სოციალურ კაპიტალის ფორმას, დამაკავშირებელი კაპიტალი, რომელიც ზემოთ დასახელებული კაპიტალებისგან განსხვავებით ვერტიკალური მიმართულება აქვს, რომელიც აკავშირებს ინდივიდებს, შინამეურნეობებს/ოჯახებს, ჯგუფებს, საზოგადოებებს სხვადასხვა ისტორიით. ასეთი მაკავშირებელმა ხაზმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს როგორც საშუალება მოიპოვო რესურსები, ინფორმაცია ფორმალური ინსტიტუტებიდან, უშუალო საზოგადოების მიღმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის. ბურდიე სოციალური კაპიტალის რამდენიმე მახასიათებელს გამოყოფს (Bourdieu, 1986) სოციალური კაპიტალი არის არსებული ან პოტენციური რესურსები ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია მდგრად კავშირთან რომელიც მეტ-ნაკლებად ინსტიტუციონალიზირებულია ერთმანეთის ნაცნობობისა და აღიარებით. ისინი წარმოადგენენ ერთი გუნდის წევრებს, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ ამ ჯგუფის მფლობელობაში არსებული სერვისებით. ასეთი ჯგუფებს შეიძლება საერთო სახელით გაძლიერებული იყოს მათი სიმყარე, როგორებიც არის ოჯახი, პარტია, ასოციაცია და ა.შ. სოციალური კაპიტალის მოცულობა, რომელსაც ფლობს მოცემული აგენტი (მაგ. ოჯახი), დამოკიდებულია კავშირების კაპიტალის მოცულობაზე (მათ შორის ეკონომიკური, კულტურული), რომლის სარგებლობის უფლება აქვს კონკრეტულ ამ ინდივიდს, ჯგუფს. სოციალ კავშირები ბუნებრივად და

არც სოციალურად მოცემულობა არ არის. პირიქით ურთიერთობების ქსელი არის ძალისხმევის შედეგია, ინდივიდუალური თუ კოლექტიური, შეგნებულად თუ არაცნობიერად მიმართული სოციალური ურთიერთობების დამყარებაზე ან რეპროდუცირებაზე, რომლებიც უშუალოდ გამოსაყენებელია მოკლე ან გრძელვადიან პერიოდში. არაფორმალური ურთიერთობები, ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა, ფორმალური კანონით არის გარანტირებული, შენარჩუნებული ეს კავშირები. შინამეურნეობების ეკონომიკური საქმიანობის კონტექსტში სოციალური კაპიტალის პრაქტიკული მხარე წარმოდგენილია როგორც ოჯახებისთვის რესურსის მათ შორის კავშირები, სოციალური ურთიერთობები, ასოციაციები, მიკუთვნებულობა, რომელზე დაყრდნობითაც ეკონომიკური საქმიანობის განვითარების სტრატეგიის დროს კოორდინირებულ ქმედებებით მიიღწევა (Scoones, 1998). ავტორი (Portes, 1998) გვიჩვენებს ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს სოციალური კაპიტალის უარყოფითი გავლენა. პირველ რიგში მისი აზრით ეკონომიკური და ადამიანური კაპიტალისგან განსხვავებით სოციალური კაპიტალის ფლობა ითვალისწინებს ინდივიდი/ოჯახის უნდა იყოს დაკავშირებული სხვა ადამიანთან და ეს სხვა, არა თვითონ ფლობს ამ რეალურს, არსებულ რესურსებს. სხვადასხვა წყაროების შეჯამებით ის გვთავაზობს სოციალური კაპიტალის რამდენიმე უარყოფით გავლენას ძლიერი კავშირები რომელიც სარგებელი მოაქვს მისი წევრებისთვის იგივე წარმატებით შეიძლება დაბრკოლება აღმოჩნდეს სხვებისთვის მისაწვდომობის კუთხით. მჭიდრო კავშირებში შეიძლება კონტროლიც მაღალი იყოს, ახალი წესების მიმართ მიუღებლობამ ხელი შეუშალოს ახალი მეწარმეების მიერ ბიზნესის დაწყებას.

პუტნამი განახლებული წიგნში, „Bowling Alone: The Collapse and Revival of American Communities”(Putnam, 2020) წინამორბედი ავტორებისგან განიხილავს სოციალურ კაპიტალზე ინტერნეტის, სოციალური მედიის გავლენის შედეგებს და გვთავაზობს მის ხედვას ამ საკითხზე. გამოვყოთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება ინტერნეტ პლატფორმები გამოიყენება ახალი ფორმის/ფორმატის კავშირების შესაქმნელად, რომელთა არსებობა ინტერნეტამდელ სამყაროში შეუძლებელი იყო. მისი ხედვით ინტერნეტ პლატფორმები წარმოადგენენ რეალურ და მნიშვნელოვან დანამატებს სოციალურ კაპიტალის და ხელს უწყობს ცხოვრების გაუმჯობესებას. პუტნამი გვთავაზობს ახალ კონცეფციას „alloys“ (ლეგირება), ინტერნეტი დომინირებულ

სამყაროში მხოლოდ ვირტუალური კავშირების ძალიან ცოტა, პირიქით მიუხედავად იმის, თუ როგორ დაიწყო სოციალური კავშირების ჩამოყალიბება ონლაინ თუ ფიზიკურად, უმეტესობა კავშირებს ინარჩუნებენ ელექტრონული საშუალებებით თუმცა უკვე შეხვდნენ ან მომავალში გეგმავ შეხვედრას. შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტ პლატფორმების, სოციალური მედიის გაძლიერებით მივიღეთ ახალი ტიპის ურთიერთობები, რომელიც ერთდროულად (simultaneously) ხორციელდება ონლაინ და ფიზიკურად (offline). და ბოლოს ის მიგვითითებს გავრცელებულ შეცდომაზე როცა ხდება "რეალური" ან ოფლაინ კავშირების შეპირისპირება ვირტუალურ სოციალურ კავშირებთან, იმოწმებს რა სხვადასხვა კვლევას ამ დიქტომიის გადაწყვეტს გვთავაზობს უკვე დასახელებული კონცეფციით "alloy", რომელიც აერთიანებს ონლაინ ან ვირტუალურ და ოფლაინ ან რეალურ ურთიერთობებს. ეს უკანასკნელი შეიძლება განსხვავებული ფორმებით შეხვდეს სოციალური მედიების ფორმების მიხედვით და შეიცვალოს სოციალური პლატფორმების ცვლილებასთან ერთად.

ავტორები კიდევ ერთ მნიშვნელოვან რესურს გამოყოფენ, რომელიც რიგ შემთხვევებში ითარგმნება სხვა კაპიტალების ფორმებად, მათ შორის ადამიანური და ფიზიკური კაპიტალი. ფინანსური კაპიტალი ან ეკონომიკური კაპიტალი გვხდება განსხვავებული ფორმებით ნაღდი ფული, კრედიტი/ვალი, დანაზოგი და სხვა ეკონომიკური აქტივები, მათ შორის ძირითადი ინფრასტრუქტურა და საწარმოო აღჭურვილობა და ტექნოლოგიები, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად (Scoones, 1998). იენ სკუნსს მსგავსად ფლორა (Flora et al., 2015) და მისი კოლეგები თვლიან რომ ფინანსური კაპიტალი მხოლოდ ფული არ არის. ფინანსური კაპიტალის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომ ის არის რესურსი, რომელიც ითარგმნება ფულად ინსტრუმენტებად. ის უაღრესად მაღალი ლიკვიდურობით გამოირჩევა, შესაბამისად ადვილად გარდაიქმნება სხვა აქტივებში. ფინანსური კაპიტალის ამგვარი განმარტება განასხვავებს მოხმარებასა და ინვესტიციას. მათ მოჰყავთ ასეთი მაგალითი თუ ვინმე იყიდის მანქანას პირადი სიამოვნებისთვის, მანქანა არ ითვლება კაპიტალის ფორმად. მაგრამ თუ ის იყიდის მანქანას სატრანსპორტო სამსახურის გასატარებლად, მანქანა ხდება შემოსავლის გამომუშავების საშუალება. რესურსს (მანქანას) შეუძლია სხვა რესურსების (შემოსავლის) გამომუშავება. ფინანსურ კაპიტალზე წვდომა შესაძლებელია

სოციალური კაპიტალის გავლით. ფინანსურ კაპიტალზე წვდომა შესაძლებელია სოციალური კაპიტალის გავლით. ფინანსური კაპიტალით მხარდაჭერა შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. არაფორმალური ფინანსური კაპიტალის მხარდაჭერის მაგალითები შეიძლება იყოს თემის, სოფლის, ოჯახის დონეზე, ხოლო ფორმალური სახელმწიფო ან კერძო სექტორის მხარდაჭერა (DaCosta & Turner, 2007).

„კაპიტალის ხუთკუთხედის“ კიდევ ერთი კომპონენტია ფიზიკური/ინფრასტრუქტურული კაპიტალი ავტორებთან განსხვავებული სახელით გვხვდება ადამიანის მიერ შექმნილი (humanmade), შექმნილი/აშენებული (built) კაპიტალი. ფლორას და კოლეგების გააზრებით, შექმნილი კაპიტალი ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს და ხელს უწყობს ადამიანის საქმიანობას. შექმნილი კაპიტალი თემის დონეზე არის საერთო სარგებლობის ფიზიკური ინფრასტრუქტურა და საშუალებები, რომლებიც მხარს უჭერენ პროდუქტიულ საქმიანობას ადგილობრივ მოსახლეობას. იგი მოიცავს გზებს, ქუჩებს და ხიდებს, აეროპორტებსა და რკინიგზას, ელექტრო და ბუნებრივი აირის კომუნალურ სისტემებს, წყალმომარაგების სისტემებს, პოლიციისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდისა და ნარჩენების განთავსების ობიექტებს, სატელეფონო და სხვა საკომუნიკაციო ობიექტებს, სკოლებს, საავადმყოფოები და სხვა საზოგადოებრივი და კომერციული შენობები, ასევე სათამაშო მოედნები და ფეხბურთის მოედნები. გამოყოფენ სიკეთეებისა და სერვისების ორ ტიპს წვდომის თვალსაზრისით ექსკლუზიური ხელმისაწვდომი როცა რესურსებზე წვდომა გარკვეული ჯგუფებისთვის ან ინდივიდებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ხოლო ინკლუზიური შექმნილი კაპიტალი, როდესაც ის საზოგადოებაში ყველასთვის არის ხელმისაწვდომი (Flora et al., 2015). Serageldin & Steer (1994) თავის ნაშრომში იყენებენ ტერმინს ადამიანის შექმნილი და გულისხმობენ ასევე ინფრასტრუქტურას, შენობებს და ა.შ. საერთო საკუთრებაში თუ ფიზიკური/ინფრასტრუქტურული კაპიტალში იგულისხმება საბაზისო ინფრასტრუქტურას, როგორცაა ტრანსპორტი, კომუნიკაციები, წყლის მიწოდების სისტემა, შინამეურნეობის ფლობაში შეიძლება გულისხმობდეს წარმოების ინსტრუმენტები, საშუალებები რომელიც დაეხმარება ოჯახს საარსებო წყაროების შექმნაში (Drinkwater et al., 1999). მისი ზოგადი განმარტება, ეკონომიკური კვლევების გვთავაზობს, ნივთიერებების ცვლილებით ხელსაწყობის შექმნა რომელიც პროდუქციის წარმოების მართვას (facilitate) (Coleman, 1988).

ზემოთდასახელებულ კაპიტალებთან შედარებით ბუნებრივი კაპიტალი სასოფლო დასახლებებში, სადაც ხალხის საარსებო წყარო ძირითადად უშუალოდ ბუნებრივ რესურსებზე ეფუძნებოდა, აქტუალობის უფრო დიდი ისტორია აქვს. კაპიტალის/რესურსების კონცეფციის, რომლებზეც ადამიანებს წვდომა სჭირდებათ საარსებო წყაროს შექმნის პროცესში, გაფართოებული ხედვის ჩამოყალიბების და დივერსიფიკაციის მხარდაჭერის მიუხედავად მან მნიშვნელობა არ დაკარგა (Bebbington, 1999). ბუნებრივ რესურსებში მოიაზრება ბუნებრივი გარემო, რომელი აქტუალურია, ფუნქციურია ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისთვის, შედეგად საარსებო წყაროების შესაქმნელად. კერძოდ, მიწა, ტყე, ველური ბუნება, ბიომრავალფეროვნება, წყალი, ეკოსისტემის სერვისები და ა.შ. ბუნებრივი კაპიტალი შეიძლება იყოს როგორც კერძო, შინამეურნეობის საკუთრებაში, ასევე საერთო სოფლის, თემის საკუთრებაში (Drinkwater et al., 1999). ბუნებრივი კაპიტალის შესწავლის, განხილვის კონტექსტში მნიშვნელოვანია მისი დაცვის, მდგრადი გამოყენების საკითხების განხილვა, განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების ფონზე ამ თემების მნიშვნელობა გაიზარდა (Serageldin & Steer, 1994).

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაპიტალის განსხვავებული ფორმები ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია. მისი საბაზისო განმარტების შესაბამისად თითოეული კაპიტალს შესწევს უნარი გამოიმუშაოს, გადაიცვალოს და/ან გადაითარგმნოს სხვა ფორმის რესურსში, კაპიტალში. ამასთან მათი განსხვავებული პერსპექტივიდან გააზრება მნიშვნელოვანია საარსებო წყაროების, მცირე საოჯახო ბიზნესების ტრანსფორმაციის პროცესის შესასწავლად და ასახსნელად. კაპიტალების კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია მნიშვნელოვანი გზამკვლევა კვლევის ყველა ეტაპისთვის განსაკუთრებით კვლევის ამოცანების, კვლევის კითხვების ჩამოყალიბების პროცესში.

3.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვა აჩვენებს, რომ დიდი რაოდენობის პუბლიკაციები ემდვნება სასოფლო დასახლებებში მცირე საოჯახო ბიზნესის დაწყების საკითხებს. სამეცნიერო ლიტერატურაში ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს

ასრულებენ სოფლად შინამეურნეობების მიერ ახალი ეკონომიკური საქმიანობის ჩამოყალიბების პროცესში შეისწავლება განსხვავებული პერსპექტივებიდან. აღსანიშნავია, რომ ხსენებული საკითხის შესწავლას ყურადღება ეთმობა კვლევის სხვადასხვა მიმართულებების ფარგლებში, მათ შორის მეწარმეობის, (Munjal, 2019; Pato, 2015), თვითდასაქმება (Tuijl, 2016; Wang et al., 2016), ფერმერობა (Alsos et al., 2003), საარსებო წყაროების სტრატეგიები (Scoones, 1998) და დივერსიფიკაციის შესწავლა (Khai & Danh, 2014). ზემოთ დასახლებული კვლევის მიმართულებები მოიცავს ეკონომიკურ აქტივობების მრავალ სახეობებს, როგორებიცაა დასაქმებული - დაქირავებული, უცხოეთიდან მიღებული გზავნილები, მიგრაცია, ისინი ასევე მოიცავენ ისეთ კვლევებს, რომლებიც ფოკუსირებულია მცირე ოჯახზე დაფუძნებულ ეკონომიკურ აქტივობებზე. განსხვავებული პერსპექტივებიდან შესწავლის შედეგად მიღებული შედეგების მიმოხილვა უზრუნველყოფს სრული სურათის წარმოდგენას თუ რა როლს თამაშობს განსხვავებული კაპიტალები შინამეურნეობების მიერ ეკონომიკურ აქტივობების დაწყების პროცესში.

საერთაშორისო დონეზე სასოფლო ტიპის დასახლებების დივერსიფიკაციის პროცესის შესწავლის მრავალწლიანი ტრადიცია არსებობს. მათგან აღსანიშნავია კვლევები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ დივერსიფიკაციისა და ადამიანების კეთილდღეობის ურთიერთკავშირზე (Gautam & Andersen, 2016), საარსებო წყაროს მოძიების სტრატეგიების არჩევისა (Fang et al., 2014; Meraner et al., 2015; Zinda & Zhang, 2018) და დივერსიფიკაციის ფაქტორებზე, ასევე მის გეოგრაფიულ თავისებურებებზე (Lange et al., 2013).

ოჯახზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციის შესწავლა ხდება სხვადასხვა ეკონომიკური დარგების მაგალითზე. მათი მოტივაცია ალტერნატიული საარსებო წყარო დაწყებისკენ კი შეიძლება ორი ძირითად მიმართულებად გაიყოს. სოფლად შინამეურნეობებს ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების აღმოჩენისკენ უბიძგებს როგორც „გადარჩენის“ სტრატეგია, შეზღუდული გარემო, ასევე ახალი შესაძლებლობების გამოჩენა. „გადარჩენის“ სტრატეგიამ შეიძლება იგივე წარმატებით იმუშაოს, როგორც ეკონომიკური გაუმჯობესების მიზნით დაწყებულმა ინიციატივებმა. ალტერნატიული ფერმერული საქმიანობის განვითარება, რომელიც გულისხმობს არატრადიციული რესურსების

ინტეგრაციას არსებულ ფერმერულ მეურნეობებში, ხდება ძირითადად ორი დამატებითი კაპიტალის "დაგროვებისა" ან "გადარჩენას" მიზნით (Bowler et al., 1996). პირველ შემთხვევაში ეს ადგილობრივი შინამეურნეობის არჩევანზეა დამოკიდებული, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს შეიძლება ერთადერთი გადარჩენის შესაძლებლობა იყოს. განვითარებადი ქვეყნების სასოფლო დასახლებების შინამეურნეობებში დივერსიფიკაცია არის ფართოდ გავრცელებული სტრატეგია, რომელიც ოჯახის არჩევანით ან მათ წინაშე არსებული აუცილებლობით არის განპირობებული. აღნიშნული ასევე მიღებულია სუბსაჰარულ აფრიკაში. დივერსიფიკაციის, როგორც საარსებო წყაროს სტრატეგიის წარმატება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის შინამეურნეობის კონტექსტზე, როგორცაა მისი დაუცველობა შოკების მიმართ და აქტივების ან კაპიტალის ტიპებზე, რომლებიც მას გააჩნია შემოსავლის გამომუშავებისთვის. ავტორებმა გამოიკვლიეს როგორც არჩევანის, ასევე აუცილებლობის დივერსიფიკაცია და გამოავლინეს ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ პროცესის წარმატებას (Musumba et al., 2022). ორივე შემთხვევაში თუ დივერსიფიკაციის რა მიმართულებას აირჩევენ ადგილობრივები გავლენას ახდენს მათივე სფეროში მომუშავე სხვ ფერმერები. ალტერნატიული ფერმერული საქმიანობა, ასევე იგულისხმება დივერსიფიკაციის პროცესი კვლევებში განსხვავებული კონფიგურაციები გხვდება.

დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობის ფარგლებში

საბერძნეთში განხორციელებული კვლევა გვთავაზობს ჩარჩოსა და მტკიცებულებას იმის შესახებ თუ როგორ იცვლება ფერმერული ბიზნესი ალტერნატიული ფერმერული წარმოების (AFE) ჩამოყალიბებისა და განვითარების გზით. კვლევა ეყრდნობა ბიზნეს ტიპოლოგიას ალტერნატიული ფერმერული წარმოების განვითარების სხვადასხვა გზების შესასწავლად, მათ შორის ტრადიციული წარმოების შენარჩუნება, ფერმის რესურსების გადანაწილება ახალ სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში/მომსახურებებში, ფერმის ფარგლებს გარეთ არსებული საქმიანობები, ინდუსტრიული გაფართოება, ან ფერმერული მეურნეობა, როგორც ჰობი, ან მეურნეობის დატოვება. სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის ფიზიკური მახასიათებლები, ბიზნესი და ადამიანური კაპიტალი, გავლენას ახდენს

ფერმის ბიზნესის განვითარების გზის განსაზღვრაზე. ალტერნატიული ფერმერული საწარმოების განმარტება სპეციფიკურია თითოეული რეგიონისთვის, რადგან გარდა ტრადიციული საწარმოებისა, მოიცავს განსაზღვრულ რეგიონში დეფიციტურ, თუმცა სხვა ტერიტორიებზე განვითარებულ საწარმოებს. ალტერნატიული ფერმერული საწარმოების გამოყენებამ შეიძლება განსაზღვროს ადგილობრივი/რეგიონული ინოვაციური შესაძლებლობები და ასევე, წარმოადგენს პოტენციურ ინსტრუმენტს სოფლის მეურნეობის განვითარების ინტეგრირებული სტრატეგიის დასაგეგმად (Damianos & Skuras, 1996). ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ჩატარებული კვლევა უფრო მსხვილ დაყოფას გვთავაზობს და გვაჩვენებს სოფლის მეურნეობის ფარგლებში სამ განსხვავებულ დივერსიფიკაციის სტრატეგიაზე ან სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ცვლილებას. მათი ანალიზის ფარგლებში გამოვლინდა მეურნეობის სამი ძირითადი ტიპი. ნატურალური მეურნეობა (subsistence farming); სოფლის მეურნეობის გავრცელებული დარგი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხოლოდ იმ რაოდენობით წარმოებას გულისხმობს, რაც საკმარისია ოჯახის სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის და არ არის ორიენტირებული მის გაყიდვაზე. გადარჩენაზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობა (“survivalist” farm households) მათივე საქმიანობის მოდერნიზაციას უყურებს როგორც ოჯახის შემოსავლების შენარჩუნების შესაძლებლობას. პროდუქტივისტული ფერმერული მეურნეობის (“productivist” the farm households) მფლობელი შინამეურნეობები ინარჩუნებენ სრულ სამუშაო თავიანთ ფერმაში, მათი შემოსავალი დონე, რაოდენობა დამოკიდებულია ფერმის გაფართოებაზე და ადაპტაციაზე შეცვლილი ეკონომიკურ და საბაზრო გარემოზე. აღსანიშნავია, რომ ნატურალური მეურნეობა ხასიათდება მცირე, მრავლობითი ფერმის ოჯახებით, რომლებიც ეყრდნობიან დაქირავებულ შრომას და აქვთ მოდერნიზაციის დაბალი დონე. გადარჩენაზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობა წარმოადგენს მცირე საშუალო ზომის მეურნეობებს, რომლებიც იყენებენ ფერმის ფარგლებს გარეთ მომგებიან საქმიანობას, როგორც შემოსავლის დამატებით წყაროს, ხოლო ფერმერთა გარეთ დასაქმება ხელს უწყობს მოდერნიზაციას ზოგიერთ შემთხვევაში. შესაძლებლობას. პროდუქტივისტული ფერმერული მეურნეობის ასოცირდება ფართომასშტაბიან ფერმებთან, სადაც ოჯახის წევრები სრულ განაკვეთზე მუშაობენ ფერმაში და აქვთ მექანიზაციისა და კაპიტალური ინვესტიციების უფრო მაღალი დონე (Daskalopoulou & Petrou, 2002).

სტატიაში ველტინი და სხვა თანაავტორები (Weltin et al., 2017) გვთავაზობენ ფერმის ტიპოლოგიის განმარტებას და აღწერას, რომელიც ასახავს ფერმერების დივერსიფიკაციის სტრატეგიებს. ტიპოლოგია მოიცავს რამდენიმე ტიპის შინამეურნეობას, როგორცაა (i) "მცირე ფერმის შინამეურნეობების დივერსიფიკაცია", რომლებიც მცირე ზომის არიან; (ii) „ახალგაზრდა ორგანული მეურნეობის შინამეურნეობები“, სადაც ყველა შინამეურნეობა ეწევა ორგანულ წარმოებას და თითქმის ნახევარი მონაწილეობს აგრო-ეკოლოგიურ აქტივობებში/სქემებში; (iii) „LFA-ზე ადაპტირებული შერეული მეურნეობები“; (iv) "ნახევარ-განაკვეთზე მომუშავე ტრადიციული მეურნეობები", რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ფერმის ფარგლებს გარეთ დივერსიფიკაციას და ნაკლებად ინოვაციურად ითვლებიან; (v) "მცირე მასშტაბიანი მეცხოველეობის სპეციალისტები", რომლებიც შედგება მხოლოდ მცირე შინამეურნეობების მქონე მეცხოველეობის ფერმებისგან; და "ინტენსიური მეცხოველეობის პროფესიონალებისგან". დივერსიფიკაციის კვლევებისთვის ტიპოლოგიზაციის მიღმა მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორ აისახება შინამეურნეობის სტრუქტურაზე. აღნიშნულ საკითხს ანალიზებენ ავტორები და აკვირდებიან იმ ცვლილებებს, რომლებიც თავს იჩენს სხვადასხვა საოჯახო ფერმის ბიზნესის ტრანსფორმაციის პროცესში. მიუხედავად რეგიონული ფერმის დივერსიფიკაციის სხვადასხვა სტრატეგიების ხელმისაწვდომობისა, არსებობს ფერმის დივერსიფიკაციის, როგორც შინამეურნეობების შემოსავლის გაზრდის საშუალების გამოუყენებელი და აუთვისებელი პოტენციალი. მაგალითისათვის, ფერმერული მეურნეობის ზრდის შესაძლებლობებს მიეკუთვნება აგროტურიზმი, ზრუნვის სერვისები (როგორცაა სოციალური მეურნეობა), პროფესიული მომსახურება და არტიზანული საკვები პროდუქტების განვითარება. შემოსავლის ახალი წყაროების გენერირების გარდა, ოჯახის წევრებისთვის დასაქმების შესაძლებლობების შექმნა ასევე, განიხილება, როგორც მოტივაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი (Jack et al., 2021).

ტექნოლოგიების ადაპტაცია

საარსებო წყაროების ტრანსფორმაციის, დივერსიფიკაციის კვლევის სფეროში აქტუალური ტექნოლოგიების ადაპტაციის საკითხები და ამ გზის შემოსავლების დივერსიფიკაცია, ან ეკონომიკური საქმიანობის ცვლილება. მკვლევრები შეისწავლიან

საინფორმაციო ქსელების გავლენა მცირე ფერმერების სწავლისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე, რაც იწვევს გაუმჯობესებული pulse varieties, ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების მიღებას და წარმართავს სამომავლო ძალისხმევას ეთიოპიის ორ სოფელში მცირე ფერმერების საარსებო წყაროების გასაუმჯობესებლად. ეს ნიშნავს, რომ ფერმერის პოზიცია და ჩართულობა ქსელში მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო და კვების შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მოსაპოვებლად და თესლის არჩევანის გადაწყვეტილებებში (Geleta et al., 2023). შოტლანდიაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ავტორები ვარაუდობენ, რომ სასოფლო არეალებში მიმდინარეობს როგორც რეაქტიული, ასევე პროაქტიული სოციალური ინოვაცია. რეაქტიული ინოვაცია წარმოიქმნება, როგორც პასუხი აუცილებლობაზე, ხოლო პროაქტიული ინოვაცია წარმოიქმნება გარემოში შესაძლებლობების იდენტიფიცირების შედეგად. ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ რეაქტიული ფაქტორები სულაც არ აბრკოლებს სოციალური ინოვაციების დამკვიდრებას; სინამდვილეში, მათ მისი გაძლიერებაც კი შეუძლიათ (Steiner et al., 2023). ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ინტეგრაციამ შინამეურნეობების ეკონომიკურ საქმიანობაში. აღნიშნული კვლევა იყენებს ინდივიდუალური "შემთხვევის შესწავლის" მიდგომას და სწავლობს ირლანდიაში ფერმერ შინამეურნეობებს, და შეისწავლის მათ ინოვაციურ შესაძლებლობებს მრავალფეროვან სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში. ანალიზისათვის მონაცემების შეგროვება მოხდა ფერმებიდან და განვითარების სააგენტოებიდან/ მხარდამჭერი გაფართოების სერვისებიდან (Mc Fadden & Gorman, 2016). ბოლო წლებში გამოქვეყნებულმა კვლევებმა გაანალიზეს ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ან აფერხებენ ტექნოლოგიების მიღებას (Curry et al., 2021). კვლევა, რომელიც ეფუძნება შემთხვევითი ტიპის ექსპერიმენტს კენიაში, იკვლევს სოციალური ქსელების გავლენას ფერმერებს შორის ტექნოლოგიების მიღებაზე. უფრო კონკრეტულად, ავტორებმა შეისწავლეს ბანანის ქსოვილის კულტურის მიღება საინფორმაციო სესიების მეშვეობით. სოციალური ქსელების მიზეზობრივი ეფექტის იდენტიფიცირებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვან კონტრიბუციას ახდენს ამ თემის შესახებ უკვე გამოქვეყნებულ ფართო ლიტერატურულ მასალებში (Chowdhury et al., 2022). ტენოლოგიების საკითხები სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან

კომპონენტებსაც ეძღვნება, მათ შორის პირუტყვის მართვის დანერგული ტექნიკის წარდგენას კვლევითი პროექტის დროს. ამასთან, აანალიზებს ფერმერების, პერსონალისა და პოლიტიკის შემქმნელების მიერ ახალი ცოდნის აღქმასა და გამოყენებას. კვლევაში ინტეგრირებულია გრძელვადიანი პერსპექტივა და გვიჩვენებს, თუ როგორ აერთიანებენ ფერმერები თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკაში, ცოდნას სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის ადგილობრივი ინსტიტუტებიდან და კულტურული მოლოდინებიდან (L. J. Williams et al., 2022).

საარებო წყაროების ცვლილება კლიმატის ცვლილების ფონზე

კლიმატის ცვლილების გავლენა წარმოადგენს იმ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ადგილობრივ ფერმერებს უქმნის საჭიროებას რომ გარდაქმნან თავიანთი ეკონომიკური საქმიანობები. იმის გათვალისწინებით, რომ კლიმატი გარემო დედამიწაზე სწრაფად იცვლება, ის გავლენას ახდენს ამინდზეც და ქმნის ისეთ ექსტრემალურ მოვლენებს, როგორცაა გვალვა, წყალდიდობა და სიციხე. ეს გარემო პირობები გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე, წყლის ხელმისაწვდომობაზე და მეცხოველეობის წარმოებაზე. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორები თავის მხრივ ნეგატიურად მოქმედებს სამეურნეო სექტორის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე. აქედან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში ადგილობრივ ფერმერებს შეიძლება დასჭირდეთ განიხილონ თავიანთი ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია ან უფრო მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გამოყენება ცვალებად კლიმატთან ადაპტაციისათვის, რათა მოახერხონ და მათი ოჯახის საარსებო წყაროს შენარჩუნება. პროგნოზების მიხედვით, წყლის ხელმისაწვდომობის მოსალოდნელი ცვლილებები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურაზე. მაგალითისთვის ბრინჯის კულტივაციაზე შრი-ლანკის სოფლებში მოსალოდნელია, რომ ეს გავლენა იმდენად მნიშვნელოვანი იქნება, რომ ბევრი ფერმერი იძულებული გახდება შეწყვიტოს ბრინჯის კულტივაცია და გადავიდეს სხვა კულტურებზე, რომლებიც უფრო ნაკლებად რეაგირებენ ტემპერატურისა და წყლის ხელმისაწვდომობის ცვლილებებზე (Burchfield & Poterie, 2018). მკვლევრები აღნიშნულ საკითხს შეისწავლიდნენ სხვადასხვა რესურსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ტიბეტის მთიანეთში

მკვლევრებმა შეისწავლეს სოციალური კავშირების, სოციალური ნდობისა და სოციალური ნორმების ეფექტი ფერმერების მიერ კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სტრატეგიების არჩევაზე მაღალ ყინვაგამძლე ეკოლოგიურად დაუცველ ზონებში. ამის მისაღწევად, მათ ჩაატარეს მოქმედი ფერმერების შინამეურნეობების გამოკითხვა რეგიონში ყველაზე გავრცელებული ადაპტაციის სტრატეგიების შესახებ, მათ შორის ფერმერული სეზონის ადრეული გადატანა, ხელოვნური ბალახის დარგვა და პირუტყვის შემცირება(Wang et al., 2021).

ცვლილება არასასოფლო სამეურნეო დარგებისკენ

სასოფლო დასახლებებში ეკონომიკური საქმიანობების ტრანსფორმაციის საკითხების კონტექსტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არასასოფლო დარგების მიმართულებით შინამეურნეობების ეკონომიკურ საქმიანობების გადანაცვლებას. მკვლევრები სწავლობენ ფერმერების გადაწყვეტილებების მიღების პროცეს ახალი სამეწარმეო საქმიანობების დაწყების შესახებ, კერძოდ ტრადიციული სოფლის მეურნეობის მიღმა ეკონომიკურ საქმიანობებს. ავტორებს აინტერესებთ ამ გადაწყვეტილებების მიღმა არსებული გარემოებები, მათ შორის აფასებენ ფერმერების ოჯახის სტრუქტურასა და მის როლს (Hansson et al., 2013). სოფლის მეურნეობიდან არასასოფლო სამეურნეო საქმიანობაზე გადასვლა „ფერმის დატოვების“ ცნებითაც არის ცნობილი. ნეპალში განხორციელებული კვლევა ზუსტად ამ ტიპის ტრანსფორმაციას შეისწავლის. კვლევა იყენებს მდგრადი საარსებო წყაროების მიდგომას რათა გამოიკვლიოს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფერმერული შინამეურნეობების არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე გადასვლაზე. კვლევა შეისწავლის შინამეურნეობის ადამიანური, ბუნებრივი და ეკონომიკური კაპიტალის, სოციალურ-კულტურული ფონის და ფიზიკური რესურსების წვლილს საარსებო საშუალებების ცვლილებაში (Bhandari, 2013). არასასოფლო სამეურნეო მიმართულებით ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციის კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტურიზმის მიერ შექმნილი შესაძლებლობების გამოყენებით შემოსავლების გაუმჯობესება ან დივერსიფიკაცია. ჩინეთის სასოფლო

დასახლების მაგალითზე მკვლევრები აჩვენებენ, მათ ყოვლისმომცველ ანგარიშში, შინამეურნეობების საარსებო წყაროების გარდაქმნის პროცესს, კერძოდ სოფლის მეურნეობიდან ტურიზმზე გადასვლის გამოცდილებას. მკვლევრებმა გამოიყენეს ეთნოგრაფიული კვლევა ჩონდუს ხეობაში (Chongdu Valley), რათა გაეგოთ ადგილობრივების გამოცდილება, რომლებიც ადრე ეყრდნობოდნენ სოფლის მეურნეობას და ახლა დამოკიდებულნი არიან სოფლის ტურიზმზე. დასკვნები მიუთითებს, რომ სოფლის ტურიზმის, როგორც ახალი საარსებო წყაროს მიღება და ჩამოყალიბება მოითხოვს უწყვეტ მოლაპარაკებას, კორექტირებას და ჩართულობას (Xue & Kerstetter, 2018). ტურიზმის როგორც ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობა სასოფლო დასახლებებში გავრცელებული პრაქტიკაა. რუმინეთის სოფლების მაგალითზე კვლევა შეისწავლის ტურიზმის, როგორც ეკონომიკური დივერსიფიკაციის სტრატეგიის გამოყენებას, სადაც სოფლის ეკონომიკაში ცვლილებებმა აიძულა ზოგიერთი ოჯახი მიმართოს ამ სექტორს ეკონომიკური საქმიანობისთვის. თვისებრივი მეთოდები იქნა გამოყენებული სოფლის ტურიზმის მეწარმეების გამოცდილებისა და გზების შესასწავლად, რომლითაც ტურიზმს შეუძლია გააუმჯობესოს მათი საარსებო წყაროები. კვლევაში ხაზგასმულია ის მიზეზები, რის გამოც ამ ოჯახებმა გადაწყვიტეს ტურისტული საქმიანობით დაკავება (Iorio & Corsale, 2010). ფერმერული მეურნეობის შესწავლის მაგალითზე სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილეს ფერმების მიერ ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართვის საკითხები. ფერმერები აგროტურისტულ მომსახურებას ქმნიან, რომელიც თავისი სტრუქტურით, შინაარსით განსხვავებულია წარსულში ფერმერების საქმიანობისგან. აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს მეურნეობების „გამეორების“ გზად. სტატიაში ყურადღება ეთმობა ფერმის რესურსებს და თუ როგორ იყენებენ ეს საოჯახო მეურნეობები თავიანთ ფერმის რესურსებს, კულტურას და ადგილმდებარეობას მათი ფერმის ბიზნესის შესანარჩუნებლად. სტატიაში ასევე განხილულია, თუ როგორ იცვლება ფერმის იდენტობა აღნიშნული პროცესის გამო, რომელიც გამოწვეულია ტურიზმის ახლებური მუშაობის შედეგად (Brandth & Haugen, 2011).

კაპიტალების როლი შემოსავლების დივერსიფიკაციის პროცესში

ზემოთ დასახელებული შემთხვევების შესწავლის პროცესში ავტორები გამოყოფენ მრავალ ფაქტორს, რომლებიც ახალი ეკონომიკური ციკლის დაწყებისას ხელს უწყობენ შემოსავლების დივერსიფიკაციას. კვლევის საწყისი ეტაპები აჩვენებს, რომ სოფლად ტურიზმზე დაფუძნებულ საარსებო წყაროზე გადასვლა რთული პროცესია. Chongdu Valley-ის მაცხოვრებლები უამრავი დაბრკოლების წინაშე დადგნენ როგორცაა დამოკიდებულება, ფინანსური და კულტურული ბარიერები, რომელთა გადალახვაც მათ მოუწიათ, რათა ეფექტურად გადასულიყვნენ ტურიზმზე-დაფუძნებულ საარსებო წყაროზე (Xue & Kerstetter, 2018). ბელგიელ ფერმერებს შორის ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ როდესაც საოჯახო ფერმები აერთიანებს სხვადასხვა რესურსებს, ამან შეიძლება შეუწყოს ხელი შემოსავლის დივერსიფიკაცია და საბოლოო ჯამში ეკონომიკური გაძლიერებას. ფერმაში და მის ფარგლებს გარეთ შემოსავლების დივერსიფიკაციის დამოკიდებულება რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის სოციალური კაპიტალისა და სოციალური კავშირების სიძლიერეზე, ფერმერის გახსნილობაზე კონტაქტებისადმი, ინფორმაციისა და ცოდნის წყაროების ძიებაზე და პროფესიულ დამოკიდებულებაზე (Meert et al., 2005). ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფერმის გადაწყვეტილებაზე დივერსიფიკაციის შესახებ, ასევე მოიცავს ტერიტორიას, პოლიტიკის განვითარებას, შემოსავალს, ასაკს და მეურნეობის სტილს (García-Arias et al., 2015). უახლესი კვლევის შედეგები ვარაუდობს, რომ ისეთი ფაქტორები, როგორცაა განათლების დონე, ოჯახის ზომა, ბუნებრივი რესურსის ხელმისაწვდომობა, როგორცაა მიწის ზომა, პირუტყვისთვის სათანადო ინფრასტრუქტურა, ადეკვატური წარმოების ტექნოლოგიის გამოყენება, ინფორმაციის წყაროებზე და ბაზრებზე წვდომა და კლიმატის აქტიური რისკი მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციის გადაწყვეტილებაში ფერმათა შინამეურნეობებს შორის (Khan et al., 2020). გადარჩენისთვის ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობის დამწყები ფერმერებით გარკვეული რესურსების კომბინაცია აქვთ ამის გასაკეთებლად. საბერძნეთში ალტერნატიული მეურნეობების შესწავლა ნათელს ჰფენს რომ გადარჩენაზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობა არის ფერმების მიერ გამოყენებული ყველაზე გავრცელებული მოდელი, სხვადასხვა რესურსების მიწის, შრომისა და კაპიტალის კომბინაციით. ეს მოდელი გამოვლინდა, როგორც ყველაზე ადაპტირებადი ცვალებად პოლიტიკისა და ეკონომიკური გარემოს მიმართ, რადგან ეს ფერმები ბევრად უკეთ ითვისებენ ფერმის ალტერნატიულ

საქმიანობებს. ამ შინამეურნეობებიდან ზოგიერთმა შესაძლებელია იმგვარად შეძლოს პოზიციონირება, რომ უკეთ აითვისოს ალტერნატიული მეურნეობის საქმიანობები. განსაკუთრებით, ისეთები, რომლებმაც გამოავლინეს მოდერნიზაციის ნიშნები და გამოიყენონ არა-ფერმერული საქმიანობების შემოსავლების სწორედ მეურნეობის გასაუმჯობესებლად. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა მეურნეობებს არ შეუძლიათ განვითარების განსხვავებულ გზას გაჰყვეს (Daskalopoulou & Petrou, 2002). ფინანსურ კაპიტალთან ერთად კვლევა აჩვენებს რომ ადამიანური კაპიტალი მნიშვნელოვანი პროდუქტიულობის გასაზრდელად ამ კვლევამ შეაჯამა, თუ როგორ გავლენას ახდენს მეურნეობის მიღმა მიღებული შემოსავალი ფერმასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე და გამოავლინა, რომ ფერმის მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფერმის ბიზნესის გადარჩენაზე, ზრდასა და წარმატებაზე, კრედიტებზე წვდომაზე. აღნიშნულზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ ისეთი ინიციატივები, როგორცაა ფერმის პროდუქტიულობის გაზრდა, DTC მარკეტინგში მონაწილეობის წახალისება და სასოფლო-სამეურნეო პროგრამების გადახდების გაზრდა, შეიძლება გააუმჯობესოს შედეგები დამწყები ფერმებისთვის. გაუმჯობესებულმა ტრენინგმა, განათლებამ, კომუნიკაციამ და ტექნიკურმა დახმარებამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და გაზარდოს ფერმის პროდუქტიულობა (Key, 2022). ნათელია, რომ შინამეურნეობებს საარსებო წყაროების დივერსიფიკაციისთვის ესაჭიროებათ ერთდროულად რამდენიმე რესურსზე ხელმისაწვდომობა მათი განვითარებისა და ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით. მიუხედავად, ამის კვლევების გარკვეული ნაწილი ფოკუსირებულია და სიღრმისეულად სწავლობს, აკვირდება კონკრეტული კაპიტალის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას.

ადამიანური კაპიტალი

სტატიების ნაწილი ადამიანური კაპიტალის შესწავლისათვის იყენებს ფორმალურ განათლებას, მოიცავს სკოლაში, უნივერსიტეტში მიღებულ განათლებას, ასევე სკოლის შემდგომ ტრენინგს (Wang et al., 2016). რამდენიმე ავტორი დააკვირდა სპეციფიკური ფორმალური განათლებას როგორცაა მეწარმეობის განათლება (Entrepreneurial Education) (P. Anosike, 2019; Sánchez, 2013), რომელიც ახალისებს

მეწარმეობისათვის საჭირო კომპეტენციებს და სამეწარმეო ალღო (entrepreneurial intention). ადამიანური კაპიტალის ხარისხთან ერთად კვლევებში ყურადღება ექცევა ადამიანური რესურსების რაოდენობას, განსაკუთრებით შინამეურნეობების ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიკაციის პროცესში (Bhandari, 2013; Khai & Danh, 2014; G. Salukvadze & Backhaus, 2020). სხვა კვლევებში ფორმალური განათლების კვალდაკვალ ინტეგრირებულია არაფორმალური ადამიანური კაპიტალი შესწავლის კომპონენტი (Meccheri & Pelloni, 2006; Skuras et al., 2005). მათი მიზანია გამოიკვლიონ თუ როგორ მოქმედებს სამუშაო გამოცდილება (მაგ. ეკონომიკური აქტივობების მართვის გამოცდილება, სამუშაო გამოცდილება ბიზნესში), ფარული ცოდნა (tacit knowledge) საარსებო წყაროების გაძლიერებაზე. ფარული ცოდნა მოიაზრებს ტრადიციულ და ადგილობრივ ცოდნას, რომელიც გადაეცემოდა და გადაეცემა თაობიდან თაობას (Munjaj, 2019; Pato, 2015).

განხილული კვლევები ძირითადად (Bosworth & Mcelwee, 2010; Skuras et al., 2005; Stockdale, 2006) ცდილობენ გასცენ პასუხი კითხვას ახდენს თუ არა გავლენას ადამიანური კაპიტალი შინამეურნეობების ეკონომიკური საქმიანობის ფორმირებაზე, განვითარებაზე და შეზღუდულია მხოლოდ აღნიშნული საკითხის შესწავლით. ხაიმ და დანჰიმ (2014) განაცხადეს, რომ უმაღლესი განათლება მეტად უწყობს ხელს შემოსავლების დივერსიფიკაცია. ალსოსა და სხვების (2003) კვლევის მიგნებები ეხმიანება და შესაბამისობაშია ხსენებულ ავტორებთან, და ამბობენ, რომ საარსებო წყაროების გამრავალფეროვნება არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური აქტივობების მიმართულებით დამოკიდებულია შინამეურნეობების წევრების განათლების დონესა და უნივერსიტეტის დამთავრებაზე. დღემდე, მხოლოდ რამდენიმე მცდელობა არსებობს იმის, რომ შემოწმდეს არა მხოლოდ ჰიპოთეზა, არამედ სიღრმისეულად შეისწავლონ ადამიანური კაპიტალი ფუნქცია/როლი ეკონომიკური აქტივობის დაწყების და/ან გაფართოების პროცესში. გამონაკლისებს შორისაა კვლევა, რომელიც ეხება ადგილობრივი ცოდნის როლს ტურიზმის სფეროში ეკონომიკური აქტივობების ჩამოყალიბებას და ტურისტული პროდუქტების შექმნას. ადგილობრივი ცოდნა ეხმარება ოჯახებს შექმნან ტურისტული მომსახურებები, რომლებიც გაჟღენთილია ავთენტური მახასიათებლებით. ეს უკანასკნელი პასუხობს მარკეტის მოთხოვნებს, კერძოდ ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ უნიკალურ ტურისტულ ადგილებს, რომ

მიიღონ ადგილობრივი კულტურის გამოცდილება (Munjaj, 2019). მეჩერი და პელონის (2006) კვლევის მიხედვით განათლება და სამუშაო გამოცდილება არის წინაპირობა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის. ზოგიერთ შემთხვევაში სპეციფიკური უნარები, როგორებიცაა ტრადიციული კერძის მომზადება, მშენებლობა შედარებით ამარტივებს ახალ ეკონომიკურ საქმიანობაზე [ტურიზმი] გადასვლას (Xue & Kerstetter, 2018). შედარებით მცირე რაოდენობითაა სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შეისწავლის მეთოდებს, გზებს, გამოცდილებას თუ როგორ იღებენ შინამეურნეობის წევრები სხვადასხვა ადამიანურ კაპიტალს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა მიხედვით ადამიანური კაპიტალის როლი ახალი საარსებო წყაროების სტრატეგიების ჩამოყალიბების/ფორმირების პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ამასთან აღნიშნული საკითხის სიღრმისეული შესწავლის ნაკლებობაა. ავტორებმა აღმოაჩინეს მნიშვნელოვანი კორელაცია ფერმერების განათლების დონესა (ადამიანური კაპიტალი) და დივერსიფიკაციას შორის, რადგან ეფექტური მენეჯმენტი აუცილებელია დივერსიფიცირებული ფერმერული საქმიანობის კოორდინაციისთვის. ეს დაკვირვება აძლიერებს მოსაზრებას, რომ ადამიანური კაპიტალი გადამწყვეტ როლს ასრულებს წარმატებულ მენეჯმენტში (N. Anosike & Coughenour, 1990). მომწიფების ფაზაში სოფლის თემის მაცხოვრებლებმა დაიწყეს სტუმართმოყვარეობისა და ტურისტული საწარმოს ეფექტური მართვისთვის აუცილებელი უნარებისა და ცოდნის მრავალფეროვანი სპექტრის შექმნა. ეს უნარები მოიცავდა სხვადასხვა ასპექტს, როგორიცაა მარკეტინგი, საკვების მომზადება, ოთახის მომსახურება, ინტერიერის და ექსტერიერის დიზაინი და ბიუჯეტის მართვა. ამასთან, მათ შეიტანეს რამდენიმე ცვლილება ყოველდღიურ საქმიანობაში, ოჯახურ ურთიერთობებში, სამუშაოს განაწილებაში ოჯახში, შრომის გენდერზე დაფუძნებული დანაწილებისა და მათი აზროვნებაც კი, რათა შეესაბამებოდეს მათ ახალ საარსებო წყაროს (Xue & Kerstetter, 2018). ამკარაა, რომ არ არსებობს კონსენსუსი ფერმერებისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების შესახებ, რომლებიც დაკავებულნი არიან ტურიზმის მიმართულებით ფერმის დივერსიფიკაციაში. თუმცა, კვლევა მიუთითებს, რომ ფერმერებს, რომლებიც ასევე ჩართული არიან ტურიზმში, პირველ რიგში ესაჭიროებათ ბიზნესისა და მართვის უნარები, როგორიცაა

მომხმარებელთა მომსახურება, ფინანსური მენეჯმენტი, ორგანიზაცია, მარკეტინგი და გაყიდვები. საინტერესოა, რომ გარკვეული უნარები, რომლებიც ლიტერატურაში მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული, როგორცაა ქსელის შექმნა, შესაძლებლობები, მოლაპარაკება, ბიზნესი და სტრატეგიული დაგეგმვა, ფერმერებმა არ მიიჩნიეს მნიშვნელოვნად ამ კვლევაში. უნარები, რომლებიც კონცეპტუალიზებულია, როგორც სამეწარმეო უნარები, არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი ფერმის დივერსიფიკაციის კონტექსტში (Phelan, 2014). ფერმერები არიან ღია და გამოხატავენ ინტერესს ახალი ტექნოლოგიების ადაპტირებისა და მათ საქმიანობაში ინტეგრირებისათვის. კვლევა ცხადყოფს, თუ როგორ აერთიანებენ ფერმერთა შინამეურნეობები თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკაში ცოდნას სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის ადგილობრივი ინსტიტუტებიდან, მკვლევრებიდან და განვითარებადი კულტურული მოლოდინებიდან. იგი ასევე შეისწავლის მთავრობის პოლიტიკისა და წახალისების გავლენას ფერმის გადაწყვეტილებებზე მართვის პროცესში. შედეგები მიუთითებს, რომ ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და რეაგირებისთვის, ფერმერებისთვის შესაძლებლობების ჩამოყალიბება და ინფორმაციის მიწოდება არა მხოლოდ ახალი პრაქტიკების დანერგვისათვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ზოგადად მეურნეობის წარმატების გადამწყვეტი მაჩვენებელია (L. J. Williams et al., 2022). კვლევა, რომელიც განხორციელდა ნეპალის ღარიბ სასოფლო დასახლებაში, გამოვლინდა, რომ ადამიანური კაპიტალის სხვადასხვა ასპექტი გავლენას ახდენს არასასოფლო საარსებო წყაროზე გადასვლის გადაწყვეტილებაზე. კვლევა თავის მხრივ, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მნიშვნელოვანია შინამეურნეობაში ეკონომიკურად აქტიური და შრომისუნარიანი ოჯახი წევრების არსებობა, განსაკუთრებით ხაზგასმით არის აღნიშნული მამრობითი სქესისა და ბავშვების ფაქტორი, როგორც დამაბრკოლებელი იმისათვის, რომ მოხდეს ფერმერული მეურნეობიდან სხვა ეკონომიკურ საქმიანობაზე გადასვლა (Bhandari, 2013). აღსანიშნავია, რომ საპირისპიროს ამტკიცებს სალუქვაძისა და ბაქჭაუსის (G. Salukvadze & Backhaus, 2020) კვლევის შედეგების კავკასიიდან, კერძოდ საარსებო წყაროების დივერსიფიკაციას ხელისშემშლელი ფაქტორია ადამიანური კაპიტალის სიმცირე. ასეთ შემთხვევაში შინამეურნეობას არ აქვს რესურსი შეინარჩუნოს სოფლის მეურნეობა და ამავდროულად ჩაერთოს ტურიზმის ინდუსტრიაში. შინამეურნეობის დემოგრაფიულ სტრუქტურის მნიშვნელობაზე მიუთითებს კვლევა, რომელიც

აჩვენებს, რომ დივერსიფიკაციის საწყისმა დონემ დადებითი და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ორივე რეგიონში როგორც მამრობითი სქესის, ისე ქალების ხელმძღვანელობით შინამეურნეობებზე. გარდა ამისა, შინამეურნეობების დემოგრაფიული ფაქტორები, როგორცაა ასაკი, სქესი (ქალი მეთაურ შინამეურნეობებისთვის) და ოჯახის უფროსის განათლების დონე (ქალი მეთაურ შინამეურნეობებისთვის) დადებითად და მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული საარსებო წყაროს დივერსიფიკაციის ცვლილებებთან (Alobo Loison, 2019). დასახელებული ფაქტორების დადასტურების გარდა, როგორცაა სპეციალიზაცია და შინამეურნეობების შემადგენლობა, ავტორების დასკვნები ცხადყოფს ფერმების მნიშვნელობას, რომელსაც ახალგაზრდა ფერმერები ხელმძღვანელობენ გარემოს მენეჯმენტისა და დივერსიფიკაციის ზომების მიღებისთვის (Weltin et al., 2017).

კვლევამ აჩვენა, რომ ფერმერთა სოციალურმა და კულტურულმა განსხვავებებმა თავისი როლი ითამაშა მათი დივერსიფიკაციის სტრატეგიის განსაზღვრაში. მსგავსი მიგნებები თანხვედრაშია უახლეს კვლევებთან, რომლებშიც ავტორები ვარაუდობენ, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები იმ ფერმერებს შორის, რომლებიც ირჩევენ ნახევარი განაკვეთის სტრატეგიას, იმათთან შედარებით ვინც სარგებლობს ორმაგი შემოსავლის მიდგომით (Andrade, 2016; as cited in Moragues-Faus, 2014). მეურნეობა მრავალფეროვანი სექტორია, რომელშიც მნიშვნელოვანი განსხვავებებია გამოცდილ და ნაკლებად გამოცდილ ფერმერებს შორის გარემო ცვლილებებზე რეაგირებაში. კვლევა მიუთითებს, რომ წარმატებული ფერმერული შინამეურნეობები საჭიროებენ სხვადასხვა დონის მხარდაჭერას ინოვაციების შესაქმნელად, მათი უნიკალური ბიზნეს გარემოებიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შინამეურნეობებს შორის განსხვავებების აღიარება და მათი სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მორგებული მხარდაჭერის გაწევა (Mc Fadden & Gorman, 2016). ტურიზმის განვითარებაში შესვლისთვის მნიშვნელოვანია კულტურული ელემენტები და იდენტობა. კვლევა ცხადყოფს, რომ ფერმის იდენტობა გადამწყვეტია ტურისტული ინდუსტრიის წარმატებისთვის. მასპინძლების იდენტობა აისახება მათი მასპინძლობის სტილში, საკვებში, აქტივობებში, ამბის თხრობასა და სხეულის ენაში. ვიზიტორებს იზიდავთ ადგილობრივი ავთენტურობა და ფერმის ისტორია და აუცილებელია მათი

მოლოდინების დაკმაყოფილება სანდო გამოცდილების უზრუნველსაყოფად. ამიტომ, აუცილებელია მასპინძლებმა შეინარჩუნონ ფერმის იდენტობა, რადგან ეს ღირებული აქტივია ტურიზმისთვის. ამ იდენტობის მიტოვება ძირს უთხრის მათ წარმატებას ინდუსტრიაში (Brandth & Haugen, 2011). აღნიშნული კვლევის შედეგები თანხვედრაშია სადოქტორო კვლევის შედეგებთან, რომელიც ასევე ასახელებს კულტურული ელემენტების მნიშვნელობას ტურიზმის განვითარებაში. კვლევაში, რომელშიც ავტორებმა გააანალიზეს ფერმის დივერსიფიკაცია, როგორც ფერმერების მიერ მიღებული რისკის მართვისა და მიტიგაციის მეთოდი. მათ შეისწავლეს დივერსიფიკაციის მიღმა გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კონკრეტულ ეკონომიკური საქმიანობის მიმართულების არჩევა განპირობებული იყო სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორებით (N. Anosike & Coughenour, 1990). გარდა შინამეურნეობის ხელმისაწვდომი რესურსებისა და ფიზიკური გარემოსა, ეკონომიკური დივერსიფიკაციის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნულ მახასიათებლებსაც. პერსონალური მახასიათებლები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ შინამეურნეობების უნარსა და სურვილზე განახორციელონ სხვადასხვა შემოსავლის მომტანი საქმიანობა. ამ ფაქტორებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს შინამეურნეობების გადაწყვეტილებაზე იმასთან დაკავშირებით მოახდინონ თუ არა საკუთარი შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია. სოფლის მეურნეობაში დივერსიფიკაციის ერთ-ერთი შეზღუდვა ფერმერის წარუმატებლობის შიშია (Jack et al., 2021). პერსონალური მახასიათებლების გენდერული ასპექტები შეისწავლეს ქალების ხელმძღვანელობით სასოფლო კოოპერატიულ დასახლებების მაგალითზე. სტატია ფოკუსირებულია ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს მათი ბიზნესის განვითარებასა და გაფართოებას. კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესის მართვის უნარისადმი თავდაჯერებულობის ნაკლებობა და პირადი მოლოდინების არ დაკმაყოფილების შიში მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა მეწარმე ქალებისთვის (Sofer & Saada, 2017).

სოციალური კაპიტალი

სასოფლო დასახლებებში სოციალურ კავშირებს მნიშვნელობაზე მიუთითებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული კვლევები. ისინი განსხვავდებიან

კავშირების ბუნებიდან გამომდინარე, ოჯახის, ნათესაობის, სოფლის თუ ინტიტუციური სოციალური კავშირები. დივერსიფიკაციის განსხვავებულ ეტაპზე აქვს მნიშვნელობა სოციალურ კაპიტალის მახსიათს. უნიკალური წვლილზე მიანიშნებს დივერსიფიკაციისაკენ მიმართული ფერმერების კვლევ, რომელიც მათ მოტივებზე კონტექსტზე-დამოკიდებული ბუნების გათვალისწინებას შეისწავლის. ოჯახის გავლენა, როგორც ზოგადი ოჯახის მოსაზრებებით, ასევე მეუღლის ჩართულობით ახალი სამეწარმეო საქმიანობის შექმნაში, შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს დივერსიფიკაციის გადაწყვეტილების ძირითად მოტივებზე (Hansson et al., 2013). მსგავსი დასკვნები გამოვლინდა სოციალური კავშირების ეფექტზე ფერმერების გადაწყვეტილების მიღებაზე სხვადასხვა გარემოში. კვლევამ აჩვენა, რომ ერთ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ადამიანების გადაწყვეტილებებმა და მათმა შედეგებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა მიწათსარგებლობის გადაწყვეტილების მიღებაში, განსაკუთრებით მცენარეებისა და სასოფლო-სამეურნეო მოსავლის მრავალფეროვნებასა და მიწის ნაკვეთებში. აღმოჩნდა, რომ სამეზობლო ქსელებს უფრო დიდი გავლენა აქვთ, ვიდრე ნათესაურ ქსელებს. სოფლის შინამეურნეობების სოციალურმა ქსელმა არა მხოლოდ გამოიწვია „სასურსათო კულტურაზე ორიენტირებული“ და გამარტივებული დარგვის სტრუქტურა საარსებო წყაროს დივერსიფიკაციის გამო, არამედ გაზარდა მიწათსარგებლობის ინტენსივობა და შემოსავალი (Xia et al., 2020). როგორც ჩანს, სოციალური კავშირების გავლენა ფართოა და ფერმერების მოქნილობა, სიახლეების ათვისების მიმართ მზაობაც შეიძლება დამოკიდებული იყოს პოზიციასავე საერთო სოციალურ ქსელში (Geleta et al., 2023). სოციალური კაპიტალი დამაბრკოლებელი ფაქტორიც შეიძლება იყოს ფერმერებს შეიძლება შეექმნათ შეზღუდვები ინოვაციური მიდგომების ადაპტირებასთან დაკავშირებით, მათი მჭიდრო კავშირების გამო ოჯახთან, საზოგადოებასთან და გეოგრაფიულ მდებარეობასთან. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია წარმატებული ფერმის ბიზნესის წარმართვისთვის აუცილებელი უნარების შესწავლა, თანაბრად მნიშვნელოვანია იმის გამოკვლევა, თუ როგორ შეიძლება იყოს კულტურული და სოციალური ფაქტორები ინოვაციის შემაფერხებელი ან კატალიზატორი (Mc Fadden & Gorman, 2016). სოფლის გარემო და სოფლის თემების სოციალური ატრიბუტები, როგორცაა მათი ძლიერი სოციალური კავშირები და მზადყოფნა ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად, უზრუნველყოფდა

ხელსაყრელ გარემოს სოფლის სოციალური ინოვაციების განვითარებისთვის. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას გადამწყვეტიცაა სოციალური ინოვაციების ინიციატივებისათვის შერჩეული სწორი დრო, რაც კვლევის მიხედვით, დაიწყო საჯარო სერვისების შემცირებისა და სოფლის სერვისების მიწოდების შემცირების პერიოდში. ეს მოხდა ერთდროულად სოციალური ინოვაციებისკენ სწრაფვასთან და თემების გაძლიერებაზე პასუხისმგებლობის აღების მიზნით, როგორც ეს ნათქვამია პოლიტიკის დოკუმენტებში, რომლებიც შეესაბამება ნეოლიბერალურ ნარატივებს. (Markantoni et al., 2018, as cited in Steiner et al., 2023). ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები როცა არ შეესაბამება ადგილობრივ ღირებულებებს, ჩვევებს და სოციალურ-კულტურულ პრაქტიკას, რამაც შეიძლება გაართულოს ფერმერებში მათი მიღება. მეურნეობის პრაქტიკას აყალიბებს ადგილობრივი სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და ფიზიკური ფაქტორები, ასევე გარე ეკონომიკური ძალები და ინსტიტუციონალური სუბიექტები. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ შრომასთან, მიწათმფლობელობასთან, მოსავლისა და პირუტყვის არჩევანთან და წარმოებასთან, განაწილებასა და მოხმარებასთან დაკავშირებულ პრაქტიკაზე (Curry et al., 2021).

ფინანსური კაპიტალი

უდავოა, რომ ფინანსურ რესურსებზე წვდომა წინაპირობაა სიღარიბის დაძლევის. სოფლად ფინანსური ინკლუზიის გაუმჯობესება ეფექტური აღმოჩნდა სოფლის სიღარიბის შესამცირებლად სოფლის შინამეურნეობებისათვის ფინანსურ სერვისებზე მეტი ხელმისაწვდომობით. წარმოდგენილი კვლევა მიუთითებს, რომ ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობა დადებითად აისახება სოფლის შინამეურნეობების შემოსავალზე. პოლიტიკის ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს სოფლად ფინანსური სერვისების გაფართოებას, გადამწყვეტია ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და სოფლის თემებში სიღარიბის შესამცირებლად (Ankrah Twumasi et al., 2022). აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს შემთხვევები, როდესაც ფინანსური მხარდაჭერა ხდება მნიშვნელოვანი სტიმული ახალი შესაძლებლობების ათვისებისათვის. ეს კვლევა ნათელს ჰფენს სოფლის სტუმართმოყვარეობის ბიზნესის მახასიათებლებსა და მოტივაციას, რომელსაც აწარმოებენ ოჯახები და ხაზს უსვამს

მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს. მისი მიგნებები და დასკვნები თანხვედრაშია სხვა თემატურ კვლევებთან და ასევე სტატიაში გამოვლენილია ახალი შეხედულებები და მიგნებები. კვლევამ აჩვენა, რომ ფინანსური ინვესტიცია, რომელიც საჭიროა ტურიზმისთვის ქონების მოსამზადებლად, ხშირად გამორიცხავს სოფლის ყველაზე ღარიბ მოსახლეობას მონაწილეობას და რომ ოჯახის წევრებს ხშირად ეყრდნობიან შრომაში. გარდა ამისა, ბუნებრივ და კულტურულ რესურსებთან სიახლოვე სოფლის ტურიზმში წარმატების საკვანძო ფაქტორია (Iorio & Corsale, 2010). წამოჭრილი საკითხის მნიშვნელობაზე მეტყველებს კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც სოფლის მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მათ უმრავლესობას არ შეეძლო შეეძინა ახალი საწოლები, რომლებიც საჭირო იყო ტურისტული ბიზნესის წარმოებისათვის. გარდა ამისა, ისინი არ იყვნენ გარკვეულები და ინფორმირებულები ტურიზმის ინდუსტრიის პროგრესის ტენდენციებში, ტემპებში და მაქსიმალურად ფრთხილად იყვნენ სესხების აღებასა და პოტენციურ რისკებთან დაკავშირებით (Xue & Kerstetter, 2018). სოფლის მეურნეობის მიმართულებითაც ფინანსური კელმისაწვდომობა დიდი ბარიერი შეიძლება აღმოჩნდეს საწარმოების განვითარებას და გაფართოებას გზაზე. მოშავის ტიპის კოოპერატიულ სასოფლო დასახლებების მაგალითზე 100 მეწარმე ქალის ბიზნესის გამოცდილების შესწავლის მიხედვით ბიზნესის დაარსების მთავარი დაბრკოლება არის კაპიტალის დეფიციტი და მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესის დაარსებასთან და პოპულარიზაციასთან, როგორცაა რეკლამა და მარკეტინგული ხარჯები (Sofer & Saada, 2017).

კვლევების მიმოხილვა აჩვენებს, რომ ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების პრიორიტეტები განსაზღვრავენ სასოფლო დასახლებებში ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობის ცვლილების მიმართულებას. კენიის სასოფლო დასახლებაში ჩატარებული კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მიღებამ და მიწის უფლებების დაცვამ შეიძლება ხელი შეუშალოს ფერმერებს შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციისგან, ხოლო რესურსებზე წვდომამ შეიძლება ხელი შეუწყოს მეურნეობაში სპეციალიზაციას და არა დივერსიფიკაციას. (Alobo Loison, 2019). მეორე მხრივ ფინანსური ხელმისაწვდომობა უწყობს ხელს დივერსიფიკაციას, არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური

საქმიანობებში ადგილობრივების ჩართვას. კვლევამ აჩვენა დადებითი კორელაცია არასასოფლო-სამეურნეო კრედიტების ხელმისაწვდომობასა და საარსებო წყაროს მრავალფეროვნებას შორის, რადგან მას შეუძლია ხელი შეუწყოს არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობას (Musumba et al., 2022). ფინანსებზე წვდომის საკითხები განსხვავებულია სოფლის ოფიციალურმა ფინანსურმა კრედიტმა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია საოჯახო მეურნეობების ფუნქციონირებაზე. სოფლის ფორმალური ფინანსური კრედიტის ეფექტურობა საოჯახო მეურნეობის მუშაობის გასაუმჯობესებლად განსხვავდებოდა რეგიონების მიხედვით. გარდა ამისა, მეცხოველეობა და შერეული საოჯახო მეურნეობები უფრო მეტ სარგებელს იღებდნენ სოფლის ფორმალური ფინანსური კრედიტით, ვიდრე *planting family farms*. მეორე მხრივ, სოფლის არაფორმალურ ფინანსურ კრედიტს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონდა საოჯახო მეურნეობის მუშაობაზე. ავტორები ვარაუდობენ, რომ პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა გაზარდონ ფინანსური ინვესტიციები სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად და გააუმჯობესონ ფონდების გამოყენების ეფექტურობა. ისინი რეკომენდაციას უწევენ ჩინეთს, გააფართოოს ფორმალური ფინანსური კრედიტი საოჯახო მეურნეობებისთვის და შექმნას ფორმალური სოფლის ფინანსური ინსტიტუტების სისტემა ფართო და მაღალი დაფარვით (Chen et al., 2022). უნდა აღინიშნოს, რომ ფერმის ზომის მიხედვითაც განსხვავებულია ფინანსებზე წვდომის პრობლემა. შემოსავალი ყველაზე ძლიერ გავლენას ახდენს სესხის აღებაზე და სხვა ფერმის გადაწყვეტილებებზე მცირე ფერმებისთვის, რომელთა მთლიანი ფულადი შემოსავალი არ აღემატება \$350,000-ს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ახალგაზრდა ფერმერებისთვის, რომლებიც შეიძლება იყვნენ კომერციულად ორიენტირებული და ეძებენ თავიანთი ოპერაციების გაფართოებას, მაგრამ აქვთ შეზღუდვები კრედიტის მოპოვებაში. ფერმის მიღმა შემოსავლების ეფექტი უფრო სუსტია მცირე ფერმერებისთვის, რომელთა მთლიანი შემოსავალი 50,000 დოლარზე ნაკლებია, შესაძლოა იმიტომ, რომ ნაკლები მათგანი ცდილობს გააფართოოს ფერმები ან ემუქრება ფინანსური შეზღუდვები. ამის საპირისპიროდ, ფერმის მიღმა არსებულ შემოსავალს არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მსხვილ მეურნეობებზე, რომელთა მთლიანი შემოსავალი მინიმუმ 1 მილიონი დოლარია, სადაც ის ჩვეულებრივ წარმოადგენს შინამეურნეობის მთლიანი შემოსავლის მცირე ნაწილს (Key, 2020).

ბუნებრივი კაპიტალი

კვლევის მიგნებების მიხედვით სხვადასხვა ფაქტორები არის დაკავშირებული იმასთან, რომ ფერმერს ხელი ეშლება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დივერსიფიკაციაში, მათ შორის ნახსენებია მიწის სიმალლე ზღვის დონიდან, ნიადაგის ხარისხი და მისი მდებარეობა სარწყავ სისტემასთან მიმართებით. (Burchfield & Poterie, 2018). როგორც ჩანს, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის ზომა/ტიპი დადებითად მოქმედებს განხორციელებული საარსებო საქმიანობის რაოდენობაზე (Musumba et al., 2022). ბუნებრივი კაპიტალის ხელმისაწვდომობა შეიძლება გახდეს ეკონომიკური ტრანსფორმაციის მიზეზი. ფაქტობრივად, დამუშავებულ მიწაზე ხელმისაწვდომობა და პირუტყვის შენახვის შესაძლებლობა ამცირებს ფერმერთა შინამეურნეობების არასასოფლო საქმიანობაზე გადასვლის ალბათობას, მაშინ როდესაც ისინი, რომლებსაც აქვთ მცირე მიწა და ნაკლები პირუტყვი, უფრო მეტად გადადიან არასასოფლო საქმიანობაზე (Bhandari, 2013). ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობისა და ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობაზე გადასვლას შორის კავშირს კიდევ ერთი კვლევა შედეგები ამყარებს. აღმოჩნდა, რომ ფერმერისთვის ხელმისაწვდომ სახნავ-სათესი მიწა დადებითად მოქმედებს მის გადაწყვეტილებაზე, მიიღოს ჩვეულებრივი ფერმერული ბიზნესის განვითარების სტრატეგია, ხოლო უარყოფითად იმ შემთხვევაში, რომ გადაწყვიტოს ალტერნატიული განვითარების სტრატეგიის მიღება. ფერმის სიახლოვე მთავარ გზებთან და ქალაქურ ცენტრებთან ასახავს ბაზრის სტიმულს ალტერნატიული ფერმის საწარმოების განვითარებისთვის (Damianos & Skuras, 1996).

შინამეურნეობების კაპიტალების მიღმა

შინამეურნეობების ფლობაში არსებული რესურსების ან ხელმისაწვდომი კაპიტალის გარდა კვლევები მიანიშნებენ საერთო გარემოს მნიშვნელობაზე. ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი გარემო რეგულაციები და სხვა საკითხების ეხება კვლევები რომლებიც ოჯახების დივერსიფიკაციის საკითხებს შეისწავლიან. ბუნებრივი გარემოს ცვლილებას, როგორც საზოგადოების საერთო საკუთრებას

შეიძლება მასშტაბური გავლენაც ჰქონდეს ეკონომიკური საქმიანობის ცვლილებაზე. ავტორებმა მიანიშნებენ რეგიონული ფაქტორები, როგორცაა ნიადაგის ტიპების, რელიეფის და ტოპოგრაფიის ცვალებადობა, გავლენას ახდენს ფერმერების გადაწყვეტილებებზე დივერსიფიკაციის შესახებ. ეს დასკვნები მხარს უჭერს აღწერის შედეგებს, რომლებიც აჩვენებენ, რომ ამ ორ რეგიონში კულტურებისა და მეცხოველეობის საწარმოების განსხვავებული ნიმუშები არსებობს (N. Anosike & Coughenour, 1990). დამატებით კლიმატის ცვლილება და ექსტრემალური ამინდის მოვლენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოფლად ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციაზე. გვალვის უარყოფითი გავლენა სოფლად საარსებო წყაროების მრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლის შემცირება და ეკონომიკური შოკებისადმი დაუცველობის გაზრდა (Musumba et al., 2022).

გარდა სხვა ფაქტორებისა, ისრაელის სასოფლო დასახლებებში, რესურსების ხელმისაწვდომობა ფერმერულ ერთეულში და მოშავში⁷ ("moshav"), ისევე როგორც რეგულაციების შეცვლა, რამაც გარკვეული მოქნილობის საშუალება მისცა არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის შეზღუდული მიწის რესურსების გამოყენებას, მნიშვნელოვანი კატალიზატორი იყო ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანი დაბრკოლება იყო საწარმოების მდებარეობაც, რადგან ბევრი მათგანი მდებარეობდა ცენტრალური ბაზრებისგან შორს და იყო ინტენსიური ადგილობრივი კონკურენციის შუაგულში. (Sofer & Saada, 2017). სუსტი წვდომა ბაზარზე, ბაზრის არასტაბილურობა, შეზღუდული სახელმწიფო მხარდაჭერა და შემოტანის/იმპორტის მაღალი ხარჯები ხელს უწყობს ფერმერებს შორის დივერსიფიკაციის დაბალ მაჩვენებელს, რომლებსაც აქვთ რესურსები სხვადასხვა სამეურნეო კულტურებზე გადასასვლელად. დივერსიფიკაციის წახალისებისა და სასოფლო-სამეურნეო წყლის მოთხოვნის შესამცირებლად, შესაძლოა მომგებიანი იყოს ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა კულტურების მოშენებას და წყლის მართვის არსებული

⁷ "მოშავი" არის უნიკალური ტიპის კოოპერატიული ფერმერთა სოფელი, რომელიც დაარსდა ისრაელში მე-20 საუკუნის დასაწყისში. უფრო კომუნალური კიბუცისგან განსხვავებით, მოშავის წევრები ინარჩუნებენ ეკონომიკური ავტონომიის შედარებით დიდ ხარისხს, მაგრამ ისინი იზიარებენ ურთიერთდახმარების სხვადასხვა ელემენტებს.
<https://embassies.gov.il/MFA/AboutIsrael/Maps/Pages/Kibbutz-and-Moshav.aspx>

ინსტიტუტების გამოყენებას ფერმერების გამოსავლენად და დასახმარებლად დივერსიფიკაციისთვის შესაფერისი სფეროებით. (Burchfield & Poterie, 2018). გარე ფაქტორებმა, როგორცაა ტერიტორია, დემოგრაფიული ტენდენციები და პოლიტიკის ზომები, შეიძლება გავლენა იქონიოს ფერმის გადაწყვეტილებაზე დივერსიფიკაციის შესახებ. მაგალითად, რძის კვოტებმა ხელი შეუწყო პროდუქტივისტული სტრატეგიების წარმატებას საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (CAP) ფარგლებში, ხოლო სოფლის განვითარების ზომებმა ნაკლები ეფექტურობა აჩვენა მრავალფუნქციური გზების ხელშეწყობაში. (García-Arias et al., 2015). კვლევამ, რომელმაც შეისწავლა მექსიკაში პოლიტიკური ცვლილების დროს, ცვლილების გამომწვევ მიზეზებსა და შინამეურნეობების ეკონომიკურ ტრაექტორიებს/მიმართულებებს შორის ურთიერთკავშირები და დაადგინა, რომ ზოგად პოლიტიკას განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა შინამეურნეობებზე. კვლევამ ხაზგასმით გამოკვეთა შინამეურნეობების მრავალფეროვნების გათვალისწინების საჭიროება სამთავრობო პროგრამების ეფექტურობის შეფასებისას და მათი გავლენის გაგება სხვადასხვა ბენეფიციარებზე პროცესში (Novotny et al., 2021). რეგულაციებმა მნიშვნელოვანია გაითვალისწინოს არსებული უთანასწორობა და შეუწყოს ხელი მცირე საოჯახო ბიზნესის განვითარებას. ფერმერთა შინამეურნეობებს შორის ინოვაციური შესაძლებლობების განსხვავებების არ აღიარებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს პოლიტიკის შედეგებზე. ყველა შინამეურნეობის თანასწორად მოპყრობამ ამ მხრივ შეიძლება გამოიწვიოს არასწორი პოლიტიკის შემუშავება და შეზღუდოს სააგენტოების როლი (Mc Fadden & Gorman, 2016). სხვადასხვა კვლევის შედეგები აჩვენებს კომუნალური, საგანმანათლებლო და კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის მნიშვნელობას ეკონომიკურის საქმიანობის პოზიტიური ცვლილებისთვის. კვლევის დასკვნები გულისხმობს, რომ გაუმჯობესებულმა ხელმისაწვდომობამ საზოგადოების რესურსებზე, როგორცაა სკოლები, ჯანდაცვის სერვისები, ბანკები, კოოპერატივები და ავტობუსების სერვისები, შეიძლება შექმნას მეტი არასასოფლო სამუშაო ადგილების შესაძლებლობები, რაც გამოიწვევს საზოგადოებაში არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობების დაკავებული შინამეურნეობების უფრო მეტ პროცენტს. ამან შეიძლება შინამეურნეობების სტიმულირება მოახდინოს ფერმერულიდან არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე გადასვლაზე (Bhandari, 2013). დივერსიფიკაციის

შეზღუდვები იყო ინტერნეტის არარსებობა და საჭირო უნარების განვითარების მხარდაჭერა. მცირე ზომის საოჯახო მეურნეობებისთვის შორეულ რაიონებში, უნდა შემუშავდეს პოლიტიკა ადგილობრივი ფერმერული სისტემების მხარდასაჭერად და მათ საშუალება მიეცეთ შესთავაზონ პროდუქტებისა და სერვისების სპექტრი მომავალი მოთხოვნების საპასუხოდ (Jack et al., 2021).

3.3. საოჯახო ფერმერული მეურნეობების ტრანსფორმაცია საქართველოში

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ სოფლად მცირე საოჯახო ბიზნესის ტრანსფორმაცია შესამჩნევია. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საერთაშორისო ინტერდისციპლინური კვლევა აჩვენებს, რომ ტურისტულ არეალებში გაიზარდა ამავე სფეროში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა, აღნიშნულის ფონზე კი საგრძნობლად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობები და შინაური ცხოველების რაოდენობა (Gugushvili et al., 2017b). იგივე ავტორის (G. Salukvadze & Backhaus, 2020) მოგვიანებით ჩატარებული კვლევა უფრო დეტალურად აღწერს ეკონომიკური საქმიანობის ტრანსფორმაციის მიმართულებებს. საარსებო წყაროების ტრანსფორმაციის შემდეგი მიმართულებები გამოკვეთეს ავტორებმა არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაფართოება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შემცირება, აგროტურისტული საქმიანობის განვითარება და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაზრდა. მოსახლეობისთვის ტურიზმის კარგი შესაძლებლობაა გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა. აღნიშნულს მოჰყვება ტრადიციული დარგებიდან მიგრაცია ტურიზმის მიმართულებით. დამატებით კვლევა ამახვილებს ყურადღებას რამდენიმე ფაქტორზე, როგორცაა ადამიანური რესურსების, ფინანსების და თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა, რაც აფერხებს შინამეურნეობებს ახალი, ალტერნატიულ საარსებო საშუალებების ინვესტიციაში ან არსებულის გაფართოებაში. ეს ქმნის გარემოს, სადაც ადგილობრივები წახალისდებიან ტურიზმზე დამოკიდებულებისკენ. აღსანიშნავია, რომ მთიან რეგიონებში დივერსიფიკაციაზე ფოკუსირებული კვლევა აჩვენებს, რომ სოფლად, მაღალმთიან დასახლებებში ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები სოფლის მეურნეობის სექტორში დივერსიფიცირებულია, რომელიც მხოლოდ მოიცავს სოფლის

მეურნეობის კულტურებსა და მესაქონლეობას, მექათმეობას. თუმცა მხოლოდ სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება ვერ უზრუნველყოფს მთიანი რეგიონების მდგრად განვითარებას. შინამეურნეობები, რომლებიც შემოსავლებს, ასევე იღებენ არასასოფლო სამეურნეო დარგებიდან მათ ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესია ვიდრე ოჯახების, რომელთა შემოსავლის წყარო, მხოლოდ სოფლის მეურნეობის სექტორია.

რეგიონებში საოჯახო მეურნეობაში მიმდინარე ცვლილებების პროცესში ხაზგასმულია განსხვავებული კაპიტალების პოზიტიური და დამაბრკოლებელი როლი. კვლევა ყურადღებას ამახვილებს საერთო მფლობელობაში არსებული ბუნებრივ კაპიტალზე როგორცაა სოფლის საერთო საძოვრები. კვლევის მიხედვით საძოვრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებამ და წარმატებულმა მართვამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა (Neudert et al., 2020). საძოვრების არაეფექტური მართვა ნეგატიურად მოქმედებს მესაქონლეობის პროდუქტებზე, მათ შორის რძის რაოდენობაზე და წონის დაბალი მომატებაზე. აღნიშნული გამოწვეულია საძოვრების გადამოვებით, დაავადებების მართვის სირთულეებით (Millns, 2013). ბუნებრივი კაპიტალის მნიშვნელობაზე მიუთითებს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებიც. განსაკუთრებით გამოყოფენ საძოვრებს როგორც სოფლის მეურნეობის პოტენციური განვითარებისათვის მნიშვნელოვან კომპონენტს და მთიან რეგიონებში არსებულ ბუნებრივ გარემოს როგორ ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობას. კვლევაში კაპიტალები განხილულია თემის, სოფლის დონეზე ხელმისაწვდომობა. ფიზიკური რესურსების მიმართულებით აღნიშნულია კომუნალური და საგზაო ინფრასტრუქტურის ფრაგმენტული განვითარება, ინტერნეტის შეზღუდული ხელმისაწვდომობა სასოფლო დასახლებებში. კვლევა ასევე ფარავს მცირე საოჯახო ბიზნესის ტრანსფორმაციისთვის, ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისათვის მნიშვნელოვან კიდევ ერთ რესურსზე ფინანსურ კაპიტალზე ხელმისაწვდომობის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელზე ხელმისაწვდომობა, სახელმწიფოსა და საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, გაუმჯობესდა, ჯერ კიდევ ლიმიტირებულია ფინანსურ ინსტიტუტებზე წვდომა წინაპირობებისა და მაღალი

საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით (S. Gelashvili, 2019). იმავეს ადასტურებს FAO-ის მხარდაჭერით განხორციელებული კვლევა. 2014 წლამდე განსაკუთრებით დაბალი იყო სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაცემული სესხების რაოდენობა, მისი საპროცენტო განაკვეთის მაღალი მაჩვენებელი გამო. დასახელებული მაჩვენებლები გაუმჯობესდა სახელმწიფოს მხარდაჭერით განხორციელებული შეღავათიანი აგროკრედიტი პროგრამის⁸ მხარდაჭერით. უფრო კონკრეტულად პროგრამა მცირე ფერმერული მეურნეობებისთვის შესთავაზა უპროცენტო სასაქონლო სესხები. მიუხედავად იმის, რომ აღნიშნულ პროცესში მცირე ფერმერული მეურნეობები ჩართული იყვნენ, დაფარვის მასშტაბი მცირე გახლდათ (FAO, 2020).

საქართველოში ჩატარებული კვლევები სხვადასხვა სოფლის მეურნეობის კონკრეტულ მიმართულების, მცირე მეწარმეების ცვლილებების მიმართ მზაობის შესახებ შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. მერძეეობის სექტორში განხორციელებული კვლევის მიხედვით მცირე ფერმეებში იცავენ ტრადიციულ პრაქტიკებს, რომლებიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს წინა თაობებიდან, მშობლებისგან და ბებია-ბაბუებისგან. აღნიშნული კვლევის მიხედვით ასეთი ფერმერული მეურნეობებს ნაკლებად აქვთ წვდომა ტენოლოგიებზე და ამის ათვისების, ინტეგრაციის სურვილიც არ არის (Al Sidawi et al., 2021). აღნიშნული წარმოდგენა ფერმერებზე, ვრცელდება სხვა სოფლის მეურნეობის დარგებზე. სოფლის მეურნეობის ცოდნის გავრცელების, ტრანსფორმაციის შესახებ სტატიაში ავტორი (Hornidge et al., 2016) აღნიშნავს, რომ ახალი, თანამედროვე ცოდნის, უნარების გავრცელებულია საქართველოში ხორციელდებოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გამოყენებით, რომლებიც მხარდაჭერილი იყო საერთაშორისო დონორების მიერ. მათი მიდგომა ემყარებოდა რწმენას, წარმოდგენას რომ ადგილობრივი ფერმერები არიან რეზიდენტულები ყველანაირი სიახლის მიმართ და არ არიან ორიენტირებულები მეწარმეობაზე.

2014-2016 წლის მონაცემების საფუძველზე შეფასებული სასოფლო დასახლებებში ეკონომიკური საქმიანობა აჩვენებს რომ ფერმერების 99 პროცენტი 5 ჰექტარზე ნაკლებს მიწას ფლობს, საშუალოდ კი 1.3 (male-headed family farms) და 0.7 (female-headed family farms). ისეთი პოპულარული სოფლის მეურნეობის კულტურა როგორცაა

⁸ <https://rda.gov.ge/programs/095624-sheghavatiani-agrokredit/525b1364-1599-4587-bf5e-29721dfbab82>

მევენახეობა, ამ სფეროში წარმოების უმეტესობა მცირე საოჯახო ფერმერულ მეურნეობაზე მოდის. მათ შორის, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, შეფასდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კომერციალიზაციისა და არასასოფლო-სამეურნეო შემოსავლების გაზრდის ფაქტორები (Kan et al., 2006). დასახელებული კვლევები ფოკუსირებულია საარსებო წყაროების ცვლილების ტენდენციებს, თუმცა ყურადღება არ მახვილდება დივერსიფიკაციისა და ადაპტაციის პროცესის შესწავლაზე, მათ შორის ამ დროს არსებულ გამოწვევებსა და მათი კუთვნილი კაპიტალის როლზე. ასევე, ყურადღება არ არის გამახვილებული შინამეურნეობების კაპიტალის მოპოვების გამოცდილებაზე და რესურსების ხელმისაწვდომობაზე.

3.4. (მცირე) საოჯახო ტურისტული საქმიანობა საქართველოს სასოფლო დასახლებებში

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად წარმოჩინდა სოფლის ტურიზმის, როგორც მსოფლიო ტურიზმის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, უზარმაზარ შესაძლებლობებს უქმნის სოფლებს, დაბებსა და პატარა ქალაქებს (Richins et al., 2016). ტურიზმი, თავისი მრავალმხრივი ბუნებიდან გამომდინარე, აერთიანებს ეკონომიკური დარგების ფართო სპექტრს. მსგავსი კავშირები ხასიათდება ტურიზმის პირდაპირი (მაგ. კვება, საცხოვრებელი, ტრანსპორტი) და არაპირდაპირი (მაგ. სოფლის მეურნეობა, წარმოება, საცალო ვაჭრობა) გავლენებით ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებზე. შესაბამისად, ტურიზმი გამოირჩევა დივერსიფიცირებული კავშირებით ეკონომიკურ დარგებთან, და ახასიათებს მულტიპლიკატორის (ნამატის) ეფექტი, რაც მისი გამორჩეული თვისებაა ადგილობრივ ეკონომიკურ დონეზე (Rusu, 2011).

საყურადღებოა, რომ ტურიზმის განვითარებას სასოფლო დასახლებებში თან ახლავს ადგილობრივი ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნები. აღნიშნული პროცესი ძირითადად გამოიხატება მომსახურებით სექტორში, რომელიც ტურიზმის განვითარებამდე შესაძლოა ბევრად უფრო სუსტად იყოს დასახლებაში ჩამოყალიბებული (Perlik, 2019). ჰენგ და ლოუს (Heng & Low, 1990) მიხედვით, ჯანსაღი

ტურიზმის ფუნქციონირებას სჭირდება დამხმარე სერვისებისა და წარმოების თანხმლები განვითარება. ამრიგად, შესაძლებელია არსებობდეს ადგილობრივი დამატებითი საქმიანობების ფართო სპექტრი, რომელიც ინტეგრირდება ადგილობრივი ტურიზმის მიწოდების ჯაჭვში. შედეგად, ტურიზმსა და მასპინძელ ეკონომიკას შორის მხარდაჭერილი ურთიერთკავშირი იქნება მთის და სოფლის ეფექტური განვითარების წინაპირობა. კერძოდ, ტურიზმის მდგრადმა განვითარებამ სრული პროცესის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ტურიზმამდე ძლიერი ეკონომიკური სფეროების კიდევ უფრო მეტი გაფართოება და, მეორე მხრივ, სტიმული მისცეს ნაკლებად განვითარებულ ეკონომიკურ დარგებს წინსვლისკენ (Elizbarashvili et al., 2018; Godde et al., 2000; Zaei & Zaei, 2013).

ტურიზმის სარგებლიანობის რეალისტური შეფასება და ადგილობრივი კონტექსტებისა და თავისებურებებისადმი მიზანმიმართული სწორი ზომების მიღება გადამწყვეტ როლს თამაშობს ტურიზმის განვითარებით მოსალოდნელი გრძელვადიანი სარგებლის მიღებაში. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (World Tourism Organization, 2018) თანახმად, მთიან და სასოფლო რეგიონებში ტურიზმის განვითარების გადახედვა უნდა მოხდეს პოლიტიკის დოკუმენტებსა და სტრატეგიებში მისი კონკრეტული მიმართულებების კონკურენტული უპირატესობების გადააზრების გზით. უფრო კონკრეტულად, გლობალური კამპანია უნდა იყოს მიმართული ადგილობრივი, ტრადიციული, ავთენტური და ინოვაციური წარმოების წახალისებისკენ და არა მასობრივი ტურისტული ბაზრის პოპულარიზაციაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და მთიან რეგიონებში მდგრადი განვითარების საერთაშორისო პარტნიორობის (UN. Secretary-General et al., 2016), ვარაუდებზე დაყრდნობით, უმჯობესია მთისა და სოფლის ეკონომიკა დავაფუძნოთ მათი აქტივების ძლიერ მხარეებზე, როგორცაა ტრადიციული ცოდნა და ნიშური პროდუქციის წარმოება. ანალოგიურად, სტრატეგიული კვლევის დღის წესრიგი მთების შესახებ ევროპის მომავლისთვის (Drexler , C. , V. Braun , D. Christie , B. Claramunt , T. Dax , I. Jelen , R. Kanka , N. Katsoulakos, G. Le Roux, M. Price, 2016) ამტკიცებს, რომ აუცილებელია ცვლილება მთებისა და მათი შესაძლებლობების ზოგად გაგებაში: ისინი უნიკალური

ადგილებია სპეციალური პოტენციური გადაწყვეტილებებით სხვადასხვა აქტუალური გამოწვევებისთვის, მათ შორის მდგრადი სამთო ტურიზმისთვის. ამიტომ, როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, სამთო ტურიზმი უნდა განვითარდეს ადგილობრივ, მაღალი ღირებულების, კონკურენტუნარიან პროდუქტებსა და სერვისებზე დაყრდნობით (Ana Tskvitinidze, 2020; G. Salukvadze et al., 2020). როგორც ჩანს, ასეთი მიდგომა უკეთ უზრუნველყოფს ტურიზმის განვითარების მდგრადობას, რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაციას და, რაც მთავარია, ადგილობრივი, ფესვგადგმული ეკონომიკური საქმიანობის შენარჩუნებას.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია - UNWTO-სა და გაეროს განვითარების პროგრამა - UNDP-ის (World Tourism Organization and United Nations Development Programme, 2017), დაშვებებზე დაყრდნობით, ტურიზმი ერთ-ერთ გადამწყვეტ ძალას წარმოადგენს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მიზნების მისაღწევად. ტურიზმის განვითარება მოკავშირე ეკონომიკურ საქმიანობასთან მჭიდრო კავშირებით არის მდგრადი განვითარების მიზნების ერთ-ერთი საყრდენი. ამრიგად, ტურიზმის პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა იმოქმედონ სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, რათა გამოიყენონ ტურიზმის მულტიპლიკატორის ეფექტი ინტეგრირებული პოლიტიკის მეშვეობით. კერძოდ, დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა იმუშაონ ერთად, რათა ბოლომდე მოხდეს ტურიზმის ეკონომიკური ურთიერთკავშირების და ზემოქმედების ათვისება ეკონომიკის სხვა სექტორებთან და აქტივობებთან.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება 2014–2020 ასევე ეხება ტურიზმს: მე-9 მუხლი მიუთითებს საქართველოს განვითარების გზაზე ტურიზმის პროგრესთან მიმართებაში. საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია ტურისტული პოტენციალისა და საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის გაზრდაზე, რადგან ტურიზმი ეკონომიკის წამყვან სექტორებს შორისაა, რაც ქმნის რამდენიმე პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებელს მასპინძელი საზოგადოებისათვის. ასოცირების შეთანხმების იმავე მუხლში (European Union, 2014) აღნიშნულია, რომ საქართველომ უნდა შეინარჩუნოს „პარტნიორობა საჯარო, კერძო და საზოგადოების ინტერესებს შორის ტურიზმის სფეროში, რათა გააძლიეროს კონკურენტუნარიანი და

მდგრადი ტურიზმის ინდუსტრია, როგორც ეკონომიკური ზრდის, გაძლიერების, დასაქმებისა და საერთაშორისო გაცვლის გენერატორი".

ამჟამად მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქცენტები კეთდება ტურიზმის განვითარებაზე, რომელსაც ძლიერი კავშირები აქვს სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან. თუმცა, ამავე დროს, მთიან საქართველოში განხორციელებულმა ბოლოდროინდელმა კვლევითმა პროექტებმა გამოავლინა სუსტი ურთიერთკავშირი ტურიზმსა და სხვა ეკონომიკურ სექტორებს შორის. გუგუშვილისა და მისი თანაავტორების (Gugushvili et al., 2017b), მიხედვით, დიდი კავკასიის არეალი განიცდის სუსტ და არასტაბილურ ეკონომიკურ კავშირებს ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას შორის. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი საზოგადოებისათვის ორივე დარგის თანმხლები განვითარებით მიღებულ შესაძლო სარგებელს. ის ასევე ამცირებს ადგილობრივი ტურისტული ბაზრების სტაბილურობასა და მდგრადობას. ხელაშვილის (2018) სტატიის მიხედვით, ყველაზე დაბალი აქცენტი ადგილობრივი პროდუქციის მოხმარებისკენ არის მიმართული. გარდა ამისა, მისმა დასკვნებმა გამოავლინა დაბალი მულტიპლიკატორის ეფექტი ტურიზმიდან გენერირებული შემოსავლიდან და მაღალი დამოკიდებულება იმპორტზე.

პაპავას (Papava, 2018) ავტორობით გამოქვეყნებულ პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამომხმარებლო კალათის მხოლოდ 20 პროცენტამდეა წარმოებული საქართველოში და 80 პროცენტი შემოტანილია სხვა ქვეყნებიდან იმპორტის სახით. ამ სიტუაციაში, ტურიზმის გამოკვეთილი მახასიათებელია, რომ ეს სექტორი არ მოიხმარს ადგილობრივ პროდუქციას, პირიქით აჯანსაღებს სხვა ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკას საქართველოში. საბოლოო ჯამში ტურიზმიდან მიღებული სარგებელი იკარგება და არ აღწევს ეფექტურად ადგილობრივ მცირე ბიზნესებამდე.

ადგილობრივ დონეზე, სასოფლო დასახლებებში თუ როგორ არის აისახება აღნიშნული ეკონომიკური ცვლილებები შესწავლის მიზნით ბოლო ქვემო მდებარე ქვეთავში განხილულია სტატიები 2017 წლიდან (*იხ. ცხრილი 7*). განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ტურიზმისა და სხვა ეკონომიკური სფეროში მცირე მეწარმეების კავშირებზე, არსებულ კავშირებსა და გამოწვევებზე

ცხრილი 7. განხილული პუბლიკაციები

| სტატიის სათაური | ავტორი/ები | გამოქვეყნების სტატუსი | გამოქვეყნების თარიღი |
|---|---|--------------------------|-------------------------|
| Is Tourism the Beginning or the End? Livelihoods of Georgian Mountain People at Stake | Salukvadze, Gvantsa Backhaus, Norman | გამოქვეყნებული | 2020 |
| <i>Spatial Peculiarities of Local Tourism Supply-Chains in High Mountainous Georgia: Challenges and Perspectives.</i> | Salukvadze, Gvantsa Gugushvili, Temur Salukvadze, Joseph | გამოქვეყნებული | 2020 |
| Rural Tourism in Georgia in Transition: Challenges for Regional Sustainability | Khartishvili, Lela Muhar, Andreas Dax, Thomas Khelashvili, Ioseb | გამოქვეყნებული | 2019 |
| Analyzing Tourism Influence on Agricultural Products' Market: A Case Study of the Mestia Municipality, Georgia | Sharia, Mariam | გამოქვეყნებული | 2019 |
| Clustering the Problems of Sustainable Tourism Development in a Destination: Tsaghveri Resort as A Case | Khelashvili, Ioseb Khartishvili, Lela Khokhobaia, Merab | გამოქვეყნებული | 2019 |
| The Role of Tourism in Economic Development of Georgia | Arghutashvili, Valeri | გამოქვეყნებული | 2018 |
| Social and Economic Challenges of Sustainable Tourism Development in Georgia | Khelashvili, Ioseb | გამოქვეყნებული | 2018 |
| Fragmented Development: Tourism-driven Economic Changes in Kazbegi, Georgia | Gugushvili, Temur Salukvadze, Gvantsa | გამოქვეყნებული | 2017 |

| | | | |
|--|--|----------------|------|
| | Salukvadze, Joseph | | |
| Rural tourism as a promising trend of small business in Georgia: Topicality, capabilities, peculiarities | Paresishvili, Otar Kvaratskhelia, Laura Mirzaeva, Valentina | გამოქვეყნებული | 2017 |
| Linking agricultural food production and rural tourism in the Kazbegi district – A qualitative study | Hüller, S. Heiny, J. Leonhäuser, I.-U. | გამოქვეყნებული | 2017 |

პუბლიკაციების უმეტესობა იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდებს, მათ შორის სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი და სამუშაო შეხვედრები ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან, როგორც არიან ადგილობრივი სოფლების (საზოგადოების) მკვიდრი მოსახლეობა, ტურიზმის ინდუსტრიის, ასოციაციების ადგილობრივი წარმომადგენლები, ექსპერტები და პრაქტიკოსები ეკონომიკის აღნიშნული დარგებიდან. აღსანიშნავია, რომ ფართო, წარმომადგენლობითი, განსხვავებული ხედვებია ინტეგრირებული განხილულ პუბლიკაციებში, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი წინაპირობაა ახალი ცოდნისა და ინკლუზიური განვითარების, ინკლუზიური გადაწყვეტების თანამექმნისთვის. პუბლიკაციებში ტურიზმის განვითარების საკითხები განხილულია რეგიონული განვითარების, ავტორები ახასიათებენ ტურიზმის, როგორც მულტიპლიკატორის ეფექტის მქონე სექტორს, რომელიც ბოლომდე ათვისებული არ არის პოტენციური, ტურიზმი მიწოდების/ღირებულების ადგილობრივი ჯაჭვის, აქტორების მიერ (Khelashvili, 2018). ტურიზმს აქვს პოტენციალი გახდეს კატალიზატორი, მისცეს სტიმული ტურიზმის სატელიტ ეკონომიკურ მიმართულებებს რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ (Arghutashvili, 2018).

ზოგიერთი მეცნიერი ორიენტირებულია რომ შეისწავლოს ტურიზმის მიწოდების ჯაჭვის გამოწვევები და პერსპექტივები (Gugushvili et al., 2017b; Hüller et al., 2017). ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ერთ-ერთი უახლესი კვლევა

აჩვენებს, რომ ტურიზმის სწრაფი ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვნად მცირდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები მუნიციპალიტეტის მასშტაბით. მსგავსი მიგნებების ფონზე, მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მომარაგების ტურიზმის ინდუსტრიის ჯაჭვში ინტეგრირების მნიშვნელობაზე (Gugushvili et al., 2017b). გარდა ამისა, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივ ფერმერებს შეუძლიათ გააუმჯობესონ საარსებო წყაროები პროდუქციის მიწოდებით ტურისტული ობიექტებისთვის (მაგ., საოჯახო სასტუმროები, კვების სერვისები) (Hüller et al., 2017); ტურისტულმა ადგილმა შესაძლოა შექმნას ავთენტური ნიშა ტურისტებისთვის ადგილობრივი, ბუნებრივი აგრო-სასურსათო პროდუქტების მიწოდებით და პოპულარიზაციის გზით (Sharia, 2019), რაც თავისთავად წარმოადგენს სოფლის ტურიზმის მდგრადი განვითარების საყრდენს (Khartishvili et al., 2019; Paresishvili et al., 2017). სალუქვაძე და ბაქჭაუსი (G. Salukvadze & Backhaus, 2020) აჟღერებენ, რომ ტურიზმით გამოწვეულმა ფრაგმენტაციამ ადგილობრივი საარსებო წყაროების სისტემაში შესაძლებელია ხელი შეუშალოს ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციას და გაზარდოს მასპინძელი საზოგადოების ტურიზმზე დამოკიდებულება.

რაც მთავარია, ზემოთ ნახსენები რამდენიმე კვლევის (*იხ. ცხრილი 8*) შედეგები ასევე მოიცავს აგრო-სასურსათო მწარმოებლებსა და ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის არსებული სუსტი კავშირის მიზეზებს. ამ ყოველივეს იდენტიფიცირებული გამოწვევი მიზეზები მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, რომლებიც უნდა იქნას განხილული მდგრადი სოფლის ტურიზმისა და ტურიზმის მიწოდების ჯაჭვის ჯანსაღი განვითარებისათვის, ასევე სოფლის, მთისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიებში.

ცხრილი 8. შემაფერხებელი ფაქტორები და რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის მიმართულებით ეფექტური ტურიზმის განვითარებისათვის

| თემა | გამომწვევი ფაქტორები და რეკომენდაციები | ავტორი |
|--|---|------------------------------|
| <p>სურსათის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის არარსებობა</p> <p>სოფლის მეურნეობის პროდუქტების ინტეგრაცია ტურიზმში</p> <p>სოფლის მეურნეობის გაფართოების სერვისი ადგილობრივი ფერმერებისთვის</p> | <p>სტატიაში მითითებულია, რომ საკვლევ რეგიონში საკვების გადამამუშავებელი პროფესიონალური ინფრასტრუქტურის არარსებობა (სასაკლაოები და რძის შემგროვებელი ცენტრები) ართულებს ადგილობრივი მცირე ფერმერებისთვის უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისი აგრო-სასურსათო პროდუქტების მიწოდებას.</p> <p>ინფრასტრუქტურულ ხარვეზებთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო გაფართოების სერვისი, განსაკუთრებით ადგილობრივი ფერმერებისთვის აგრომარკეტინგის ტრენინგი, გადამწყვეტ როლს ითამაშებს ტურისტულ ბაზარზე მოხვედრის პროცესში. ავტორები გვთავაზობენ აგროპროდუქტების მარკეტიზაციას, როგორცაა თაფლი, მცენარეული ჩაი, კარტოფილი (Shavgulidze et al., 2017), და ყველი, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ტურიზმის მიწოდების ჯაჭვში ინტეგრაციის პოტენციალი.</p> | <p>(Hüller et al., 2017)</p> |

| | | |
|---|--|------------------------------------|
| <p>არაეფექტური კომუნიკაცია ტურიზმის მიწოდების ჯაჭვის აქტორებს შორის</p> <p>ნაკლოვანებები სოფლის მეურნეობაში</p> | <p>ავტორი ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის სექტორის განვითარებამ საშუალება მისცა ადგილობრივ ფერმერებს, თავიანთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე გაეყიდათ, ისინი სრულად ვერ ითვისებენ პოტენციალს. შარია მიუთითებს მთავარ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლის ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტურიზმის მიწოდების ჯაჭვში ინტეგრაციას. ეს ფაქტი გამოწვეულია, ერთი მხრივ, სუსტი კომუნიკაციით ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ბიზნესის აქტორებს შორის და, მეორე მხრივ, რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორის წინაშე არსებული გამოწვევებით.</p> | <p>(Sharia, 2019)</p> |
| <p>ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა</p> <p>ინსტიტუციური განვითარება</p> | <p>სტატიაში მეცნიერები მკითხველის ყურადღებას ამახვილებენ პროექტზე Marani Wine Tours, რომელიც აშკარა მაგალითია იმისა, თუ როგორ მიაღწია წარმატებას ასოციაციებისა და სამთავრობო ინსტიტუტებს შორის ქვევრის ღვინის⁹ ვალიდაციაში. ასეთი პრაქტიკა წარმოადგენს მაგალითს, თუ როგორ უნდა წახალისდეს მომიჯნავე</p> | <p>(Khartishvili et al., 2019)</p> |

⁹ ქვევრის მეღვინეობა მთელი საქართველოს მასშტაბით არის გავრცელებული, განსაკუთრებით სოფლის თემებში, სადაც ყურმნის უნიკალური ჯიშებია მოყვანილი. ქვევრი არის კვერცხის ფორმის თიხის ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება ღვინის დასაყენებლად, დასამველებლად და შესანახად. <https://ich.unesco.org/en/RL/ancient-georgian-traditional-qvevri-wine-making-method-00870>

| | | |
|--|--|------------------------------|
| | <p>ეკონომიკური საქმიანობა - ამ შემთხვევაში, აგროტურიზმი.</p> <p>სტატიაში ასევე მოცემულია ინიცირებული ქსელი ორგანულ ფერმერებსა და ტურიზმის აქტორებს შორის, რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციები გარე დაფინანსებით უჭერენ მხარს. მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ისინი ამტკიცებენ, რომ ამ ინიციატივაში სამთავრობო ორგანიზაციების არარსებობამ გამოიწვია არასრული განვითარება და სუსტი მდგრადობა.</p> <p>ავტორები ითვალისწინებენ, რომ ინსტიტუციური განვითარება (სოფლის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტები და დესტინაციის მართვის ორგანიზაციები (DMOs)) უზრუნველყოფს სოფლის ტურიზმის მდგრად განვითარებას, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებას დანიშნულების ადგილზე.</p> | |
| <p>ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა</p> <p>არსებული პრაქტიკის ანალიზი</p> | <p>ზემოთ განხილული სტატიის მსგავსად (Khartishvili et al., 2019), ავტორი ხაზს უსვამს კერძო სექტორს, სამთავრობო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაძლიერებული ურთიერთკავშირის სარგებელს. გარდა</p> | <p>(Arghutashvili, 2018)</p> |

| | | |
|--|--|-------------------------------------|
| <p>ადგილობრივი კონტექსტი</p> | <p>ამისა, ავტორი ხაზს უსვამს უცხო ქვეყნებში უკვე არსებული გამოცდილების შესწავლისა და ანალიზის მნიშვნელობას, ასევე ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებას მისი სრული უპირატესობებით, რესურსებითა და განვითარების პერსპექტივებით.</p> | |
| <p>ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობა</p> <p>სოფლის მეურნეობის გამოწვევები</p> <p>სოფლის მეურნეობის გაფართოების სერვისი</p> <p>ადგილობრივი ფერმერებისთვის</p> <p>აგროპროდუქტების არასტაბილური მიწოდება</p> | <p>სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივი ნაწარმის დაბალ კონკურენტუნარიანობაზე ალტერნატიული მომწოდებლების მიერ რეგიონის გარედან შემოტანილ პროდუქციასთან შედარებით. ავტორები ახდენენ იმ მიზეზების იდენტიფიცირებას რაც ხელს უწყობს არაადგილობრივი პროდუქციის პოპულარობას. მათ შორის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას წარმოადგენს მასობრივი პროდუქციის დაბალი ფასი, რომელიც რა თქმა უნდა განსაზღვრავს ასევე მის დაბალ ხარისხს, რაც როგორც ჩანს მისაღებია ტურიზმის წარმომადგენლებისათვის, განსაკუთრებით კვების ობიექტებისათვის. გარდა ამისა, ასეთ „გარე“ ბაზრებს აქვს დამატებითი უპირატესობები, როგორცაა პროდუქტის მიწოდების ფართო სივრცითი დაფარვა და ბარტერული (ნატურალური გაცვლა) ვარიანტები (მაგ.,</p> | <p>(G. Salukvadze et al., 2020)</p> |

| | | |
|--|--|--|
| | <p>ყველის ნატურალური გაცვლა ბოსტნეულზე). მთლიანობაში ეს მნიშვნელოვნად ასუსტებს ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.</p> <p>ამ სტატიის ზოგიერთი აღმოჩენა ემთხვევა სხვა მკვლევართა პერსპექტივებს (Hüller et al., 2017) და იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ადგილობრივი ფერმერების სუსტი მარკეტინგული უნარები და ენთუზიაზმის ნაკლებობა აფერხებს მათ თანამშრომლობას ტურიზმის წარმომადგენლებთან. სტატია თანხვედრაშია შარიას ავტორობით განხილულ მიგნებებთან (Sharia, 2019) და ასევე რიგ შემთხვევებში თემატურად ავსებს დასკვნებს სოფლის მეურნეობაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მის ინტეგრაციას ტურიზმის მიწოდების ჯაჭვში. სოფლის მეურნეობაში აღნიშნულ სისუსტეებთან ერთად შეიმჩნევა დამატებითი ხარვეზები, როგორცაა არასტაბილური მიწოდება (მაგ. სეზონურობა, პროდუქციის არასტაბილური რაოდენობა), მოძველებული ინფრასტრუქტურა და თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა.</p> | |
|--|--|--|

ბოლოდროინდელი პუბლიკაციები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციასა და მონაცემებს კვლევითი პროექტიდან "Linkages between Tourism and Community-driven Economic Activities: Shaping Sustainability in Mountain Regions" გვთავაზობენ ახალ პერსპექტივებს ტურიზმის მიწოდების ჯაჭვის კვლევაში. უფრო კონკრეტულად, მთის რაიონებში ცენტრალური დასახლებები (მაგ. ქალაქები) იდენტიფიცირებულია, როგორც ახლომდებარე თუ შორეული სოფლებიდან მიწოდებული აგროპროდუქტების პირველადი მომხმარებლები (მაგ. კაფეები, საოჯახო სასტუმროები, სასტუმროები) (G. Salukvadze et al., 2020). მსგავსი მიგნებები და დასკვნები მიუთითებს სასოფლო და საქალაქო დასახლებებს შორის სტაბილური კავშირის გარდაუვალ აუცილებლობაზე, საგზაო ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და ინფორმაციის გაცვლის ჩათვლით, რათა გზა გაუხსნას მცირე ფერმერების ინტეგრაციას ტურიზმის მიწოდების ჯაჭვში.

სალუქვაძისა და ბაქჰაუსის ბოლო სტატია (G. Salukvadze & Backhaus, 2020) მიემდგვნა დიდი კავკასიონის მთიან და სოფლად ტურიზმის შედეგად განხორციელებული ტრანსფორმაციის ანალიზს. დასკვნებიდან გამომდინარე, მეცნიერებმა დაადგინეს საარსებო წყაროს ცვლილების შემდეგი ძირითადი ტიპები შინამეურნეობის დონეზე: (i) აგროტურიზმის განვითარება; (ii) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაზრდა; (iii) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შემცირება; და (iv) არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაფართოება. ამ უკანასკნელი ტიპის არსებობა ხაზს უსვამს იმას, რომ ადგილობრივი საზოგადოების ჩართვა ტურიზმის მიწოდების ჯაჭვში შესაძლებელია სოფლის მეურნეობის გარდა სხვა პროდუქტებისა და სერვისების საშუალებით.

დასახლებები არ დგანან მხოლოდ ერთი პრობლემის წინაშე, არამედ ერთდროულად ტურიზმთან დაკავშირებულ სხვადასხვა გამოწვევებს აწყდებიან. მეცნიერები სხვადასხვა სამეცნიერო მიდგომებისა და "ინსტრუმენტების" იდენტიფიცირებას ახდენენ იმისათვის რომ მოხდეს არსებული გამოწვევების ჩამოყალიბება მათი შემდგომი ეფექტური გადაჭრისათვის. ხელაშვილი, ხარტიშვილი და ხოხობაია (Khelashvili et al., 2019) გვთავაზობენ სისტემაზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას, რომელიც მკვლევრებს საშუალებას აძლევს დაადგინონ ურთიერთკავშირი პრობლემებს შორის, რათა მოხდეს მათი კლასტერიზაცია და განისაზღვროს საჭირო ბერკეტები მათ გადასაჭრელად. საბოლოო ჯამში, ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევს

პრაქტიკოსებს გამოავლინონ პრობლემები, რომლებიც უნდა მოგვარდეს ტურისტული ადგილის განვითარების საწყის ეტაპზე.

3.5. ტრადიციული პრაქტიკების როლი მთისა და სოფლის ტურიზმის განვითარებაში

კულტურასა და ტურიზმს აქვთ სინერგიული ურთიერთობა, რომელსაც შეუძლია ტურისტული ადგილი უფრო მიმზიდველი და კონკურენტუნარიანი გახადოს როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ დონეზე. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ადატ-წესების დემონსტრირება შეიძლება იყოს ტრადიციების შენარჩუნების საშუალება (Besculides et al., 2002; Godde et al., 2000; Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), 2009; S. Williams & Lew, 2015). ამის საპირისპიროდ, ტურიზმის შესაძლოა გახდეს ნეგატიური კულტურული ცვლილების ან ადგილობრივი იდენტობისა და ღირებულებების ცვლილების აგენტი, რადგან მისი განვითარება იწვევს კულტურულ კომოდიფიკაციას (Macleod, 2006; Mbaiwa, 2011; Shepherd, 2002; S. Williams & Lew, 2015). მსგავსი კულტურული გაყოფისა და ავთენტურობის დაკარგვის შუაგულში ერთ-ერთი საკითხია სტუმართმოყვარეობის ტრადიცია და სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობა. სოციალური მეცნიერებების გადმოსახედიდან, აღნიშნული საკითხის შესწავლა სცდება მათ კომერციულ საფუძვლებს და ყურადღებას ამახვილებს, როგორც ადამიანურ, ისე სოციალურ ფენომენებზე (Causevic & Lynch, 2009; M. Robinson & Smith, 2006).

კავკასიაში განხორციელებულ კვლევებში საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა სტუმართმოყვარეობის, როგორც ტრადიციის შესწავლას (Curro, 2017). კერძოდ, ანთროპოლოგიურმა და კულტურასთან დაკავშირებულმა კვლევებმა ფართოდ შესწავლა საქართველოში სტუმრების მიღების პრაქტიკა (Chatwin, 1997; Dragadze, 2003; K. Tuite, 2005; Khutsishvili, 2010; Kotthoff, 1995; Ram, 2014). კურომ (Curro, 2014) მიმოიხილა ზემოაღნიშნული კვლევების ისტორია და აღნიშნა, რომ სტუმართმოყვარეობის პარადიგმატული გამოხატულება, განსაკუთრებით ქართული სუფრის ტრადიცია და სადღეგრძელოების სტრუქტურა, განისაზღვრა, როგორც ეროვნული იდენტობის საყრდენები. გარდა ამისა, ქართველი მასპინძლების მხრიდან

დამახასიათებელია სტუმრების მიმართ პატივმოყვარე დამოკიდებულება. ისინი სტუმრებს აღიქვამენ, როგორც "ღვთის მიერ გამოგზავნილი" ადამიანები, რაც მრავალსაუკუნოვანი სტუმარ-მასპინძელი ტრადიციების ნაწილია. ისტორიულად, მასპინძლის უპირველესი პასუხისმგებლობა, რომელსაც „ოჯახისა და სუფრის უფროსს“ უწოდებენ, არის სტუმრების პატივისცემით გამასპინძლება; სწორედ ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც განსაზღვრავს ოჯახის ღირსებას. მათ შორის ფიზიკურ დონეზეც სტუმართმოყვარეობის ელემენტები ინტეგრირებულია ქართულ სეკულარულ არქიტექტურაში; სახლის მთავარ ოთახს სასტუმრო ოთახს უწოდებენ.

ბოლო წლების განმავლობაში მთის ხალხმა მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღო ტურიზმთან დაკავშირებული აქტივობების მრავალფეროვან სპექტრში ჩართულობით, როგორცაა საოჯახო სასტუმროების განვითარება, კვება და გასართობი სერვისების მიწოდება (Gugushvili et al., 2017c; Hüller et al., 2017; Khelashvili et al., 2019). ზოგიერთმა ავტორმა გამოკვეთა პოტენციური ეკონომიკური განვითარების მიმართულებები, მათ შორის სოფლის ტურიზმი, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, კულტურული რესურსებისა და მემკვიდრეობის ტურიზმი (Khartishvili et al., 2019; Khoshtaria & Chachava, 2017; Paresishvili et al., 2017). ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესები პირდაპირ მიემართება სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობებისადმი (guest–host relationship) და სტუმართმოყვარეობის მიმართ ინტერესს. ეს განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ტრადიციულად ორივე საკითხი წარმოადგენს კულტურულ ელემენტს (Barisashvili, 2015). სტუმართმოყვარეობის კუთხით, კვლევა ძირითადად ფოკუსირებულია თუ როგორ ხდება საქართველოში ტრადიციულად სტუმრების მიღება და აღნიშნულს რა გავლენა აქვს საზოგადოებაზე (Chatwin, 1997; Curro, 2014; Khutsishvili, 2010; Kotthoff, 1995; Ram, 2014). მსგავსი მიდგომა ქმნის ახალ რეალობას და წარმოდგენებს იმ პროცესში, როდესაც საქართველოში მიმდინარებს ტურიზმის სწრაფი განვითარებით პროვოცირებული კულტურული კომოდიფიკაციის პირობებში მიმდინარეობს სტუმართმოყვარეობის ტრანსფორმაცია.

თავი 4. კვლევის შედეგები

კვლევის მიგნებები ეყრდნობა შინამეურნეობების ნარატივებს, რომლებიც ძირითადად ჩართულები არიან შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობებში: სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა. მენსტრიმული ეკონომიკური საქმიანობის კვალდაკვალ კვლევამ შეისწავლა საოჯახო ბიზნესების გამოცდილება, რომლებიც მუნიციპალიტეტისთვის, რეგიონისთვის მანამდე უცხო ეკონომიკური საქმიანობაში ჩაერთნენ. მსგავსი საქმიანობები მოიცავს ისეთ ეკონომიკურ აქტივობებს, როგორებიცაა მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება, ხის საწარმო, თეთრეულების სამრეცხაო და სხვა. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობაში ჩართული ოჯახების საქმიანობებიც მრავალფეროვანია, მათ შორის მოიცავს რეგიონისთვის არატრადიციულ სოფლის მეურნეობის კულტურების წარმოებას, მესაქონლეობას, მეთევზეობას, სასათბურე მეურნეობებისა და მეფუტკრეობის განვითარებას. საკვლევ არეალებში აქტიურად მიმდინარეობს სტუმარ-მასპინძლობის ბიზნესის განვითარება, შესაბამისად კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფოკუსია შინამეურნეობების საოჯახო სასტუმროების მომსახურების შექმნისა და გაფართოების პროცესი.


4.1. ტრადიციული და ინოვაციური ადამიანური კაპიტალი

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ადგილობრივი შინამეურნეობები ახალი ეკონომიკური საქმიანობის (მაგ. მცირე საოჯახო ბიზნესი) დაწყების პროცესში ან არსებულის გაფართოებისას იყენებენ ადამიანური კაპიტალის როგორც ტრადიციულ, ისე არატრადიციულ ფორმებს. ადამიანური კაპიტალის ტიპისა და მისი მოპოვების მიხედვით სამი კატეგორია გამოიკვეთა: (i) ახალი/არატრადიციული ადამიანური კაპიტალი, (ii) შინამეურნეობის პრაქტიკა, და (iii) ტრადიციული. კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების ანალიზი თვალნათლივ აჩვენებს, რომ ახალი, არატრადიციული ადამიანური რესურსი არის არსებითი კომპონენტი საოჯახო ბიზნესის დასაწყებად, რომელსაც ოჯახის წევრები განსხვავებული გზებით იღებენ. ახალი, არატრადიციული ადამიანური კაპიტალი გულისხმობს იმ ცოდნასა და

უნარებს, რომელიც მანამდე საკვლევო მუნიციპალიტეტებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი. ნარატივებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ შინამეურნეობები ფლობენ ახალი, არატრადიციული ადამიანური რესურსების მრავალფეროვან პალიტრას. მათ შორის აღსანიშნავია ცოდნა შემდეგ საკითხებში: მემცენარეობისა და მეცხოველეობის წარმოება, სტუმარ-მასპინძლობა, თეთრეულის მოვლის სტანდარტები, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება და უცხო ენები. ადამიანური კაპიტალის კიდევ ერთი ტიპია *შინამეურნეობის პრაქტიკა*, რომელიც მიემართება ისეთ უნარებსა და ცოდნებს, რომლებიც პრაქტიკული გამოცდილების მიღების გზით შეისწავლეს საკუთარ და/ან მეზობლის ოჯახში. რესპონდენტები ოჯახის გარემოცვაში სწავლობენ, ეცნობიან არა მხოლოდ ტრადიციულ, არამედ ახალი, არატრადიციულ ადამიანური კაპიტალის ფორმებს. მსგავსი შინამეურნეობები გამოირჩევიან მუნიციპალიტეტში, ისინი რეგიონისთვის არადამახასიათებელ, ახალ ეკონომიკურ საქმიანობაში არიან ჩართულები. მესამე ტიპის, *ტრადიციული ადამიანური* კაპიტალი ხასიათდება ცოდნის, უნარების თაობიდან თაობის გადაცემით. უფრო კონკრეტულად, ტრადიციული კაპიტალის ფორმების კარგი მაგალითია რეგიონში გავრცელებული ცოდნა და პრაქტიკები, მათ შორის, სტუმართმოყვარეობა, მემცენარეობისა და მეცხოველეობის მეურნეობის მართვა, ადგილობრივი კონტექსტისა და ბუნებრივი გარემოს ცოდნა.

მონაცემთა ანალიზის პროცესში, ორი მთავარი კოდის [family codes] კროსტაბულაცია, სახელდობრ ეკონომიკური აქტივობებისა და ადამიანური კაპიტალის ტიპების ჯვარედინი თანაკვეთა აჩვენებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ახალ, არატრადიციულ სოფლის მეურნეობის კულტურებსა და პრაქტიკებს რეგიონისთვის (14 კოდის თანაკვეთა) (იხ. დიაგრამა 9) იყენებს ისეთი ტრადიციული ეკონომიკური დარგების წარმოების პროცესში, როგორცაა სოფლის მეურნეობა. ეს ადგილობრივ ფერმერებს ეხმარებათ მათი საარსებო წყაროების დივერსიფიკაციაში და ასევე, ამ გზით შინამეურნეობები ეხმარებიან ბაზრის შეცვლილ მოთხოვნებს ან მომხმარებლის შეცვლილ ინტერესებს. სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი მეთოდების ინტეგრაციის კვალდაკვალ ადგილობრივი ოჯახები ინარჩუნებენ ტრადიციულ პრაქტიკებს.

დიაგრამა 9. კროსტაბულაცია: ადამიანური კაპიტალი, ეკონომიკური საქმიანობა და ადამიანური კაპიტალის ტიპი



წყარო: სიღრმისეული ინტერვიუები, რომელიც განხორციელდა სადოქტორო კვლევის ფარგლებში

ადგილობრივი გარემოს მახასიათებლებისა და კონტექსტის ცოდნა ფერმერებს ეხმარება ახალი სოფლის მეურნეობის კულტურების, ქვედარგებისა და მიდგომების წარმატებით დანერგვაში.

ეს მოხდა როგორ, თავისთავად როცა დაიშალა საბჭოთა კავშირი. რომ მოვიდოდა სტუმარი ყველა ვალდებული იყო პატივი ეცა იმ ჩამოსულისათვის, მოსკოველი იქნებოდა, ეს, ტაშკენტელი თუ პეტერბურგელი, ვარშავა, ბუდაპეშტი ეს აღმოსავლეთ ევროპის ხალხი... ძირითადად ჩემს ოჯახში მაგალითად, 1996 წლიდან დაიწყო ამ, როგორც ასეთი დემოკრატიული ქვეყნებიდან [სტუმრების მიღება] და ჩვენც "გავდემოკრატიულდით", შემოსვლა ტურისტების ავტომატურად გადავიდა მერე ფასიან მომსახურებაზე (საოჯახო სასტუმრო, მესტია, 53 წლის, კაცი)

წარმოდგენილი კვლევის მიგნებების მიხედვით, ადამიანური კაპიტალის ორი ტიპი, ტრადიციული და შინამეურნეობის პრაქტიკა (6 კოდის თანაკვეთა) (იხ. დიაგრამა 9) მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუმარმასპინძლობის სექტორის ჩამოყალიბებაში. პრაქტიკები, რომლებიც ადგილობრივი ცხოვრების ნაწილია, მაგალითისათვის სტუმრის გამასპინძლება, ტრადიციული კერძების მომზადება და ხეზე მუშაობა საოჯახო სასტუმროს განვითარების პროცესში საბაზისო მომსახურებების შექმნის პროცესში მნიშვნელოვან კომპონენტებად იქცა.

4.2. ადამიანური კაპიტალის მოპოვების სტრატეგიები

ადამიანური კაპიტალის ფლობა არ არის აუცილებელი მოცემულობა, არამედ პირიქით, ადგილობრივი შინამეურნეობის წევრები დიდი ძალისხმევითა და განსხვავებული სტრატეგიებით ცდილობენ ახალი უნარებითა და ცოდნით აღჭურვას. არატრადიციული ადამიანური კაპიტალის შექმნა გამოირჩევა სტრატეგიების

მრავალფეროვნებით, რომლებიც, ასევე, დამოკიდებულია ოჯახის წევრების ცოდნაზე, გამოცდილებაზე და ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკაზე.

საკვლევი რეგიონების მაცხოვრებლებისთვის ახალი ცოდნის შეძენის ერთ-ერთ სტრატეგიას ფორმალური განათლების მიღება წარმოადგენს. აღნიშნული გამოიხატება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ სხვა რეგიონში, ან საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი პროგრამების სახით, რომლებიც უზრუნველყოფენ თემატური ტრენინგების ორგანიზებას, ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ადამიანებს ცოდნის მიღებაში ახალ (მაგ., ტურიზმის) ან ტრადიციულ (მაგ. სოფლის მეურნეობაში) ეკონომიკურ საქმიანობებში.

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული,
ეკონომიკის ფაკულტეტი. რამდენი წლის განმავლობაში, 25-30 წლის
განმავლობაში ვმუშაობდი აქ [მესტია] საფინანსო სამსახურის
უფროსად - ამჟამად ფინანსურ ანგარიშებს და სხვა ოფიციალურ
დოკუმენტებს ვამზადებ [ჩემი ბიზნესისთვის] (საოჯახო სასტუმრო,
მესტია, 64 წლის, ქალი)*

არსებობს ცოდნისა და უნარების შეძენის ფორმები, რომლებიც ავლენს ადგილობრივი მოსახლეობის დიდ მოტივაციას აღმოაჩინონ ახალი მეთოდები ან ეკონომიკური აქტივობები და მათზე დაყრდნობით შექმნან ან გააფართოონ მცირე საოჯახო ბიზნესები. ამის მისაღწევად ადგილობრივები იყენებენ თვით-სწავლის ყველა შესაძლო საშუალებას, რათა მიიღონ სასურველი ცოდნა წიგნების, ინტერნეტის ან ონლაინ გაკვეთილების საშუალებით. ახალი ცოდნის მიღებით დაინტერესებული ზოგიერთი ადგილობრივი მოსახლე ხარჯავს დამატებით ძალისხმევას (დრო, ფული), იმისათვის, რომ გამოცადონ სხვადასხვა ნასწავლი მეთოდები პრაქტიკაში. სხვა სტრატეგიების მსგავსად, ცდისა და შეცდომის მეთოდი ადგილობრივებისთვის არის ახალი ეკონომიკური აქტივობების პრაქტიკაში დანერგვის საშუალება. აღნიშნული მიდგომა დადებით მხარესთან ერთად (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში), აგრეთვე ავლენს თავის უარყოფითი მხარეებს. მთიანი დასახლებების განსხვავებული

ბუნებრივი გარემოდან გამომდინარე, სხვა არეალებში გამოცდილი მეთოდების გამოყენება, შესაძლოა წარუმატებელი აღმოჩნდეს. ამასთან აღსანიშნავია, რომ მთიან რეგიონებში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო ართულებს მოსახლეობისათვის ახალი ცოდნის შესაძენად საჭირო ფინანსებისა და დროის გამოყოფას.

განხორციელებულმა კვლევამ ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვადასხვა დარგის პროფესიონალებს შორის კომუნიკაციის ორი ძირითადი ტიპი (გამოცდილების გაზიარება და სპეციალისტების მოწვევა) გამოავლინა. კერძოდ, ბიზნესის დაგეგმვის საწყის ეტაპზე ან იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი თავად ვერ უძკლავდებიან გამოწვევებს, ადგილობრივები იყენებენ სოციალურ ქსელებს. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში ცდილობენ ისეთი კავშირების გამოყენებას, რომლებიც აერთიანებს პროფესიონალებს, რათა კონკრეტულ საკითხში იპოვონ გამოსავალი. მოპოვებული მონაცემების ანალიზმა გამოავლინა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ადგილობრივებმა ინფორმაცია და გამოცდილება გაუზიარეს მეზობლებს. სწორედ მსგავსი მეთოდი არის ძირითადი ჩვეულება, რაზე დაყრდნობითაც შესაძლოა რეგიონში მოხდეს კარგი პრაქტიკების გავრცელება შერჩეული ბენეფიციარებისთვის. უფრო კონკრეტულად, სოფლის განვითარების პროგრამების მიხედვით, ახალი სოფლის მეურნეობის ან სხვა ახალი ეკონომიკური პრაქტიკის დანერგვის შემდეგ, ახალი ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ცოდნის დანერგვის მიზნით, გამოიკვეთა, რომ არსებობს პრაქტიკა, როდესაც ადგილობრივები დასახლებაში იწვევენ გარე სპეციალისტს სხვა რეგიონიდან ან დედაქალაქიდან კონკრეტული უნარების გასაზიარებლად. ნარატივების მიხედვით, სპეციალისტები თავად იღებენ მონაწილეობას საოჯახო ბიზნესში და ადგილობრივებს ასწავლიან როგორ განავითარონ მათთვის მნიშვნელოვანი პროდუქტი ან გაუწიონ საჭირო მომსახურება.

*მე გამიჩნდა [იდეა], სასტუმროში, მიმღებში ვმუშაობდი თავიდან,
[სასტუმრო] თბილისში რეცხავს თეთრეულს. რამდენჯერმე
ზამთარში გზის პრობლემის გამო ან სამრეცხაოს პრობლემა შეექმნა
და დაავიანდა თეთრეულის მიწოდება, ამან სტუმრების
უკმაყოფილება გამოიწვია. მაშინ ვიფიქრე, რომ რატომ არ არის*

ადგილობრივად სამრეცხაო? მოთხოვნა ნამდვილად არის ბაზარზე და რამდენი საოჯახო სასტუმროა, რომ გავიკითხე, ყველა რეცხავდა თბილისში ან საკუთარი ძალებით. ვიფიქრე, რომ ნამდვილად წარმატებული იქნებოდა ეს ბიზნესი და შევიტანე დაფინანსებაზე, ანუ პროექტი დავწერე (თეთრეულის სამრეცხაო, ყაზბეგი, 26 წლის, ქალი)


ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო კერძო კომპანიები ასევე არიან არატრადიციული ადამიანური კაპიტალის წყაროები. ადგილობრივები, რომლებსაც აქვთ სპეციალიზაცია კონკრეტული მიმართულებით, ეცნობიან აღნიშნულ ეკონომიკურ სექტორს. ისინი ფლობენ იმ სპეციალურ უნარებს ან ახდენენ საჭირო დამხმარე მომსახურების იდენტიფიცირებას, რომელიც შემდგომ სტარტაპის შექმნის შთაგონების წყარო ხდება. მრავალფეროვანია ასევე შინამეურნეობებში მიღებული გამოცდილება, განსაკუთრებით სპეციფიკური ადგილობრივი სპეციფიკით გაჯერებული ცოდნა. ოჯახში შექმნილი კომპეტენცია ძირითადად მოიცავს ტრადიციული საკვების მომზადებას, სტუმრების მასპინძლობას, ბუნებრივი გარემოს ცოდნას.

ნარატივების კოდირებული სეგმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ ადგილობრივები იყენებენ ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების შექმნის სხვადასხვა მეთოდებს (*იხ. დიაგრამა 10*). ადამიანური კაპიტალის თითოეული წყარო გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობენ ოჯახის წევრები თავიანთი საარსებო პრაქტიკის დივერსიფიკაციას. ზოგიერთი აერთიანებს ოფიციალურ განათლებას და სამუშაო გამოცდილებას ადგილობრივ კერძო საწარმოებში; სხვები ახდენენ თვითსწავლების, ფორმალური განათლებისა და კეთებით სწავლის შერწყმას. ნებისმიერი საშუალებით მოპოვებული ადამიანური კაპიტალი აძლიერებს შინამეურნეობების მზადყოფნას ახალი სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად.

ნუ ადრე როგორი იყო ხოლმე, აქ ყაზბეგში იყო მარტო კარტოფილი მოდის და კარტოფილი მოდის და. მერე, ერთხელ რო დავთესე, ისე დავთესე ეს სალათის ფოთოლი, წამოვიდა. არ ვიცოდი ეს როგორ უნდოდა და რანაირად უნდოდა. მერე რაღაცა პატარა შევისწავლე და განვაკითარე უკვე ერთ... დავაშორე ერთმანეთთან და მშვენივრად წამოვიდა. მერე სწავლებები, ტრენინგები, ეს ყველაფერი და ვისწავლე რო მოვლა-პატრონობა და ყველაფერი. გადავედი სალათები, მეზოსტნეობაზე (სოფლის მეურნეობა, ყაზბეგი, 52 წლის, კაცი)

რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს ადამიანური კაპიტალის, როგორც დაგროვილი უნარების მნიშვნელობა, რომელიც თავის მხრივ, არის სხვა ტიპის კაპიტალის წვდომის ან მოპოვების წინაპირობა. საერთაშორისო თუ სამთავრობო პროგრამების მეშვეობით, ადგილობრივებს ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკური მდგომარეობის გასაძლიერებლად.. აპლიკანტისთვის აუცილებელია ჰქონდეს მკაფიო ბიზნეს გეგმა, ბიუჯეტი, დამატებითი ფორმალური დოკუმენტები და წვდომა ელექტრონულ პლატფორმებზე დაფინანსებაზე განაცხადის შესატანად. განაცხადის პროცედურების სირთულე განსხვავდება პროექტის მოთხოვნების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების ახალგაზრდა წევრები იღებენ ხშირად საბუთების ონლაინ ატვირთვისა და წარდგენის პროცედურების შესრულების პასუხისმგებლობას.

დიაგრამა 10. ადამიანური კაპიტალის, ადამიანური კაპიტალის შექმნის წყაროსა და რესპონდენტების კავშირების რუკა



წყარო: დიაგრამა შექმნილია ავტორის მიერ

როგორც კი [მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა] დაიწყო, იდეა გაჩნდა დაგვეწყო ოჯახური [საოჯახო] ბიზნესი. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ სახლს ვფლობდით, მისი გარემონტება

*გვინდოდა [ტურისტების მაგისტანებისთვის მომზადება]. ჩემმა
მშობლებმა მომაწოდეს იდეა, მე ჩამოვაცალიბე, დავწერე
წარსადგენად. ჩვენ მივიღეთ დაფინანსება (საოჯახო სასტუმრო,
შინამეურნეობის ახალგაზრდა წევრი, მესტია)*

საბოლოო ჯამში, სტუმართმოყვარეობის სექტორში ნათლად შეიმჩნევა ადამიანური კაპიტალის სამივე ტიპის მნიშვნელოვანი როლი საოჯახო სასტუმროების მომსახურებების განვითარებაში. ადგილობრივები სტუმრებისათვის ამზადებენ ტრადიციულ კერძებს, მათივე ოჯახებში შექმნილი კულინარიული უნარების გამოყენებით, მრავალწლიანი ქართული სტუმარმასპინძლობის ტრადიციის მიხედვით, სტუმრებს უქმნიან სახლურ ატმოსფეროს და იყენებენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხო ენებში მიღებულ ცოდნას. ადგილობრივი მოსახლეობის ტურისტული სერვისები გაუმჯობესდა სტუმართმოყვარეობის სტანდარტებით, რომლებიც შექმნილია ისეთი ფორმალური განათლების საშუალებით, როგორცაა საუნივერსიტეტო პროგრამები და ტრენინგები. არანაკლებ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტურისტული მომსახურებები მუდმივად ვითარდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ საქმიანობაში პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

4.3. კულტურული რესურსების კაპიტალიზაცია

კულტურული კაპიტალის როლი მცირე საოჯახო ბიზნესის დაწყების პროცესი განხილულია ტურიზმის ინდუსტრიის მაგალითზე. საოჯახო სასტუმროების მომსახურების შექმნის პროცესი გაჟღერებულია კულტურული ელემენტებით. ადგილობრივები ტრადიციული პრაქტიკების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების კაპიტალიზაციას ახდენენ ავთენტური ტურისტული მომსახურების შესაქმნელად. სტუმართმოყვარეობის ტრადიციის ტრანსფორმაცია ტურისტულ მომსახურებად საოჯახო სასტუმროებში გადაითარგმნა დამატებითი მომსახურებების უსასყიდლოდ მიწოდებაში. ადგილობრივები რიგ შემთხვევებში ტურისტებს უფასო მომსახურებას უწევენ სხვადასხვა მიმართულებით ან ამისამართებენ მათთვის საჭირო მომსახურების მიმწოდებელთან. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, მასპინძლები

ტურისტებს სთავაზობენ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი კერძების მომზადებასა და სხვა ტიპის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მათთვის საკმაოდ სასიამოვნო ტურისტული გამოცდილების მომტანია.

*მათთვის ყველაფერი საინტერესოა - ისინი მზად არიან ნახონ, როგორ
ვამზადებთ საჭმელს და დაინტერესებულნი არიან სცადონ.
მაგალითად, მათ მოხოვეს, მესწავლებინა ძროხის წველა (საოჯახო
სასტუმრო, ყაზბეგი)*

როგორც ტურისტებმა აღნიშნეს, აღნიშნული გამოცდილება უსასყიდლოდ მიიღეს (Gugushvili et al., 2019; Gugushvili & Salukvadze, 2015). აქედან გამომდინარე, უფასო დამატებითი მომსახურება ამდიდრებს საოჯახო სასტუმროების ძირითად და რეალურ კომპონენტებს დამატებით კულტურული თავისებურებებით, რომელიც წარმოადგენს პროდუქტის მესამე - ოგმენტურ ფენას. ქოლერისა და არმსტრონგის(2017) მიხედვით, პროდუქტები და მომსახურებები შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან (ძირითადი, რეალური და ოგმენტური პროდუქტი). პროდუქტის ძირითადი კომპონენტი არის საბაზისო დონე და მომხმარებელი მისი ყიდვისკენ არის ორიენტირებული. რეალური პროდუქტი არის სერვისი და საქონელი, რომელიც შეთავაზებულია მომხმარებლისთვის განსაკუთრებული თავისებურებებით, დიზაინით, ბრენდის სახელით და შეფუთვით. რაც შეეხება პროდუქტის/მომსახურების ოგმენტურ ელემენტს, ის ქმნის ზოგად ატმოსფეროს პროდუქტის გარშემო (მაგ. მეგობრული, პრესტიჟული და ა.შ.) და მოიცავს მომხმარებლისთვის დამატებითი სარგებელს(McGrath, 1999; Salamoura & Angelis, 2008).

ნარატივის მიხედვით, ცხადად გამოიკვეთა, რომ ტურისტებისთვის უფასო სერვისების მიწოდების სურვილი განპირობებული იყო მასპინძლების ღირსების გრძნობითა და ტრადიციული პრაქტიკებით.

*თუ ჭიქა ყავას დალევს, ქართველი იქნება თუ უცხოელი ტურისტი
[თავს არ შევირცხვენ] ფულს არ გამოვართმევ. მიუღებელია ეს
გავაკეთო, განსაკუთრებით ბავშვებთან (საოჯახო სასტუმრო, მესტია)*

ტრადიციებზე დაფუძნებული გამოცდილების შექმნა

საველე სამუშაოების დროს შეგროვებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ საოჯახო სასტუმროს მფლობელებს სასტუმროების შექმნამდე უკვე ჰქონდათ დაგროვილი მრავალწლიანი გამოცდილება სტუმრების გამასპინძლების მიმართულებით. სტუმრების მასპინძლობა მათთვის არ იყო ახალი და არც გამოწვევას წარმოადგენდა, რადგან ისინი იყენებდნენ იმ ცოდნას, რომელსაც გამოცდილებიდან გამომდინარე ფლობდნენ. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ რესპონდენტს ჰქონდა უცხოელი სტუმრების გამასპინძლების გამოცდილება. მათმა დაგროვილმა გამოცდილებამ და უნარებმა შედეგი გამოიღო დღევანდელ ტურისტულ გარემოში, როდესაც ისინი ოფიციალურად გახდნენ საოჯახო სასტუმროების მფლობელები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სტუმრებისთვის უნიკალური და ავთენტური სერვისები შეიქმნა მათი ტრადიციებზე დაფუძნებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. მსგავსი მომსახურებების მიწოდება განისაზღვრა როგორც მასპინძლების ტრადიციული პრაქტიკების შედეგი, რაც მათთვის ოჯახებისა და ზოგადად, თავიანთი თემის თვითშეფასების და პრესტიჟის საკითხად განიხილება. ტურისტებთან მათი ურთიერთობა სრულად არ არის მოქცეული კომერციული ქცევის ფარგლებში და ის უფრო ჰგავს ოჯახის სტუმრებთან ურთიერთობას, რომლებთანაც მასპინძლებს სურთ დატოვონ კარგი შთაბეჭდილება და პატივისცემის გრძნობა. კვლევის მიხედვით, გამოვლინდა, რომ ოჯახის წევრები უმეტესად ერთად მართავენ საოჯახო სასტუმროებს და მათი საქმიანობები რიგ შემთხვევებში ისე არის გადანაწილებული, რომ იმეორებს მათ ოჯახებში შრომის განაწილების ნიმუშებს. კვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახის წევრების როლების გადმოტანა საოჯახო სასტუმროს საქმიანობაში ქმნის გარემოს, რომელიც ტიპური მთის ოჯახის მსგავსად სავსეა სტუმართმომყვარობითა და არაფორმალური ურთიერთობებით.. ამჟამად, ტრადიციებზე დაფუძნებულმა გამოცდილებამ განაპირობა სასტუმრო სახლებში ტურისტებისთვის ავთენტური სერვისების შექმნა. ვინაიდან საოჯახო სასტუმროს

მფლობელების გამოცდილება მტკიცედ არის ფესვგადგმული მათი თემის ტრადიციებში, ადგილობრივი კულტურული ასპექტები მნიშვნელოვნად აისახება ტურისტული სერვისების მიწოდებაში. ამ პროცესის განვითარება ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურის შენარჩუნებას და მთლიანობაში, მდგრად განვითარებას. ერთად აღებული, ზემოაღნიშნული გარდაქმნები და ამ ცვლილებების შედეგები არაკომერციალიზებულ კულტურაზე, გახდა მომსახურების მიწოდების გაძლიერებული ნაწილი. კვლევის შედეგად მიღებული მიგნებები იმედისმომცემია, რადგან ტურისტები ამ ყოველივეს პოზიტიურად აფასებენ და თვლიან, რომ აღნიშნული მათ ვიზიტს უნიკალურ გამოცდილებად აქცევს (Schmid et al., 2022). ამ ტურისტული ადგილების კონკურენტული უპირატესობები ქმნის დამატებით სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს (მაგ. ლოიალურ სტუმრებს) და ინარჩუნებს მასპინძელი საზოგადოების გრძელვადიან კულტურულ იდენტობას.

*ჩვენ გვყავდა ძალიან ბევრი სტუმარი, ბავშვობაში,... ყოველთვის
ვმასპინძლობდით (საოჯახო სასტუმრო, მესტია)*

სერვისის მიწოდების ზოგადი გამოცდილების გარდა, კვლევამ აჩვენა, რომ მასპინძლები ასევე მაღალ დონეზე ფლობდნენ ცოდნას ადგილობრივი კერძების მომზადებაში. ვინაიდან ადგილობრივი ტრადიციული კერძების ინტეგრირება ტურისტებისთვის მომსახურებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო, მასპინძლები ცდილობდნენ დაეკმაყოფილებინათ ეს მოთხოვნა, მრავალფეროვანი, მაღალი ხარისხის ადგილობრივი სამზარეულოს შეთავაზებით. რეგიონისთვის დამახასიათებელი, ტრადიციული პრაქტიკების მნიშვნელობაზე მიუთითებს (Brandth & Haugen, 2011) ფერმერული მეურნეობების ტურიზმის მიმართულებით დივერსიფიკაციის შესწავლის შედეგებიც. ავტორები მიუთითებენ ფერმის, ოჯახის მასპინძლობის სტილის, კერძებისა და სხვა პრაქტიკების მნიშვნელობაზე, რომლებიც ინარჩუნებენ ფერმის ავთენტურობას. კვლევის შედეგები ნორვეგიიდან ეხმიანება ჩემი დისერტაციის მიგნებას და ადასტურებს კულტურული კაპიტალის მნიშვნელობას ტურიზმის განვითარების პროცესში.

*ჩვენ არასდროს გვაკლდა სტუმრები ... მე „მოხარული“ ვარ
სტუმრების გამასპინძლებაში (საოჯახო სასტუმრო, ყაზბეგი)*

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ საოჯახო სასტუმროებს უმეტესად ადგილობრივი შინამეურნეობები ავითარებენ და მართავენ. შესაბამისად, მასპინძლები ან იმავე შენობაში ცხოვრობენ, ან მიმდებარე ტერიტორიებზე. აღნიშნული თავისებურება დამახასიათებელია საქართველოს სხვა რეგიონებისთვისაც (Schmid et al., 2022), სადაც მსგავსი პრაქტიკები არსებობს საცხოვრებელი სახლების გამოყენების კერძო საკუთრებაში არსებული ფიზიკური/ინფრასტრუქტურული რესურსები, როგორცაა საცხოვრებელი შენობა-ნაგებობა მნიშვნელოვანი კაპიტალია საოჯახო სასტუმროს მომსახურების შექმნის გზაზე. აღსანიშნავია, რომ საოჯახო სასტუმროებისთვის გამოყენებული შენობა-ნაგებობების თავდაპირველი მიზანი კომერციული არ ყოფილა. მისი ზომა და ოთახების რაოდენობა ტრადიციას უკავშირდებოდა, კერძოდ ზაფხულისა და ზამთრის სეზონზე სტუმრების მიღება, გაფართოებული შინამეურნეობა და ა.შ. საოჯახო სასტუმროს საქმიანობის დასაწყებად ფინანსურ რესურსებთან ერთად შენობა-ნაგებობის მნიშვნელობას ადასტურებს იორიოს და ქორსალეს (Iorio & Corsale, 2010) რუმინეთში ჩატარებული კვლევის შედეგები. სიღარიბიდან დაძლევის ერთ-ერთად ფაქტურად ხელმისაწვდომ ფინანსებთან ერთად შინამეურნეობის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა სახელდება.

*ეს არი ახალი [სახლი]. 2009-ში დავიწყეთ სახლის აშენება. მაშინ
საერთოდ არ იყო მოაზრებული მსგავსი რამ, რომ ჩვენთანაც
ტურიზმი ოდესმე განვითარებას მიეცემოდა და ავაშენეთ როგორც
სახლი, მაგრამ მერე უკვე მეორე სართულის აშენება რომ დავიწყეთ,
მერე ზევით მესამე (საოჯახო სასტუმრო, მესტია, 37 წლის, ქალი)*

საოჯახო სასტუმროში ფუნქცია და როლები ოჯახის წევრებს შორის არის გადანაწილებული. ამ გზით, შინამეურნეობების რამდენიმე წევრი მონაწილეობას

იღებენ ტურისტების მასპინძლობაში და ზოგადად, სასტუმროს ფუნქციონირებაში. ოჯახის სტრუქტურის შენარჩუნება ერთგვარად, სასტუმროში ოჯახურ ატმოსფეროს ქმნის.

*ოჯახის თითქმის ყველა წევრი ჩართულია. ჩემი ცოლი
დიასახლისია... მე და ჩემი შვილი პროდუქციის მომწოდებლები
ვართ, რაც შემოდის, ვაკეთებ (საოჯახო სასტუმრო, მესტია)*

კვლევის მიხედვით, გენდერული ასპექტები, რომლებიც განსაზღვრავენ შრომის დაყოფას და ფუნქციებს ოჯახში, ანალოგიურად გამოიყენება საოჯახო სასტუმროს ფუნქციონირებაში. კერძოდ, ქალები ძირითადად დაკავებულნი არიან საკვების მომზადებით, ოთახების დასუფთავებით და მსგავსი საქმიანობით, ხოლო მამაკაცები ჩართულნი არიან პროდუქციის მიწოდებით, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებით. საქმის ამგვარი გადანაწილებით შეიძლება აიხსნას საოჯახო სასტუმროების მართვაში ქალების წამყვანი როლის გამოკვეთა. აღნიშნულ მიგნებას ეხმიანება აღმოსავლეთ საქართველოში განხორციელებული კვლევა, რომლის მიხედვით საოჯახო სასტუმროს მმართველი ორი-მესამედი ქალია (Schmid et al., 2022).

4.4. სოციალური კაპიტალის საფუძველზე შექმნილი ფორმალური და არაფორმალური ეკონომიკური ურთიერთობები

ცოდნის მიღება-გაზიარების ტექნიკები

აღსანიშნავია, რომ ახალი ინფორმაციის მოპოვებისათვის ხშირად გამოიყენება სხვადასხვა სოციალური წყაროები. მაგალითისათვის, შექმნილია თემატური ჯგუფები facebook-ში, სადაც ფერმერები სხვადასხვა გეოგრაფიული არეალებიდან არიან შეკრებილები. ისინი ერთმანეთს უზიარებენ სოფლის მეურნეობის ტექნიკებს, მიდგომებს, თავიანთ გამოცდილებებსა და ხედვებს. რესპონდენტების ნარატივებზე დაყრდნობით, მათი საქმიანობის განუყრელ ნაწილად იქცა მსგავს ქსელებში ინფორმაციის მიღება და გაზიარება. აღნიშნული მათ ეხმარება რომ კიდევ უფრო

გააფართოონ არსებული სამეურნეო აქტივობები, ან თუნდაც დაიწყონ ახალი სოფლის მეურნეობის დარგის წარმოება, სხვა ფერმერების გამოცდილებაზე დაყრდნობით.

საყურადღებოა, რომ ფერმერები არამხოლოდ ერთმანეთს უზიარებენ ცოდნას და ცდილობენ, რომ ამ გზით განავითარონ საქმიანობები, არამედ აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა ტრენინგებსა თუ პროექტებში, რომლებიც ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. ამის დახმარებით, ისინი იღებენ ექსპერტულ მხარდაჭერას, რაც მათ ცოდნის გარდა, სძენს დამატებით სოციალურ კაპიტალს. მსგავს აქტივობებში ჩართული ფერმერები ინტეგრირებულები ხდებიან სოციალურ ქსელში. აღნიშნული აძლევს მათ შესაძლებლობას ჰქონდეთ მისაწვდომობა სოციალურ წრეზე, რის ფარგლებშიც გაზიარებული ექსპერტული მოსაზრებები შესაძლოა საქმიანობის განვითარებაში დაეხმაროს ფერმერებს.

მოხვევები იყვნენ წასულები თბილისში. ერთი მოხვევე იყო წასული თბილისში სამსახურის საძებნელად და რომელმაც ნახა, მეტალოპლასმასის საამქროში დაიწყო მუშაობა და ისწავლა საქმიანობა, ეს საქმე. დავუძახეთ, სიამოვნებით ჩამოვიდა და დავიწყე მუშაობა (წარმოება, ყაზბეგი, კაცი)

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ფერმერების საქმიანობაში გამოიკვეთა ნათესავების, მეზობლების როლი, როგორც ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი საშუალება. კერძოდ, მათი მონათხრობის მიხედვით, დასახლებაში ხშირად არიან ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან დაგროვილი გამოცდილებით და ცოდნით. ისინი ცდილობენ, რომ გაუზიარონ თავიანთი ცოდნა სხვებს, იმ შემთხვევაში თუ მათ ფერმერები საჭიროების დროს მიმართავენ. მსგავსი პრაქტიკა ასევე გამოიკვეთა იმ შემთხვევებშიც, როდესაც პირობითად ადამიანი თავისი რეგიონიდან სხვა ადგილას წავიდა ცოდნის მისაღებად, დააგროვა გამოცდილება და მას უკავშირდებიან ადგილობრივები სხვადასხვა საკითხებზე კომპეტენტური რჩევების მისაღებად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცოდნის გაზიარება არ ხდება მხოლოდ სოფლის

მეურნეობის დარგში, არამედ მსგავსი პრაქტიკა გამოიკვეთა ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული ადამიანების შემთხვევაშიც.

სოციალური კაპიტალის როლი ტურიზმში

ტურიზმის სექტორი საყურადღებო აღმოჩნდა იმ კუთხითაც, თუ როგორ აყალიბებს კავშირებს საოჯახო სასტუმროს მასპინძელი ტურისტებთან. ერთი მხრივ, აღსანიშნავია სოციალური კაპიტალის დიდი როლი, რაც ამ პროცესში გამოიკვეთა. კერძოდ, ტურისტულ ადგილებში აქტიურად ხდება გადამისამართების შემთხვევები, როდესაც ტურისტებს ერთ სოციალურ წრეში მყოფი ადამიანები ერთმანეთთან ამისამართებენ (მაგ. განთავსება, გადაადგილება, კვება). აგრეთვე, ამავე პროცესში დიდ როლს ასრულებენ გიდები, რომლებიც ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებს ეხმარებიან ახალი ტურისტების მოზიდვასა და მოთხოვნაზე-დაყრდნობით სხვადასხვა მომსახურებების შექმნაში. შესაბამისად, კვლევის პროცესში გიდებთან კავშირების დამყარება და მათი, როგორც სოციალური აქტივის დამატება, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიად გამოიკვეთა. გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, საოჯახო სასტუმროების მფლობელები ხშირად ახერხებენ, რომ ტურისტებთან დაამყარონ ახლო, მეგობრული ურთიერთობები, რაც ხელს უწყობს პერსონალური კავშირების ჩამოყალიბებას. მსგავსი ფორმით, ისინი ასევე იძენენ ლოიალურ ტურისტებს, რომლებიც არაერთხელ სტუმრობენ ტურისტული ობიექტის მასპინძელს და მის ოჯახს პირველი ვიზიტის შემდეგ.

სურსათის უსაფრთხოება, სურსათის მაღალი ხარისხი

რესპონდენტების ნარატივებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ საოჯახო სასტუმროს მფლობელებისთვის კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს მათ კერძებში ადგილობრივი პროდუქტების გამოყენება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდებაში ჩართული ადამიანების ნაწილს, რიგ შემთხვევებში არ შეუძლია პროდუქტების უსაფრთხოების სტანდარტების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა (დეტალურად იხ. (G. Salukvadze et al., 2020)). აღსანიშნავია, რომ დასახელებული საკითხი წლების განმავლობაში

გამოწვევად რჩება. გელაშვილის (M. Gelashvili, 2013) მიერ 2013 წელს გამოქვეყნებული სტატია ფერმერების მარკეტინგული უნარ-ჩვევების ნაკლებობასა და ტურიზმისთვის საჭირო სტანდარტების შესაბამისად აგროპროდუქტების მარკირების საკითხის გამოწვევებს ეხება.

*რო[მ] ვიცით და აი ასე, პიროვნებას რომ ვიცნობთ ყველანაირად,
მხოლოდ იქიდან ვყიდულობ [რძეს, ყველას, ხორცს], იმიტომ რომ
სხვანაირი ნორმებით... (საოჯახო სასტუმრო, მესტია)*

თუმცა, წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში სოციალური კაპიტალის ანალიზი აჩვენებს, რომ საოჯახო სასტუმროებისა და ფერმერებს შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყიდვა-გაყიდვა მეზობლის, ნაცნობის მიმართ ნდობას ეფუძნება. ამ ნდობაზე დაყრდნობით ხდება ურთიერთობა სოფლის მეურნეობის ნატურალური პროდუქტების შექმნა. ტურიზმის ადგილობრივი ჯაჭვის მიწოდების პრაქტიკა დიდწილად დამოკიდებულია ნაცნობობაზე, ტრადიციულ პრაქტიკებზე.

მომხმარებლების ქსელი

მცირე ზომის საოჯახო მეურნეობები პროდუქტების გავრცელებისათვის აქტიურად იყენებენ გამაერთიანებელ კაპიტალს. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ ფერმერები აქტიურად ყიდნიან თავიანთ პროდუქტებს ქალაქში გადმოსახლებულ/მიგრირებულ ნათესავებსა და ახლობლებზე, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ პირდაპირ ფერმიდან შეძენილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

ფერმერსა და მომხმარებელს შორის წარმატებული ურთიერთობა დამოკიდებულია ნდობის მაღალ ხარისხზე. აღსანიშნავია, რომ ეს ურთიერთობა ეყრდნობა არაფორმალურ კავშირებს. ფერმერების ნაწილი ტურიზმის წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფარგლებში არ იყენებს ფორმალურ, ხარისხის სერტიფიკატებს. მომხმარებლებს აქვთ მათ შესახებ ინფორმაცია, იცნობენ, ენდობიან ფერმერებს და სჯერათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მაღალი ხარისხის (ჯანსაღი, სუფთა,

ნატურალური, „ბიო“). ურთიერთობების განსხვავებული პრაქტიკები არსებობს საოჯახო მეურნეობასა და მომხმარებლებს შორის.

გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევებში ადგილობრივი ფერმერები საქალაქთაშორისო ტრანსპორტს იყენებენ პროდუქტების მიწოდებისათვის. რიგ შემთხვევებში საოჯახო მეურნეობებისთვის მსგავსი მეთოდით გაყიდული პროდუქტებისა და მათი მომხმარებლების რაოდენობა საკმარისია და ალტერნატიული ბაზრების ათვისება არ უწყევთ.

იმის გათვალისწინებით, რომ ფერმერებსა და მომხმარებელს შორის ახლო ურთიერთობა არის ჩამოყალიბებული, ფერმერი ცდილობს პროდუქტების ფასის სტაბილურობის შენარჩუნებას. კერძოდ, ცდილობს მომხმარებელს არ გადაახდევინოს მგზავრობის ან სხვა დამატებითი გადასახადები, ასევე არ შეზღუდოს წონა ან სხვა ლიმიტები არ დააწესოს, რაც შეიძლება გარკვეულ მომენტებში ფერმერისთვის ფინანსური თვალსაზრისით მომგებიანი არ იყოს.

მეორე მხრივ გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის უახლოესი ქალაქის ცენტრში ჩატანას დამატებით დრო, ფინანსები სჭირდება, რაც ფერმერებისათვის დამატებით დაბრკოლებას წარმოადგენს.

აი ბაზარშიც რომ მიიტან იქაც არაა ნორმალურად სოფლის ნობათზე ვთქვათ დიდი იგი. ყველაფერ აკეთებენ ფხვნილებით და ქიმიურად და იაფი გადაიხადონ და ის ჭამონ ურჩევნიათ, ვიდრე შენ ნორმალური ჩაიტანო და მისაღები ფასით იყიდონ, ამას ურჩევნიათ ის უბრალო იაფიანი იყიდონ და ის შეჭამონ და, ჩვენ რომ იაფად გავყიდით გლუხობა რა თქმა უნდა მოგებაც არ გვრჩება, იმიტომ რომ ხარჯიც ძვირია აქ (სოფლის მეურნეობა, ხულო)

ამასთანავე, ბაზრებში ადგილობრივი ფერმერების ნობათი კონკურენციაში შედის მასობრივ პროდუქტებთან. მათი დიფერენციაცია არ ხდება ადგილზე და მომხმარებელიც არ იცნობს წარმოებულ პროდუქტსა და ფერმერს. შესაბამისად, ამ

პირობებში, ფერმერს შესაძლოა საკუთარი ნაწარმის შედარებით დაბალ ფასში გაყიდვა მოუწიოს. ამის საპირისპიროდ, ლოიალური მომხმარებლები იცნობენ ფერმერების პროდუქტებს, მათ წარმოებასა და იმ გარემოს, რომელშიც ხდება მათი დამზადება. შესაბამისად, ეს უპირატესობა იკარგება, როდესაც ფერმერი ალტერნატიული ბაზრით სარგებლობს და არა მისი წარმოების გარშემო არსებული სოციალური ქსელით.

ეგ არ უნდა[წინასწარ დარეკვა], არ უნდა გაუტეხო [სიტყვა] რო რაღაც სხვას კი არ უნდა მისცე[სოფლის მეურნეობის პროდუქტი], არამედ რო იცოდე და არ დაჰკარგა შენი...[კაცობა] (სოფლის მეურნეობა, ყაზბეგი, 52 წლის, კაცი)

ფერმერებისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული ურთიერთობების შენარჩუნება. შესაბამისად ფორმალური გარანტიების არ არსებობის მიუხედავად, მათთვის მნიშვნელოვანია მომხმარებლის მოლოდინი გაამართლოს. მათ შორის სეზონზე ლოიალურ მომხმარებლებს აუცილებლად გადაუნახოს სასურველი სოფლის მეურნეობის პროდუქტი. ეს უკანასკნელი მისი იდენტობის განმსაზღვრელია და ასევე, მომხმარებლებთან ნდობის შენარჩუნების ნაწილია. მსგავსი პრაქტიკები გამოვლინდა ასევე, სხვა ეკონომიკურ დარგებში, რომლებიც რეგიონისთვის სიახლეს, ინოვაციურ პროდუქტებსა და მომსახურებებს წარმოადგენენ. სოციალური კაპიტალის განსაზღვრის პროცესში, ნარატივებზე დაყრდნობით, აღმოჩნდა რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია ნათესავებისა და მეზობლების კავშირები პოტენციური მომხმარებლებისთვის ხმის მიწვდენის პროცესში.

4.5. შინამეურნეობების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა

საოჯახო ბიზნესის განვითარების პროცესში აქტუალური საკითხია ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივები მაქსიმალურად ცდილობენ ბუნებრივი (მაგ. მიწა საოჯახო სასტუმროს ასაშენებლად) თუ შექმნილი (არსებული სახლი), ადამიანური კაპიტალის (შინამეურნეობის წევრების ჩართვა მშენებლობაში) მობილიზებას ახალი ან არსებული ბიზნესის

განვითარებისთვის, ფინანსური რესურსების საჭიროება აუცილებელია დამატებითი მომსახურების, ტექნიკისა და მასალების შეძენისთვის.

შესწავლილი გამოცდილებების მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციისთვის შინამეურნეობები ერთდროულად ფინანსური რესურსების რამდენიმე წყაროს მობილიზებას უზრუნველყოფენ. კერძოდ, ინვესტიციის საჭირო ფინანსური რესურსების წყაროები მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შექმნილ სახელმწიფო და საერთაშორისო მხარდაჭერის ფარგლებში გამოყოფილ დაფინანსებებს. შინამეურნეობები ბიზნესის განვითარებისთვის ასევე იღებენ სესხს საფინანსო ორგანიზაციებიდან. არაფორმალური სესხების სქემა, უფრო კონკრეტულად მეგობრისგან, მეზობლისგან ან ახლობლისგან ფინანსური დახმარების მიღებაც შეიძლება გახდეს ბიზნესის გაფართოების მნიშვნელოვანი კომპონენტი.

გარდა გარე ფინანსური რესურსების გამოყენებისა, ასევე გვხვდება შინამეურნეობის მიერ დაზოგილი თანხების ინვესტირების შემთხვევები. შინამეურნეობის წევრების მიერ მობილიზებული ფინანსების წყაროებიც მრავალფეროვანია. საჯარო/კერძო დაწესებულებებიდან, ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავალი/დანაზოგი ხდება ბიზნესის დამატებითი ინვესტიციის რესურსი, ზემოთ დასახელებულ ფინანსურ რესურსებთან ერთად. აგრეთვე, გამოიკვეთა, რომ შინამეურნეობების ნაწილი ეტაპობრივად შედის ახალ ინდუსტრიაში და რეინვესტიციის გზით ნაბიჯ-ნაბიჯ აფართოებენ თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობას.

ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს სოფლისა და სოფლის მეურნეობის მცირე მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამებით. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით შინამეურნეობებს აქვთ შესაძლებლობა შესაბამისი საპროექტო წინადადებების მომზადებით განაცხადი შეიტანონ საგრანტო დაფინანსების მიღებაზე. სახელმწიფო პროგრამების შესაბამისად, თანადაფინანსებით, შინამეურნეობების ნაწილმა ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებისთვის ერთ-ერთი კომპონენტის გაუმჯობესება შეძლეს.

*ერთხელ გათბობა გავაკეთე იმით, „აწარმოე
საქართველოთი“ [მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის
სახელმწიფო პროგრამა] შარშან. თანადაფინანსება იყო ჩემი
ვთქვათ 2000 ლარი და 10 [ათასი] თვითონ და ზუსტად, გათბობა
[საოჯახო სასტუმროსთვის] ჩაჯდა იმ თანხაში. იდეალური რამე
იყო (საოჯახო სასტუმრო, მესტია, 64 წლის, ქალი).*

რესპონდენტების ნარატივების მიხედვით, სახელმწიფო მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა შეიძლება გახდეს ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების ან გაფართოების მასტიმულირებელი ან მცირე მეწარმეობისთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული კომპონენტის დაფინანსების წყარო. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამა თავადაც ითვალისწინებს თანადაფინანსებას, ანუ შინამეურნეობებიდან ფინანსურ ან არა-ფინანსურ კონტრიბუციას. ფინანსურ კაპიტალთან ერთად შინამეურნეობის წევრები იყენებენ მათ გამოცდილებას და ცოდნას განაცხადის მომზადების პროცესში. საპროექტი წინადადებისათვის აუცილებელი დოკუმენტები მოიცავს ბიზნეს გეგმასა და ბიუჯეტს, ხოლო მათი სირთულე განსხვავდება პროგრამების მიხედვით.

ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ალტერნატიული წყაროებია ევროკავშირის ან სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების სოფლის განვითარების პროგრამების ფარგლებში მეწარმეების მხარდაჭერა ეკონომიკის დივერსიფიკაციის მიზნით. სახელმწიფო და ალტერნატიული ფინანსური რესურსების განსხვავებული პრიორიტეტების, პირობების გათვალისწინებით, ადგილობრივ მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა მათი საჭიროების მიხედვით შეარჩიონ მცირე ბიზნესის განვითარებისთვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსები. აღსანიშნავია, რომ როგორც სახელმწიფო პროგრამების შემთხვევაში, ევროკავშირის ან სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებით მხარდაჭერილი საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის საჭიროა შესაბამისი პროცედურების მიხედვით საგრანტო წინადადებების მომზადება. კვლევის ფარგლებში ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ პროცესში ოჯახის შედარებით ახალგაზრდა წევრები

აქტიურად არიან ჩართულები და გადამწყვეტ როლს ასრულებენ საგრანტო კონკურსის პირობების შესაბამისი განაცხადის ჩამოყალიბებაში.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ჩამოყალიბება

სამიზნე მუნიციპალიტეტებში

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მხარდაჭერის საგრანტო კონკურსების სხვადასხვა პერიოდიდან გახდა ხელმისაწვდომი. ყაზბეგში ყაზბეგის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი შეიქმნა 2015 წელს ევროკომისია და ჩეხეთის განვითარების სააგენტო ფინანსური მხარდაჭერით და ორი საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაცია “People in Need” (PIN), ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ჩეხეთის ეროვნული ქსელისა (NN LAG) და ერთი ადგილობრივი(ეროვნული) არასამთავრობო ორგანიზაციის ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასთან“ თანამშრომლობით.

საგრანტო კონკურსები მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად გამოცხადდა რამდენიმე ეტაპად და ის შეესაბამებოდა ყაზბეგის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის კოორდინაციით შექმნილ ხუთ წლიან მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებს. აღსანიშნავია, რომ სტრატეგია ეფუძნებოდა ამ პერიოდში განხორციელებულ კვლევებსა და კერძო, საჯარო სექტორთან და მოსახლეობასთან კონსულტაციებს. სტრატეგიის პრიორიტეტები მოიცავდა სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და სხვა არასასოფლო სამეურნეო ეკონომიკური საქმიანობების მხარდაჭერას. უფრო კონკრეტულად სოფლის მეურნეობის ტრადიციულ კულტურებში პროდუქტიულობის გაზრდას, ახალგაზრდების ჩართულობისა და ეკო/ბიო სოფლის მეურნეობის პრაქტიკების წახალისებას. ტურიზმისა და სხვა არასასოფლო სამეურნეო ეკონომიკური საქმიანობების მიმართულებით შემოსავლების დივერსიფიკაცია მუნიციპალიტეტის სოფლებში, ტურიზმთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის განვითარება ფერმერებსა და ტურისტულ სერვის პროვაიდერებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

მესტიის მუნიციპალიტეტი

პროექტის „LEADER მიდგომის დანერგვა მესტიის მუნიციპალიტეტში – ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“ ფარგლებში ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და „ქეა ავსტრია“ (CARE) და „PMC კვლევით ცენტრთან“ თანამშრომლობით 2019 წლიდან დაიწყო მესტიის მუნიციპალიტეტში ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს შექმნა. ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია განაახლა (მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების პირველი სტრატეგია შემუშავდა 2021-2023 წლებისთვის) სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით. დოკუმენტის შემუშავება მიმდინარეობდა დისკუსიების ფონზე, სადაც ჩართულობა შეეძლოთ განსხვავებული სექტორის წარმომადგენლებს).

სტრატეგია 2020-2024 მოიცავს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. ტურიზმის მიმართულებით სტრატეგია მიზნად ისახავს მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა. ასევე, მხარს უჭერს ინოვაციების გავრცელებას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ტურიზმის ინდუსტრიაში. სოფლის მეურნეობის მიხედვით სტრატეგია მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის კულტურების პროდუქტიულობის გაზრდა, სასოფლო სამეურნეო მექანიზაციებსა და ექსტენცია ხელმისაწვდომობა და ბოლოს ფერმერებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება არსებული მახრდამწერი პროგრამების შესახებ.

აღნიშნული ამოცანების მისაღწევად პროექტის ფარგლებში გამოცხადდა რამდენიმე საგრანტო კონკურსი. აღნიშნული პროცესი მოიცავს დაინტერესებული პირებისთვის პირველ ეტაპზე პროექტის იდეის გაგზავნას და პოზიტიური უკუკავშირის შემდეგ სრული საპროექტო წინადადების

ხულოს მუნიციპალიტეტი

ხულოს მუნიციპალიტეტში LEADER პრინციპების გათვალისწინებით ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი 2017 წელს შეიქმნა ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში, ხორვატიის სოფლის განვითარების ქსელთან (HMRR) და PMC კვლევითი ცენტრთან თანამშრომლობით. პროექტი როგორც ყაზბეგისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში დაფინანსებულია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის მიერ. ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მიერ შეიქმნა ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2018-2022, რომლის მიზნების მისაღწევად გამოცხადდა თანადაფინანსების პრინციპით გრანტები. აღსანიშნავია, რომ ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შეიქმნა ადგილობრივი თემის, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ჩართულობით.

სტრატეგიის პრიორიტეტები მოიცავს ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და არასასოფლო სამეურნეო მეწარმეობის მხარდაჭერას. აღსანიშნავია, რომ არასასოფლო სამეურნეო მეწარმეობის როგორც ცალკე განვითარების პრიორიტეტი ყაზბეგისა და მესტიის მუნიციპალიტეტისგან სტრატეგიებში არ გვხვდება. თითოული პრიორიტეტის მხარდაჭერა წახალისებული იყო გრანტების ფარგლებში უფრო კონკრეტულად ახალი ინოვაციური ბიზნესის შექმნისა და არსებული საწარმოების გაფართოვება, სოფლის მეურნეობის ტექნიკის გაუმჯობესება, ახალ ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესება და ტურიზმის მიმართულების სოფლის ტურიზმის განვითარებისთვის რესურსების იდენტიფიცირება და განვითარება.

წყარო:

<http://www.kazbegilag.ge/en/strategy>

<http://www.kazbegilag.ge/fmanager/repository/Lag%20strategy%20eng.pdf>

http://mestialag.ge/storage/files/doc/LDS_2020-2024%20-%20ENG.docx.pdf

<http://www.mestialag.ge/en/lag-newsletter-1/the-eu-supported-local-action-group-lag-upper-svaneti-announces-the-second-grant-competition-in-the-municipality-of-mestia-1>
<http://www.khulolag.ge/ka/about/project>
http://www.khulolag.ge/res/docs/5096LocalDevelopmentStrategyofKhulo_final20.07.2018_GEOfinal.pdf

საფინანსო ორგანიზაციებიდან სესხის აღება მცირე ბიზნესის დასაწყებად ან გაფართოებისთვის გავრცელებული პრაქტიკაა. ინტერვიუების დაახლოებით 75%-ში ადგილობრივები განიხილავენ ფინანსური ორგანიზაციებიდან სესხის აღების საკითხს მის დადებით და უარყოფით მხარეებს. მუნიციპალიტეტების მიხედვით მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნული საკითხი თანაბრად აქტუალურია სამივე სამიზნე მუნიციპალიტეტში - მესტია, ყაზბეგი და ხულო. ასევე გავრცელებული პრაქტიკა როგორც სხვა ფინანსური წყაროების შემთხვევაში სესხის როგორც დამატებითი, შემავსებელი ფინანსური რესურსი გამოყენება ოჯახის დანაზოგთან, სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ გრანტთან ერთად. ადგილობრივ მოსახლეობს ფინანსური ორგანიზაციებთან, ბანკებთან თანამშრომლობის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ. ერთის მხრივ სესხის აღება ასოცირდება წლების განმავლობაში დამატებით გადასახადთან, მაღალ პროცენტთან (იხ. ქვეთავი კაპიტალის შეძენის პროცესში არსებული გამოწვევები) და ეკონომიკური, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით არამდგრადი გარემოს ფონზე ფსიქოლოგიურ სტრესთან.

ხო ჩემი ხელფასია და მიხარია, რომ ამან არ დამახამა და ბანკის ვალებს არ ვიხდი დღეს, შეიძლება გავწელო, გავწელო და ჩემი დასახარჯი ფული უნერვიულოდ მოგვარდა (სოფლის მეურნეობა, ხულო, 39 წლის, ქალი)

თუმცა მეორე მხრივ ადამიანებისთვის ბანკიდან ფინანსური რესურსის აღება მცირე საოჯახო ბიზნესისთვის ღირესული ნაბიჯია.

არა, არასოდეს. არასოდეს არ მიმიკითხია მთავრობისთვის იმიტომ, რომ მე არც წუწუნნი მიყვარს, არც ისა მათხოვრობა, რაღაცა. ისევ მე

ფორმალური ინსტიტუტებიდან ფინანსები ყველა ოჯახისთვის ხელმისაწვდომი არ არის. შეზღუდული ფინანსურის რესურსების ფონზე საგრანტო დაფინანსება შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი კომპონენტის განვითარებაზე ლიმიტირებული რაოდენობით გაიცემა. ამასთან ოჯახები ვერ ახერხებენ ფორმალურ ინსტიტუტებიდან ფინანსური კაპიტალის მიღებას განსხვავებული მიზეზებით (იხ. ეკონომიკური საქმიანობის ტრანსფორმაციის პროცესში არსებული გამოწვევები), მათ შორის ინსტიტუტების მიმართ ნდობის დეფიციტი, წინაპირობების ვერ დაკმაყოფილება და ა.შ. ასევე აღსანიშნავია, რომ საგრანტო კონკურსებში, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების საჭიროა თანადაფინანსება. შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობის დაწყების/გაფართოების პროცესში აქტუალურია სხვა რესურსების გამოყენებით ფინანსური კაპიტალის მობილიზება. შინამეურნეობები, რომლებიც ვერ ახერხებენ ფორმალური ინსტიტუტებიდან ფინანსების მიღებას ან ეკონომიკურ საქმიანობის დაწყება დამატებით ფინანსური რესურსები სჭირდება შინამეურნეობები ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისთვისა და საარსებო წყაროების დივერსიფიკაციისთვის სხვა წყაროებიდან ფინანსური რესურსების მობილიზების გზებს მიმართავენ.

მცირე, საოჯახო ბიზნესის დაწყების პროცესში შინამეურნეობის დანაზოგი მნიშვნელოვანი კომპონენტია. დანაზოგის წყარო განსხვავებულია სოფლის მეურნეობიდან დაწყებული კერძო/საჯარო ორგანიზაციებში დასაქმებით დამთავრებული. ახალი საოჯახო ბიზნესის დაწყების შემთხვევაში შინამეურნეობები სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებს იყენებენ. ერთ-ერთი პრაქტიკა არის ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობის, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავლების ინვესტიცია არსებული სოფლის მეურნეობის კულტურის კომერციალიზაციაში/გაფართოებაში ან ახალი/ინოვაციური (რეგიონისთვის, მუნიციპალიტეტისთვის) ეკონომიკური საქმიანობის დაწყებაში.

ერთი შემოსავლის წყაროდან მეორე ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებისთვის გამოიყენება საჯარო ან კერძო სამსახურის ხელფასი საკუთარი საოჯახო ბიზნესის განვითარებისათვის. ყოველთვის სტაბილური შემოსავალი შეიძლება მნიშვნელოვანი წინაპირობა იყოს ფინანსური რესურსების მობილიზაციისთვის.

ოჯახის, შინამეურნეობის დანაზოგს შეიძლება შემოსავლების განსხვავებული წყაროები შეიძლება ჰქონდეს, თუმცა ეს მნიშვნელოვანი და გავრცელებული პრაქტიკაა. ამ ტიპის შემოსავლებში შედის გზავნილები როგორც ქვეყნის შიგნიდან, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარედან. ფინანსური მხარდაჭერის წყარო შეიძლება იყო მშობლებისა ან შვილების ერთჯერადი ან განმეორებადი გზავნილი, რომლებსაც ცალკე ოჯახები აქვთ და ეხმარებიან ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებაში.

ფინანსური რესურსების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით აჩვენებს, რომ თითქმის ყველა ძირითადი ფინანსური კაპიტალის ფორმა გავრცელებულია სამივე მუნიციპალიტეტში (იხ. ცხრილი 9).

ცხრილი 9. ფინანსური კაპიტალის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

| ფინანსური რესურსები | ყაზბეგი | ხულო | მესტია | Total |
|---|---------|--------|------------------|--------|
| სესხი ფინანსური ორგანიზაციიდან | 22.20% | 13.30% | 40.00% | 26.40% |
| საერთაშორისო მხარდაჭერა მცირე ბიზნესისთვის | 27.80% | 13.30% | 0% ¹⁰ | 13.20% |
| სახელმწიფო მხარდაჭერა მცირე ბიზნესისთვის | 16.70% | 20.00% | 25.00% | 20.80% |
| მოგების რეინვესტიცია | 5.60% | 6.70% | 20.00% | 11.30% |
| საჯარო/კერძო სამსახურის ხელფასი | 5.60% | 6.70% | 10.00% | 7.50% |
| ოჯახის დანაზოგი | 16.70% | 33.30% | 0% | 15.10% |
| ისესხა მეგობრისგან/მეზობლისგან | 5.60% | 0% | 0% | 1.90% |
| ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი | 0% | 6.70% | 5.00% | 3.80% |

¹⁰ პროექტი „LEADER მიდგომის დანერგვა მესტიის მუნიციპალიტეტში – ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“ სავსე სამუშაოების დასრულების შემდეგ დაიწყო

| | | | | |
|----------------------------|--------|--------|--------|--------|
| ჯამი | 100.00 | 100.00 | 100.00 | 100.00 |
| N = რესპონდენტის რაოდენობა | 17 | 13 | 16 | 46 |


ტურიზმის განვითარების, ან სხვა ცვლილებების შედეგად ბაზარზე გაჩენილი მოთხოვნების საპასუხოდ, ლიმიტირებული ფინანსური რესურსების ფონზე, შინამეურნეობები საოჯახო ბიზნესის განვითარების პირველი ნაბიჯების გადადგმას იწყებენ მომხმარებლებისთვის მინიმალური სერვისებისა ან პროდუქტების შეთავაზებით. შემდგომ, მიღებული შემოსავლით, რეინვესტირებით ახდენენ მათი პირველადი წამოწყების გაფართოებას.

*ჩემი ფინანსებით [დავიწყე ტურისტების მომსახურების შეთავაზება].
 ნუ პირველი ის, რომ დავიწყე მაშინ მყავდა 2 ცხენი. 2 ცხენი მყავდა
 და ცოტა ფული რომ გავაკეთე მერე [შევიძინე დამატებით]
 (ტურისტული მომსახურება, მესტია, 52 წლის, კაცი)*

აღსანიშნავია, რომ შემთხვევების (რესპონდენტი) მოდელების (იხ. დიაგრამა 11) ანალიზი აჩვენებს, რომ შინამეურნეობები ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად რამდენიმე ფინანსურ წყაროს ერთობლივად იყენებენ. პირველი შემთხვევის მიხედვით (mestia_08) შინამეურნეობამ შეძლო სახელმწიფოს პროგრამის ფარგლებში გრანტის მოპოვება, რომელიც მოითხოვდა თანამონაწილეობას. ეს უკანასკნელი ოჯახმა შეავსო სესხის ალებით. ხოლო მათი ბიზნესის მუდმივი განვითარებისთვის იყენებენ შექმნილი ბიზნესიდან შემოსავალს. მეორე შემთხვევის მიხედვით (Kazbegi_22) დანაზოგისა და ევროკავშირის სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოპოვებული ფინანსებით შეძლეს შემოსავლების დივერსიფიკაცია.

დიაგრამა 11. ფინანსური კაპიტალის გამოყენების ორი შემთხვევის მოდელი

ორი შემთხვევის მოდელი [Two-Cases Model]



წყარო: სიღრმისეული ინტერვიუების, რომელიც განხორციელდა სადოქტორო კვლევის ფარგლებში

ამასთანავე ფინანსურ კაპიტალთან ერთად ხდება სხვა რესურსების გამოყენებით ფინანსური რესურსების დახარჯვის შემცირება. ოჯახის წევრები თავად მონაწილეობენ მშენებლობაში, მათი ჩართულობა იცვლება მათი მშენებლობის დარგის გამოცდილების, უნარების მიხედვით.

ფინანსური რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად ხელს უწყობს საოჯახო ეკონომიკური საქმიანობების პოზიტიური მიმართულებით ტრანსფორმაციას. აღნიშნული ცვლილებები ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში განსხვავებული ფორმით გამოიხატება. საოჯახო სასტუმროების მფლობელებისთვის გათბობის სისტემისთვის ფინანსური მხარდაჭერით მათი შეუძლიათ მომსახურება პერიოდის გაზარდონ, ვიზიტორებს უმასპინძლონ ზამთრის სეზონზეც განმავლობაში. სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიების განვითარებისთვის ფინანსური მხარდაჭერა აუმჯობესებს საოჯახო ფერმერების შესაძლებლობებს პროდუქტის მოყვანის, შენახვისა და დასაწყობების მიმართულებით.

4.6. ეკონომიკური საქმიანობის ტრანსფორმაციის პროცესში არსებული გამოწვევები

წვდომა ფინანსებზე

ოჯახზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის გაფართოების ერთ-ერთი გავრცელებული ბარიერია ფინანსურ რესურსებზე ლიმიტირებული ხელმისაწვდომობა. აღნიშნული გამოწვევა დამახასიათებელია, როგორც ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობებისთვის, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, ისე ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობებისთვის, მათ შორის ტურიზმი, მანქანით გადაადგილების სერვისი. ადგილობრივი მცირე ფერმერების ლიმიტირებული წვდომა ფინანსებზე აფერხებს ტექნოლოგიების განვითარებას, ფერმების მექანიზაციით აღჭურვას, სასათბურე მეურნეობის განვითარებას, წვეთოვანი სარწყავი სისტემების დანერგვას და ა.შ.

ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართულ ადგილობრივებს ფინანსური რესურსების დეფიციტი ხელს უშლის მომსახურების, როგორც რაოდენობრივი ასევე

ხარისხობრივი თვალსაზრისით განვითარებას. დამატებით, აღნიშნული გამოწვევის გამო, ადგილობრივები ვეღარ ახერხებენ ტურისტების მოთხოვნის შესაბამისად ალტერნატიული, მოთხოვნადი, სერვისების განვითარებას.

კი, კი ვფიქრობთ [მანქანის შეძენას]. გვინდა ახლა, ტოიოტა შეძენასაც ვფიქრობთ. უბრალოდ ჯერ მაგის დრო და ფინანს ჯერ-ჯერობით არა გვაქვს. იმიტომ, რომ საკმაოდ ძვირი ჯდება (სოფლის მეურნეობა, მესტია, 34 წლის, კაცი)

ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი ბარიერია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების სპეციფიკური წინაპირობები, რომლებსაც შინამეურნეობების ნაწილი ვერ აკმაყოფილებს. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში მსგავსი წინალობების გათვალისწინებით, შინამეურნეობები ვერ ახერხებენ საკონკურსო განაცხადების შეტანას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საკონკურსო პირობები ხშირად აწესებს მოთხოვნას ბუნებრივი კაპიტალის ფლობასთან დაკავშირებით, რაც ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს შინამეურნეობებისათვის.

მოპოვებული ნარატივებიდან ნათლად იკვეთება, რომ ახალი საოჯახო ბიზნესის განვითარებისათვის ან არსებული გაფართოებისთვის ბანკიდან აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთები საკმაოდ მაღალია. აღნიშნული აგრეთვე წარმოადგენს ერთ-ერთ დაბრკოლებას შინამეურნეობებისათვის რომ გადაწყვიტონ სესხის აღება საფინანსო ინსტიტუტებიდან. გამოიკვეთა ისეთი შემთხვევები როცა საფინანსო ინსტიტუტები თავად არ გასცემენ სესხს სოფლად მცხოვრები შინამეურნეობის ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, შინამეურნეობებს კიდევ უფრო ეზღუდებათ ფინანსებზე წვდომა.

იმ შინამეურნეობების, რომლების ნდომა ფინანსური ინსტიტუტებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების მიმართ დაბალია აქვთ დაბალი მოტივაცია გაიარონ საჭირო პროცედურები დამატებითი ფინანსური რესურსების მოსაპოვებლად. ოჯახებს არ აქვთ სურვილი შეავსონ შესაბამისი განაცხადის ფორმა და ითანამშრომლონ ინსტიტუტებთან. ამავდროულად, შინამეურნეობების ნაწილს აქვს

უნდობლობის განცდა თუ რამდენად სამართლიანი კონკურენციის პირობებში ხდება განაცხადების შეფასება და ასევე, ნაწილი არ ეთანხმება მხარდამჭერი პროგრამების გაცხადებულ პრიორიტეტებს.

ძალიან, ძალიან შორს ვართ ბაზართან. გადატანა, ბაზარში მიტანა ჩვენი პროდუქტისა ძალიან ჭირს. ტრანსპორტი გაძვირდა, გზები ცუდი. ხოდა ძალიან, ძალიან ვიკავებთ თავს ამაზე [პროდუქტის ტრანსპორტირებაზე]. ვცდილობთ, რომ ადგილობრივად ვინმეს რამეს თუ... ხან საჩუქრად, ხან ვაძლევთ და ხან მიაქვთ... იმიტომ ძალიან ხშირად გვიფუჭდება პროდუქტი, ბაზართან მიუწვდომლობის გამო (სოფლის მეურნეობა, ხულო, 70 წლის, ქალი).

სოფლიდან-ქალაქამდე მისასვლელი გზები

დიდ ქალაქებამდე, სოფლებამდე საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობას ადგილობრივები ხედავენ როგორ მნიშვნელოვან ბარიერს მომხმარებლებამდე საქონლის, მომსახურების მიწოდებისას. ტურიზმის შემთხვევაში გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურა სასოფლო დასახლებებამდე ხელს უშლის ტურისტების ნაკადების ზრდას. სოფლის მეურნეობის შემთხვევაში საგზაო ინფრასტრუქტურა სასოფლო დასახლებებიდან უახლოეს დიდ ქალაქებამდე აძვირებს ან შეუძლებელს ხდის პროდუქტების მიტანას შესაბამის ბაზრებამდე. ადგილობრივებს ღრმად სწამთ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებს პოზიტიურად აისახება მცირე საოჯახო ეკონომიკურ საქმიანობებზე.

მხარდამჭერი დარგები

მხარდამჭერი დარგების დაბალი განვითარების დონე სხვადასხვა მცირე ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა განვითარების გზაზე. მხარდამჭერი დარგების სისუსტე, მათ შორის მექანიზაციის, საკვების წარმოება, ხარისხია თესლი სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო კულტურის სოფლის მეურნეობაში ზრდის

წარმოების ხარჯებს, აფერხებს მასშტაბის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

4.7. ადგილობრივი მოსახლეობის ხედვა ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესის მიმართ

წარმოდგენილი კვლევა ადგილობრივებთან მჭიდრო თანამშრომლობით წარიმართა, რის ფარგლებშიც სავსე სამუშაოების საწყის ეტაპზე კვლევის მიდგომების განხილვა, ხოლო ბოლოს შედეგების ვერიფიკაცია განხორციელდა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა ადგილობრივი მოსახლეობის ხედვა მათ გარშემო მიმდინარე ეკონომიკური ტრანსფორმაციული ცვლილებების მიმართ.

ტურიზმის დადებითი და უარყოფითი გავლენები

ტურიზმის მიმართ ადგილობრივების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიკვეთა. მათი ხედვა ტურიზმის განვითარების მიმართ მეტწილად დამოკიდებულია ადგილობრივი შინამეურნეობების ეკონომიკურ საქმიანობაზე. კერძოდ, ძირითადად, ადგილობრივები, რომლებიც ტურიზმის ინდუსტრიაში (სასტუმრო/საოჯახო სასტუმრო, კვების ობიექტები, სუვენირების მაღაზია, ა.შ.) არიან ჩართულები მის განვითარებას დადებითად აფასებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ ტურიზმის სექტორის განვითარებამ უზრუნველყო მუნიციპალიტეტში დასაქმების შემოსავლის მიღების აქამდე არსებული ფიზიკურად ყველაზე მარტივი და სწრაფი შესაძლებლობა, მიგრირებული შინამეურნეობების ნაწილის უკან დაბრუნება, ახალი დასაქმების შესაძლებლობების გაჩენა. დამატებით, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებამ მუნიციპალიტეტში პოზიტიური გავლენა მოახდინა შემდეგი მიმართულებებით: გააუმჯობესა ეკონომიკური მდგომარეობა, ხელი შეუწყო დასაქმების ზრდას, სათხილამურო ტრასების დაქსელება, მომსახურებების ხარისხის ზრდა, ადგილობრივი ნატურალური პროდუქციის ხარისხისა და მიწოდების გაუმჯობესება.

ამის საპირისპიროდ, ძირითადად ის ადგილობრივები, რომლებიც ჩართულები არიან სხვა ეკონომიკურ აქტივობებში, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, წარმოება, საცალო ვაჭრობა, ტურიზმის ინდუსტრიის დახასიათებისას ხშირად აღნიშნავენ, რომ ტურიზმის განვითარებამ მუნიციპალიტეტში შემოიტანა ქაოსი, გამოიწვია მასზე მოსახლეობის დამოკიდებულება, ხელი შეუწყო დიდი რაოდენობით იმპორტირებული პროდუქტების მოხმარებას, მოახდინა ტრადიციების დაკნინებასა და ადამიანური ურთიერთობების შემცირებას შეუწყო ხელი. დამატებით ადგილობრივები აღნიშნავენ, რომ ტურიზმმა მნიშვნელოვნად შეაფერხა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება. ადგილობრივების თქმით, სწორედ ტურიზმის წყალობით მოსახლეობას აღარ აქვს სურვილი მძიმე ფიზიკური შრომა გასწიოს და ირჩევს ალტერნატიულ ეკონომიკურ საქმიანობას, რაც მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად ამცირებს წლიდან წლამდე სოფლის მეურნეობის დარგების სიცოცხლისუნარიანობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები სხვა ადგილობრივების სოფლის მეურნეობის ტურიზმით ჩანაცვლების პროცესს მათ სიზარმაცეს უკავშირებენ. მათი მსჯელობის მიხედვით, სოფლის მეურნეობის დარგი ფიზიკურ შრომასა და დროს მოითხოვს, რაც განაპირობებს მის ჩანაცვლებას ან მასში ჩართულობის საგრძნობ შემცირებას.

ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უპირატესობა

განხორციელებული კვლევის მიხედვით, მესტიაში წარმოებული, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის გამოწვევას წარმოადგენს ზუგდიდიდან „იმპორტირებული“ პროდუქტებისათვის კონკურენციის გაწევა და ადგილობრივ ბაზარზე თავის დამკვიდრება (G. Salukvadze et al., 2019). ზუგდიდიდან შემოტანილ პროდუქტებს, უმეტესად ყველს, რომელსაც აქვს დაბალი ფასი და ღირებულების შესაბამისი ხარისხი, მომხმარებლებისათვის მაინც „მისაღები“ აღმოჩნდა. გამოიკვეთა, რომ განთავსების საშუალებებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლები სწორედ მათთვის „მისაღებ“ დაბალ ხარისხზე აკეთებენ არჩევანს. იმისათვის, რომ გაიზარდოს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვანია, რომ ფასის გარდა პროდუქტის სხვა

მახასიათებლებზეც მოხდეს აქცენტის გაკეთება, მათ შორის ადგილობრივი, ჯანსაღი, ნატურალური პროდუქტი და ა.შ.

დისკუსიის ფარგლებში, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტის კონკურენციის გაზრდის გზებთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხის განხილვა მოხდა. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა ტურისტებისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე, რაც გულისხმობს როგორც სასტუმროების, კაფეების, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლების მიერ მარკირების (label) გამოყენებას, მარკირების გამოყენებით, გარჩევადი გახდება ადგილობრივი, შემოტანილი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, რაც ხელს შეუწყობს მათ დამკვიდრებას ბაზარზე და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობები

ტურიზმის განვითარების შედეგად გაზრდილი და/ან შეცვლილ მოთხოვნებს ადგილობრივი მოსახლეობა სოფლის მეურნეობის ქვედარგების განვითარებით პასუხობს. ადგილობრივები ამ ფორმით ერთვებიან მიმდინარე განვითარების პროცესში. კვლევამ გამოავლინა ადგილობრივი მოსახლეობის „ლიმიტირებული ხედვა“ ტურიზმის მიწოდების ჯაჭვში ჩართვის ალტერნატიული შესაძლებლობების მიმართ. კერძოდ, ადგილობრივები ძირითადად სოფლის მეურნეობის მეშვეობით ხედავდნენ ტურიზმთან არაპირდაპირი დაკავშირების პერსპექტივას, რაც ტურიზმის მოსალოდნელი სარგებლის მიღმა ტოვებს მრავალ, ტურიზმის მზარდი განვითარების ფონზე მოთხოვნად ეკონომიკურ საქმიანობას.

ადგილობრივი მოსახლეობა პირველ რიგში, სწორედ სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის ურთიერთკავშირის გაღრმავებაზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი მხრიდან შემოთავაზებული იყო სოფლის მეურნეობის დარგის - მეხილეობა-მებოსტნეობის განვითარება. აგრეთვე, ისეთი პროდუქტების წარმოება, როგორცაა თაფლი, ხორცი, რძის ნაწარმი და სვანური მარილი.

ადგილობრივ მოსახლეობასთან დისკუსიის პროცესში ყურადღება გამახვილდა არამერქნული სატყეო პროდუქტების (ველური ხილი, ხილ-კენკროვანები, საკვები და სამკურნალო მცენარეები, სოკო და სხვა) წარმოების დაწყების პერსპექტივებზე.

მოსახლეობის აზრით, აღნიშნულ პროდუქტებს აქვს პოტენციური უპასუხოს ტურიზმის ახალ მოთხოვნებს. არამერქნული სატყეო პროდუქტების რესურსების ათვისებაზე ყურადღებას აგრეთვე ამახვილებს საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023.

ალტერნატიული ეკონომიკური დარგების წახალისებისთვის ადგილობრივი ხედავენ შემდეგი აქტივობების განხორციელების საჭიროებას: ადგილობრივი ტრადიციული კერძების გაცნობა და შეთავაზება ტურისტებისათვის, თემატური ტრადიციული საღამოების მოწყობა, აგრო პროდუქტების გამოფენა და სხვ. მსგავსი აქტივობები შეუწყობს ხელს მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის კავშირების ჩამოყალიბებასა და ახალი ადგილობრივი პროდუქტის წარდგენას/გაცნობას მომხმარებლებისთვის.

„გარდა ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა, ყურადღება უნდა მიექცეს არამერქნული სატყეო პროდუქტების წარმოების პოტენციალს, რომელიც ასევე ყველა მაღალმთიან დასახლებაში უხვად მოიპოვება. უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით ამ მიმართულებით არანაირი დარგობრივი სტრუქტურა განვითარებული არ არის, ამდენად ხელშესაწყობი საწარმოო მიმართულებების განსაზღვრისას და სათანადო მხარდამჭერი პროგრამების შემუშავებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ რესურსების მდგრად და უსაფრთხო კომერციული საწარმოო გამოყენების შესაძლებლობებს“ (მესტია).

ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოწვევები და შესაძლებლობები

ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტურიზმის ადგილობრივი მიწოდების ჯაჭვში ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივ მიმწოდებელსა [მაგ. მცირე ფერმერი] და მიმღებს [მაგ. სასტუმროს

მფლობელი] შორის არსებული ინფორმაციის დეფიციტი. მიმწოდებელს არ აქვს სრული ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ, ხოლო მომხმარებელი არ ფლობს სიღრმისეულ ინფორმაციას მუნიციპალიტეტში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესახებ.

ზემოთ წამოჭრილი საკითხის ადგილობრივ მოსახლეობასთან განხილვისას გამოწვევის გადაჭრის ერთ-ერთ გზად დასახელდა ელექტრონული პლატფორმის შექმნა (იხ. ელ. პლატფორმის მაგალითები). პლატფორმის გამოყენებით მოხდება არსებული სიცარიელის ამოვსება და ინფორმაციის ეფექტური გაცვლა ტურიზმის ადგილობრივი მიწოდების ჯაჭვში ჩართულ ძირითად აქტორებს შორის.

ელექტრონული პლატფორმების ქართული და საერთაშორისო მაგალითები:

- <https://www.kalo.ge/>
- <https://soplidan.ge/>
- <https://svaigi.lv/>

იმის გათვალისწინებით, რომ ტურიზმის ადგილობრივ მიწოდების ჯაჭვში მნიშვნელოვანია ინტეგრირდეს არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და მომსახურებები, ელ. პლატფორმა სასურველია გავრცელდეს სხვა ეკონომიკურ დარგებზეც (ავიჯის დამზადება, სანტექნიკის მომსახურება, თეთრეულის რეცხვა და ა.შ).

ინფორმაციის გავრცელების ალტერნატიული გზები:

- ბროშურები, რომლებშიც განთავსდება ადგილობრივი ფერმერებისა და მათ პროდუქტების შესახებ ინფორმაცია;
- ფერმერული ფესტივალი, სადაც ადგილობრივ შინამეურნეობებს, ფერმერებს ექნებათ შესაძლებლობა გაყიდონ და მომხმარებელს მიაწოდონ მათი პროდუქტის შესახებ ინფორმაცია. შედეგად მოხდება სამომავლო სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტისათვის სივრცის მოწყობა, სადაც მხოლოდ ადგილობრივი პროდუქტი გაიყიდება.

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიტანის სერვისი, დისტრიბუციის ქსელის შექმნა. აღნიშნული იდეის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორია საგზაო ინფრასტრუქტურა გაუმართაობა.

კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ტურიზმის ადგილობრივი მიწოდების ჯაჭვში ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ბარიერია ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების არასისტემური მიწოდება. აღნიშნული განპირობებულია სეზონურობით, ცუდი შენახვის პირობებით, პროდუქციის მცირე რაოდენობით, პროდუქტების შეზღუდული არჩევანით, ცუდი საგზაო ინფრასტრუქტურით და ა.შ.

ძირითადად დიდი სასტუმროები უპირატესობას ანიჭებენ იმ მიმწოდებლებს, რომლებსაც შეუძლიათ კონკრეტული პროდუქტი პერმანენტულად, წინასწარ შეთანხმებული რაოდენობით მიაწოდონ. ადგილობრივი მცირე ფერმერებისთვის ეს დიდი გამოწვევაა, რაც აფერხებს მათ ეფექტურ და ხანგრძლივ თანამშრომლობას.

ადგილობრივებთან დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მიწოდების პერიოდის გაზრდის განვითარების შესაძლებლობები და სტრატეგიები:

- **სამაცივრე მეურნეობის განვითარება** (ხორცი, კარტოფილი და ა.შ.);
- **სასათბურე მეურნეობის განვითარება** (საველე სამუშაოების დროს შევხვდით რამდენიმე ადგილობრივს, რომელიც აქტიურად იყენებდა სათბურს სხვადასხვა პროდუქტების წარმოებისათვის, მათ შორის სეზონურობის დასაძლევად. აგრეთვე, დისკუსიის დროს, ადგილობრივებმა აღნიშნეს, რომ სათბურების გამოყენების პრაქტიკა არსებობს მათ რეგიონში);

4.8. დისკუსია

საყურადღებოა, რომ ცვლილებები ეკონომიკურ საქმიანობებში ოჯახის დონეზე ან სოფლის განვითარება თემის დონეზე არ აიხსნება მხოლოდ კაპიტალის ერთი ფორმის საფუძველზე (Coleman, 1988; Sutherland & Burton, 2011; Svendsen & Sørensen, 2007). ამ კონცეფციის რეალურ გამოწვევებზე (როგორცაა სიღარიბის აღმოფხვრა, ინოვაციების მხარდაჭერა და ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობების გაძლიერება), გადატანისას გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა მიმართონ კაპიტალის

ურთიერთდამოკიდებული ფორმების სისტემას და არა მხოლოდ რომელიმე ერთ მათგანს. საბოლოო ჯამში, წარმოდგენილი დისერტაცია გაჯერებულია იმ აზრით, რომ კაპიტალის ყოველი ფორმა თავის როლს თამაშობს ოჯახზე დაფუძნებული ეკონომიკური აქტივობების გარდაქმნის პროცესში. შინამეურნეობების ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციის გამოცდილება აჩვენებს, რომ ადამიანური კაპიტალი საჭიროა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ფინანსური მხარდაჭერის, გრანტების, სესხების და სხვა სახის დახმარების მისაღებად. ფერმერებს თავის მხრივ ადამიანური კაპიტალი სჭირდებათ სოციალური კაპიტალის მოსაპოვებლად და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე თუ ტურისტულ სერვისებზე მოთხოვნის გაზრდისთვის. მსგავსი რეალური მაგალითები ნათლად აჩვენებს, რომ შესაბამისი უნარებისა და ცოდნის ნაკლებობის გამო, ოჯახის ყველა წევრს არ შეუძლია ისარგებლოს არსებული/შემოთავაზებული შესაძლებლობებით. მდგრადი საარსებო წყაროს კონცეფციის შეზღუდვები განხილულია დისერტაციაში, კონკრეტულად ეკონომიკური აქტივობებისა და საარსებო პრაქტიკის ცვლილების დროებითი დინამიკა (Sakdapolrak, 2014). ოჯახზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის მთელი გარდამავალი ეტაპი ავლენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს, ადამიანური რესურსების გაძლიერებიდან დაწყებული, სოფლის შინამეურნეობების მიერ ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად ან გაფართოებისთვის კაპიტალის გამოყენებამდე. ამ მეთოდმა გამოაშკარავა ის შედეგები, რომლებიც ვერ მიიღწეოდა არსებული ჩარჩოს შეზღუდვებიდან გამომდინარე.

ადგილობრივი შინამეურნეობები იყენებენ ტრადიციული და ახალი ადამიანური კაპიტალის კომბინაციას, როგორც სოფლის მეურნეობას, ასევე ტურისტული სერვისების განვითარებისთვის. კვლევის შედეგები შეესაბამება სხვადასხვა კვლევის შედეგებს, რომლებშიც ხაზგასმულია ტრადიციული უნარების მნიშვნელობა ტურისტებისათვის ავთენტური ტურისტული გამოცდილების მიწოდებაში და ტრადიციული ინდუსტრიებისთვის (მაგ. მწვანე ინდუსტრია) მნიშვნელობას რეგიონებისათვის (Barbara Gornik & Potočnik Slavič, 2019; Meccheri & Pelloni, 2006; Munjal, 2019; Xue & Kerstetter, 2018). წარმოდგენილი სტატია ეთანხმება ჩამოთვლილ მეცნიერებს; კვლევის მიხედვით, საკვების მომზადების უნარები და სტუმართმყოფარეობა, როგორც მემკვიდრეობა თაობიდან თაობას გადაეცემა,

აყალიბებს და მათებს ღირებულებას ტურისტულ მომსახურებებს. გარდა ამისა, ამ პროცესისთვის აუცილებელია ფორმალური განათლება ან სამუშაო გამოცდილება. ადგილობრივი ოჯახებისთვის შესაძლებლობა შეიძინონ უახლესი უნარები საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მონაწილეობა მიიღონ მოკლევადიან საკითხზე-ორიენტირებულ სწავლებებში და მოახდინონ ამ ცოდნის ავთენტურ ადატ-წესებთან ინტეგრირება, განაპირობებს ტრადიციებით გაჯერებული ტურისტული პროდუქტის ჩამოყალიბებას (Gugushvili et al., 2019). შედეგად, იქმნება მომსახურებები რომლებიც მაღალ დონეზე უზრუნველყოფენ ადგილობრივი გამოცდილების გაზიარებას, რაც იზიდავს ტურისტებს და აქცევს მათ რეგიონის ელჩებად.

გავრცელებული აზრი არსებობს ადგილობრივი ფერმერების შესახებ, რომ რეზისტენტულები არიან სოფლის მეურნეობის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებასთან მიმართებით (Bantsuri & Tsertsvadze, 2020; ISSA, 2017). საინტერესოა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დებულების საპირისპირო შედეგები აჩვენა წარმოდგენილმა სადისერტაციო კვლევის ფარგლებში განხორციელებულმა ანალიზმა. შინამეურნეობებმა სხვადასხვა გზების გამოყენებით იღებენ ცოდნას ახალი კულტურების შესახებ და ეუფლებიან თანამედროვე სოფლის მეურნეობის უნარ-ჩვევები. ჩართული ფერმერები არ არიან მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ინფორმაციის პასიური მიმღებები; რიგ შემთხვევებში ისინი აქტიურად ცდილობენ გამოცდილების და ექსპერტიზის მოპოვებას სატესტო ნაკვეთის მოწყობით, პილოტირებით. შედეგად, საკვლევ ტერიტორიებზე ადგილობრივი ფერმერები ურევენ ჩვეულებრივ და თანამედროვე ფერმერულ პრაქტიკას, დივერსიფიკაციას უწევენ ან აფართოებენ თავიანთი პროდუქციის ასორტიმენტს.

1996 წელს კულტურისა და განვითარების მსოფლიო კომისიამ წამოჭრა მნიშვნელოვანი კითხვა: "ნუთუ ჩვენ არ გვაქვს ტრადიცია, წარმოსახვა, ინტელექტუალური და ორგანიზაციული რეზერვები, რომ შევიძუშაოთ განვითარების ჩვენეული მოდელები?" (World Commission on Culture and Development, 1995). წინამდებარე სადოქტორო თეზისი საქართველოს სასოფლო დასახლებებში ჩატარებული კვლევის შედეგებსა აფართოებს ჩვენს ცოდნას საოჯახო სასტუმროების მიმდინარე პრაქტიკების ცვლილების შესახებ და მიუთითებს ტრადიციებზე, კულტურულ რესურსებზე დაფუძნებული გამოცდილების გამოყენების შედეგებზე, იმისათვის რომ ტურისტებს მივცეთ უნიკალური გამოცდილება ისარგებლონ

დამატებითი ტურისტული პროდუქტების უპირატესობებით (Middleton & Clarke, 2001).

ლიტერატურულ წყაროებში ხშირად განიხილება ადგილობრივი კულტურის, ტრადიციებისა და ტურიზმს შორის არსებული ურთიერთკავშირი და გავლენები (M. Robinson & Smith, 2006). მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმს ხშირად ადანაშაულებენ კულტურის კომოდიფიკაციაში, ადგილობრივი პროდუქტების ავთენტურობის განადგურებასა და გამოცდილებების „დადგმაში“ ან „გაყალბებაში“ (Shepherd, 2002; S. Williams & Lew, 2015), მოლოდინების საპირისპიროდ, ჩვენ სრულიად განსხვავებული რეალობა აღმოვაჩინეთ. საბედნიეროდ, ჩვენ დავაფიქსირეთ ტრადიციული კომპონენტების არაკომერციალიზებული ნაწილების თანაარსებობა კომერციალიზებულ კომპონენტებთან. მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო კვლევის მიგნებები განსხვავდება Shepherd (2002) და Williams and Lew (2015) შედეგებისგან, შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის ინდუსტრიის დომინირება იწვევს დიდ ტრანსფორმაციას ადამიანების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. საჭიროა რომ მოხდეს ამ პროცესის მდგრადობის მონიტორინგი.

კულტურული იდენტობის ღირებულება მდგრადი განვითარების პროცესებში განიხილება საზოგადოების გრძელვადიანი სტაბილურობისა და კეთილდღეობის ძირითადი საზომი ინდიკატორი (Cucina, 2009). ამასთან, აშკარაა ტურიზმსა და ადგილობრივი საზოგადოების კულტურას შორის სინერგიული ურთიერთობის მაღალი მნიშვნელობა დასახლების, ტურიზმის თვალსაზრისით, მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად (Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), 2009; S. Williams & Lew, 2015). გარდა ამისა, დასახლების იდენტურობის დაკარგვა არის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ადგილობრივი თემების მდგრადი განვითარებისკენ სწრაფვისას; კულტურული იდენტობა უნდა იყოს აღიარებული, როგორც ავთენტური რესურსი და განვითარების სტიმული (Gražulevičiūtė, 2006). წარმოდგენილი ნაშრომი ხაზს უსვამს, რომ პოზიტიური ურთიერთქმედება ტურიზმსა და ადგილობრივ კულტურას შორის უზრუნველყოფს უნიკალურ მომსახურებების ჩამოყალიბებას და ხელს უწყობს მდგრადობას. კვლევა ადასტურებს ადგილობრივი პროდუქტებისა და ტრადიციული სამზარეულოს შენარჩუნების გადამწყვეტ მნიშვნელობას ტურიზმში (Gugushvili et al., 2017c;

Khartishvili et al., 2019). ეს ხელს უწყობს ტურიზმს იყოს მდგრადი და ინკლუზიური, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაგებით.

წარმოდგენილი შედეგები აუცილებელია მომავალი კვლევების მეთოდოლოგიური პერსპექტივების გასაძლიერებლად. ვინაიდან ადამიანური კაპიტალის კვლევები, რომლებიც კონცენტრირდება მხოლოდ ფორმალურ განათლებაზე ან ზომავს, შეზღუდულია (P. Anosike, 2019; Sánchez, 2013; Wang et al., 2016), ჰოლისტური და ინტეგრირებული მიდგომა მოიცავს ფორმალურ განათლებას, სამუშაო გამოცდილებას და ჩვეულებრივ ცოდნას უფრო ზუსტი სურათის მისაღებად. ჩვენი დასკვნების თანახმად, მომავალი კვლევები ფოკუსირებული უნდა იყოს ადამიანური კაპიტალის ოპერაციონალიზაციაზე არამხოლოდ სასკოლო ან საუნივერსიტეტო განათლებით, არამედ უფრო ფართო გამოცდილების მეშვეობით. კვლევის პირველადი შეზღუდვა იყო მისი შერჩევა, რომელიც მოიცავდა ინტერვიუს მონაწილეებს, რომლებმაც შეცვალეს თავიანთი ეკონომიკური პრაქტიკა, მაგრამ გამორიცხავენ შინამეურნეობებს, რომლებსაც ეს არ ჰქონდათ. რესპონდენტები, რომლებსაც უჭირთ საარსებო პრაქტიკის დივერსიფიკაცია, შეიძლება ჩაერთონ შემდგომ გამოკვლევებში, რაც მკვლევრებს პროცესის უკეთ გაგებაში დაეხმარება.

თავი 5. დასკვნები

- სასოფლო ტიპის დასახლებებში შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია - როგორც ახალი მცირე ბიზნესის დაწყება, ისე უკვე არსებულის გაფართოება საკმაოდ აქტუალურია და **რეალიზების ფორმების მრავალფეროვანი სპექტრით არის წარმოდგენილი:**
 - ახალი მცირე ბიზნესის დაწყებიდან შემოსავლის მიღების შესაძლებლობა **ძირითადად ტურიზმის ინდუსტრიას უკავშირდება, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასში ჩართვის ფორმები განსხვავებულია.** მათ შორის გვხვდება საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, ინვენტარის გაქირავება და სხვა. ცალკეულ შემთხვევაში ადგილობრივები ქმნიან მომსახურებებს ტურიზმის მხარდამჭერი დარგების მიმართულებითაც;
 - **გაფართოების ძირითად ფორმებს სოფლის მეურნეობის** (მათ შორის ტრადიციული ეკონომიკური დარგების) განვითარება-მოდერნიზაცია, ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვა, სეზონურობისა და პროდუქტის მრავალფეროვნების გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება წარმოადგენს.
- რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით გამოიკვეთა, რომ ადგილობრივები ადამიანურ კაპიტალზე წვდომას სხვადასხვა ფორმებით ახორციელებენ, რომლებიც ძირითადად კომპეტენციების განვითარებაზეა ორიენტირებული: ფორმალური განათლება, თვითსწავლება, გამოცდილების გაზიარება, თემატური ექსპერტების მოწვევა და სამუშაო გამოცდილება. **აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსების მოპოვების სტრატეგიების უმეტესობა ადგილობრივებს წარმოაჩენს, როგორც ახალი ცოდნის მიღების აქტიურ მონაწილეებს.** ადგილობრივები დამატებით ცოდნას იღებენ და ივითარებენ უნარ-ჩვევებს მცირე ბიზნესის დაწყების ან გაფართოების მიზნით;
- სოფლად, მცირე საოჯახო ბიზნესის დაწყების ან გაფართოების პროცესში ადამიანური რესურსის კაპიტალიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს. **ოჯახები ტრადიციულ და თანამედროვე ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას**

ინტეგრირებულად იყენებენ, როგორც ტრადიციულ ეკონომიკურ სექტორში (მაგალითად, სოფლის მეურნეობაში), ასევე რეგიონისთვის ახალ ეკონომიკურ ინდუსტრიაში (მაგალითად, ტურიზმში);

- ფინანსური კაპიტალის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ოჯახზე დაფუძნებული *ეკონომიკური საქმიანობების ტრანსფორმაციის პროცესში გამოიყენება როგორც ფორმალური ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული რესურსები, ასევე არაფორმალური სოციალური კავშირების ფარგლებში არსებული მხარდაჭერა*. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივები აქტიურად იყენებენ რეინვესტიციის პრაქტიკას. რიგ შემთხვევებში არსებული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით აფინანსებენ ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობის განვითარებას. ძირითადად ტურიზმის ინდუსტრიაში ხდება ინვესტიციების მიმართვა ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობიდან, კერძოდ, სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლებით;
- *მცირე საოჯახო ბიზნესის დაწყებისა და გაფართოების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი*. ტრადიციული ღირებულებებით შენარჩუნებულ ნათესაურ კავშირებსა და მეზობლებს შორის მჭიდრო ურთიერთობების სახით, ადგილობრივებს აქვთ მნიშვნელოვან რესურსებზე წვდომის შესაძლებლობა, რომლის კაპიტალიზაციაც ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით: გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარება, მომხმარებლების მოზიდვა, მხარდაჭერა ფინანსების, პროდუქტებისა თუ სერვისების წვდომის თვალსაზრისით და ა.შ;
- *რაც შეეხება მაკავშირებელ სოციალურ კავშირებს ამ მიმართულებით შინამეურნეობის გამოცდილება მრავალფეროვანია*. მათ შორის ფერმერები იყენებენ ლეგირების („alloys“) ფორმის კავშირებს, რომელიც სოციალური ქსელების გავრცელების შედეგად გახდა ხელმისაწვდომი და მოიცავს როგორც ციფრულ ასევე პირისპირ კომუნიკაციას დარგის პროფესიონალებთან (იმის მიუხედავად, თუ როგორია კომუნიკაციის საწყისი ფორმა);
- კერძო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი და ინფრასტრუქტურული რესურსები - მიწა, საცხოვრებელი ან სხვა ტიპის შენობა-ნაგებობები და ა.შ. ძირითადად მიღებულია მემკვიდრეობით, თუმცა, შინამეურნეობის წევრებს თავადაც მიუძღვით წვლილი შენობების მშენებლობაში, შენარჩუნებასა თუ

განვითარებაში. *უნდა აღინიშნოს, რომ შენობა-ნაგებობათა თავდაპირველი დანიშნულება, როგორც წესი, ეკონომიკური საქმიანობის დაწყება არ იყო;*

- შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, ინფრასტრუქტურული და ბუნებრივი რესურსები - მაგალითად, შენობა-ნაგებობები, მიწა და ა.შ., აგრეთვე, ადამიანის რესურსები მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მცირე ბიზნესის როგორც დაწყებისა თუ გაფართოების თვალსაზრისით. ამ ასპექტით, აქტუალურია როგორც რესურსების ჩანაცვლება, ისე - მათი კომბინირება:
 - *ოჯახები ახდენენ ფინანსური კაპიტალის ჩანაცვლებას* კაპიტალის სხვა ფორმებით როგორცაა ადამიანური, ინფრასტრუქტურული ან/და ბუნებრივი რესურსები, რაც ზრდის რეგიონში მიმდინარე *განვითარების პროცესის ინკლუზიურობას;*
 - ლიმიტირებული რესურსების ფონზე (რაც დამახასიათებელია მცირე საოჯახო ბიზნესისთვის) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რესურსების კომბინირებას, რაც თვისებრივად განსხვავებულ ეფექტს იძლევა შინამეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის როგორც დაწყების, ისე - გაფართოების თვალსაზრისით (შინამეურნეობის ხელთ არსებული რესურსების თითოეული სახე, ცალკე აღებული, შეიძლება იყოს იმდენად მცირე, რომ ვერ უზრუნველყოფდეს მცირე ბიზნესის დაწყებას ან განვითარებას, მაგრამ მათი კომბინაცია სავსებით საკმარისი აღმოჩნდეს აღნიშნული ამოცან(ებ)ის განსახორციელებლად).
- *სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ასევე ინოვაციური ეკონომიკური საქმიანობის ჩამოყალიბების პროცესში.* აღსანიშნავია, რომ სოციალური კაპიტალის როლი განსაკუთრებით აქტუალურია სამომხმარებლო ქსელის გაფართოების, ახალი ცოდნის მიღებისა და ფინანსური კაპიტალის მოძიების თვალსაზრისით;
- ტურიზმის ბიზნესის მართვაში ჩართულ ოჯახების წევრებს შორის ძირითადად შენარჩუნებულია *ფუნქციების ტრადიციული გადასაწილება გენდერის ნიშნით;*
- ასაკობრივ ჭრილში დაკვირვება აჩვენებს, რომ იმ სახის საქმიანობებს, რომელთა განხორციელებაც ციფრულ წიგნიერებას უკავშირდება, ძირითადად *ოჯახის*

შედარებით ახალგაზრდა წევრები ითავსებენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ფინანსებისა და სოციალური მედიის მართვა.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგები იძლევა შესაძლებლობას მომზადდეს მცირე საოჯახო ბიზნესის მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისთვის შემდეგი **რეკომენდაციები**:

- სასურველია, მცირე საოჯახო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები **ითვალისწინებდეს შინამეურნეობების განსხვავებებს ძირითად რესურსებზე** ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც შინამეურნეობების საარსებო წყაროების ტრაექტორიის მნიშვნელოვან მდგენელს წარმოადგენს;
- რეკომენდებულია, მცირე საოჯახო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები ითვალისწინებდეს **ადგილობრივების ტრადიციულ ცოდნას**, გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს, როგორც უკვე არსებული ეკონომიკური დარგების, ასევე ინოვაციური ინდუსტრიების განვითარების ფარგლებში;
- რეკომენდებულია, ხელი შეეწყოს **მცირე საოჯახო ბიზნესის მფლობელებს შორის კავშირების ჩამოყალიბებას** საინფორმაციო და სასწავლო ვიზიტების, ფერმერული გამოფენების, სამუშაო შეხვედრებისა და სხვა ფორმატების გამოყენებით;
- სასურველია, ალტერნატიული, რეგიონისთვის ინოვაციური ეკონომიკური დარგების განვითარების მიზნით, **საჩვენებელი საოჯახო მეურნეობების, მცირე ბიზნესების შექმნა და მხარდაჭერა**;
- ფერმერების სოციალური კავშირების ქსელი, მათი მჭიდრო და ინტენსიური დამოკიდებულება მომხმარებლებთან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გაყიდვის პროცესში. კერძოდ, ფერმერის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შესახებ ინფორმირებული მომხმარებელი მზად არის პერმანენტულად შეიძინოს ფერმერისგან პროდუქტი, გადაიხადოს შედარებით მეტი, ვიდრე მას-პროდუქტში. ამასთანავე, აღნიშნული ფორმით ფერმერებს პირდაპირი კავშირი აქვთ მომხმარებლებთან. ამ ეტაპზე არსებული პრაქტიკა მცირე მასშტაბებით ხასიათდება. რეკომენდებულია აღნიშნული პრაქტიკების **მასშტაბების გაფართოება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით**, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ადგილობრივი სოფლის-მეურნეობისა და მას-პროდუქტების კონკურენციის გამოწვევების დაძლევაში;

- კვლევის პროცესში გამოვლენილი შეზღუდვებისა და კვლევის მიგნებების გათვალისწინებით, რეკომენდებულია სამომავლო კვლევები განხორციელდეს და ფოკუსირდეს შემდეგი მიმართულებებით:
 - კვლევის პროცესში გამოვლინდა **მცირე საოჯახო ბიზნესების ფუნქციონირებისთვის** საკვანძო საკითხები, რაც მიზანშეწონილია მომავალში სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი;
 - რეკომენდებულია, სამომავლო კვლევებისთვის მიზნობრივი შერჩევის ფარგლებში კვლევაში ჩაერთონ განვითარების **პროცესის გარეთ დარჩენილი ადგილობრივები**, რომლებიც ვერ ახერხებენ მათი ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციას.

თავი 6. ბიბლიოგრაფია

- A New Rural Development Paradigm for the 21st Century*. (2016). OECD Publishing.
<https://doi.org/10.1787/9789264252271-en>
- Abdulai, A., & Crole-Rees, A. (2001). Determinants of Income Diversification among Rural Households in Southern Mali. *Food Policy*, 26, 437–452. [https://doi.org/10.1016/S0306-9192\(01\)00013-6](https://doi.org/10.1016/S0306-9192(01)00013-6)
- Al Sidawi, R., Urushadze, T., & Ploeger, A. (2021). Factors and Components Affecting Dairy Smallholder Farmers and the Local Value Chain—Kvemo Kartli as an Example. *Sustainability*, 13(10), Article 10. <https://doi.org/10.3390/su13105749>
- Alobo Loison, S. (2019). Household livelihood diversification and gender: Panel evidence from rural Kenya. *Journal of Rural Studies*, 69, 156–172.
<https://doi.org/10.1016/j.jrurstud.2019.03.001>
- Alsos, G. A., Ljunggren, E., & Pettersen, L. T. (2003). Farm-based entrepreneurs: What triggers the start-up of new business activities? *Journal of Small Business and Enterprise Development*, 10(4), 435–443. <https://doi.org/10.1108/14626000310504747>
- Ana Tskvitinidze. (2020). Challenges and Opportunities of Mountain Tourism Development in Georgia (Case of Kazbegi). In C. Maurer & H. J. Siller (Eds.), *ISCONTOUR 2020 Tourism Research Perspectives Proceedings of the International Student Conference in Tourism Research*.
- Andersson, K., Eklund, E., & Lehtola, M. (2009). Farmers, Businessmen or Green Entrepreneurs? Producers of New Rural Goods and Services in Rural Areas Under Urban Pressure. *Journal of Environmental Policy & Planning*, 11(1), 29–43.
<https://doi.org/10.1080/15239080902774960>

- Andrade, S. B. (2016). Transition and Adaptation: An Analysis of Adaption Strategies Amongst Danish Farm Families from 1980–2008. *Sociologia Ruralis*, 56(3), 371–390.
<https://doi.org/10.1111/soru.12091>
- Ankrah Twumasi, M., Zheng, H., Asiedu-Ayeh, L. O., Siaw, A., & Jiang, Y. (2022). Access to Financial Services and Its Impact on Household Income: Evidence from Rural Ghana. *The European Journal of Development Research*. <https://doi.org/10.1057/s41287-022-00544-y>
- Anosike, N., & Coughenour, C. M. (1990). The Socioeconomic Basis of Farm Enterprise Diversification Decisions¹. *Rural Sociology*, 55(1), 1–24. <https://doi.org/10.1111/j.1549-0831.1990.tb00670.x>
- Anosike, P. (2019). Entrepreneurship education as human capital: Implications for youth self-employment and conflict mitigation in Sub-Saharan Africa. *Industry and Higher Education*, 33(1), 42–54. <https://doi.org/10.1177/0950422218812631>
- Arghutashvili, V. (2018). The Role of Tourism in Economic Development of Georgia. *Journal of International Management Studies*, 18(2), 59–64. <https://doi.org/10.18374/jims-18-2.6>
- Bantsuri, N., & Tsertsvadze, N. (2020). *Agricultural Farm: Opportunities and Challenges* (p. 24). Business Association of Georgia.
- Barbara Gornik, A., & Potočnik Slavič, I. (2019). (Non-) Engagement of Slovenian Herbal Enterprises in The Balkan Herb Market: Herbs As a Template For Locally Oriented Business Models in Rural Areas. *Geografski Pregled*, 41.
- Barisashvili, G. (2015). *Hospitality in Georgia, Part II, Attitude with the Guest [სტუმარ-მასპინძლობა საქართველოში, ნაწილი II, სტუმრისადმი დამოკიდებულება]*.
- Bebbington, A. (1999). Capitals and Capabilities: A Framework for Analyzing Peasant Viability, Rural Livelihoods and Poverty. *World Development*, 27(12), 2021–2044.
[https://doi.org/10.1016/S0305-750X\(99\)00104-7](https://doi.org/10.1016/S0305-750X(99)00104-7)

- Besculides, A., Lee, M. E., & McCormick, P. J. (2002). Residents' Perceptions of the Cultural Benefits of Tourism. *Annals of Tourism Research*, 29(2), 303–319.
[https://doi.org/10.1016/S0160-7383\(01\)00066-4](https://doi.org/10.1016/S0160-7383(01)00066-4)
- Bhandari, P. B. (2013). Rural livelihood change? Household capital, community resources and livelihood transition. *Journal of Rural Studies*, 32, 126–136.
<https://doi.org/10.1016/j.jrurstud.2013.05.001>
- Bosworth, G., & Mcelwee, G. (2010). Exploring the strategic skills of farmers across a typology of farm diversification approaches. *Journal of Farm Management*, 13(12), 819–838.
- Bourdieu, P. (1986). The Forms of Capital. In J. G. Richardson (Ed.), *Handbook of Theory and Research for the Sociology of Education* (pp. 241–258). Greenwood Press.
- Bowler, I., Clark, G., Crockett, A., Ilbery, B., & Shaw, A. (1996). The development of alternative farm enterprises: A study of family labour farms in the northern Pennines of England. *Journal of Rural Studies*, 12(3), 285–295. [https://doi.org/10.1016/0743-0167\(96\)00015-0](https://doi.org/10.1016/0743-0167(96)00015-0)
- Brandth, B., & Haugen, M. S. (2011). Farm diversification into tourism – Implications for social identity? *Journal of Rural Studies*, 27(1), 35–44.
<https://doi.org/10.1016/j.jrurstud.2010.09.002>
- Burchfield, E. K., & Poterie, A. T. de la. (2018). Determinants of crop diversification in rice-dominated Sri Lankan agricultural systems. *Journal of Rural Studies*, 61, 206–215.
<https://doi.org/10.1016/J.JRURSTUD.2018.05.010>
- Causevic, S., & Lynch, P. (2009). Hospitality as a Human Phenomenon: Host–Guest Relationships in a Post-Conflict Setting. *Tourism and Hospitality Planning & Development*, 6(2), 121–132. <https://doi.org/10.1080/14790530902981498>
- Chambers, R., & Conway, G. R. (1991). Sustainable Rural Livelihoods: Practical Concepts for the 21st Century. *Ids Discussion Paper*, 296(Brighton: Institute of Development Studies, University of Sussex), 29. [https://doi.org/ISBN 0 903715 58 9](https://doi.org/ISBN%20903715%2058%209)

- Chatwin, M. Ellen. (1997). *Socio-cultural transformation and foodways in the Republic of Georgia*. Nova Science Publishers.
- https://books.google.ge/books/about/Socio_cultural_Transformation_and_Foodwa.html?id=VIffAAAAMAAJ&redir_esc=y
- Chen, Z., Meng, Q., Xu, R., Guo, X., & Cai, C. (2022). How rural financial credit affects family farm operating performance: An empirical investigation from rural China. *Journal of Rural Studies*, 91, 86–97. <https://doi.org/10.1016/j.jrurstud.2022.03.003>
- Chowdhury, S., Satish, V., Sulaiman, M., & Sun, Y. (2022). Sooner rather than later: Social networks and technology adoption. *Journal of Economic Behavior & Organization*, 203, 466–482. <https://doi.org/10.1016/j.jebo.2022.09.011>
- Coleman, J. S. (1988). Social Capital in the Creation of Human Capital. *American Journal of Sociology*, 94, 95-S120. <https://doi.org/10.1086/228943>
- Cucina, M. (2009, July 9). *Gorman*. UPC Sostenible 2015.
- <https://upcommons.upc.edu/handle/2099/8153>
- Curro, C. (2014). A ‘Gift from God’? Georgian hospitality between tradition and pragmatism. *Hospitality & Society*, 4(3), 293–310. https://doi.org/10.1386/hosp.4.3.293_1
- Curro, C. (2017). From tradition to civility: Georgian hospitality after the Rose Revolution (2003-2014). *Doctoral Thesis, UCL (University College London)*.
- <http://discovery.ucl.ac.uk/1559634/>
